პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—31.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 9 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 129 (1874)

## დ ღ ი უ რ ი

- ამერიკის ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი თანდათან იზრდება.
- ამერიკაში გაიმართა მუშათა დემონსტრაცია, რომელმაც პროტესტი განაცხადა არკოსზე თავდასხმის წინააღმდეგ.
- ინგლისმა არ მიიღო ეგვიპტის მთავრობის საპასუხო ნოტა.
- უცხოელები ჩინეთში აძლიერებენ სამხედრო ძალებს.
- სამხრეთ - სლავიამ დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტა ალბანეთთან.
- ინგლისური ყოველკვირიეული „ობსერვერი“ ილაშქრებს ბოლდუინის მთავრობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის გამო.
- ერთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნება 13 ივნისს.

დღეს, 9 ივნისს, დილის 9 საათზე,
სასახლის წითელ დარბაზში შესდგება

**ამიერ-კავკასიის მე-4-ე მოწვევის ცაკის კომუნისტური ფრაქციის სხდომა**

**ამიერ-კავკასიის მე-4-ე მოწვევის ცაკის სესიის მეორე სხდომა**

შესდგება სასახლის წითელ დარბაზში დღეს, 9 ივნისს, დილის 10 საათზე.

10 ივნისს, საღამოს 6 საათზე,
საქართველოს სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში
— შესდგება —

**საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მორიგი პლენუმი**

საქ. კომ. პარ. (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად
საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივანი—ლ. ქართველიშვილი.

# ბოროტმოქმედება ვარშავაში

პოლონეთის დედა-ქალაქ ვარშავაში უდიდესი და აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება მოხდა: თეთრგვარდიელ ვიღაც კავერდას მიერ გამოსროლილ ტყვიით განგმირულ იქნა საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში, ამხ. ვოიკოვი.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერორისტული აქტი არის ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის და კონსერვატიულ მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის უშუალო გამოძახილი. ინგლისელ შუბლმაგრებმა ამ ნაბიჯით შექმნეს ისეთი ატმოსფერა, რომელმაც ხელ-ფეხი გაუხსნა კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას; უცხოეთში გადახიზნულმა შავრაზმელებმა და ყოველ ჯურის ავანტიურისტებმა იფიქრეს, დაგვიდგა დრო, როცა ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენა დაუსჯელად შეგვიძლია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო. ვარშავაში მომხდარ მკვლელობისათვის მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა აშკარად ეკისრება ინგლისის მთავრობას და ამ პასუხისმგებლობისაგან ის თავს ვერავითარი საშუალებით ვერ დაიძვრენს.

არაფერია შეუძლებელი იმაშიც, თუ მონარქისტი კავერდა ინგლისის მთავრობის, მისი ვარშავის საელჩოს საიდუმლო აგენტი, მისი გეგმის ფიზიკური შემსრულებელი იყო. ინგლისელ იმპერიალისტებმა სულ სხვა შედეგი მიიღეს ჩვენთან დამოკიდებულების ჩაშლიდან, ვინემ, ის, რომელსაც მოელოდენ. მათ ვერ მიაღწიეს საბჭოთა კავშირის განმარტოებას, მის წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნას. კიდევ მეტი: სხვადასხვა სახელმწიფოები არამც თუ არ მიემხრენ ინგლისის პოლიტიკას, არამედ გაიმიჯნენ მისგან და ადგებიან ჩვენთან ურთიერთობის გაფართოების გზას. ფაქტიურად ხდება არა საბჭოთა კავშირის, არამედ თვით ინგლისის იზოლიაცია. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ამას წინედ განუცხადა ამხ. ვოიკოვს, რომ პოლონეთი ნეიტრალიტეტს იცავს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში, ის პოლონეთი, რომლის იმედი ჩემბერლენს ყველაზე მეტად ჰქონდა თავის ანტი-საბჭოთა კამპანიაში.

ინგლისის მთავრობა ასეთ დამარცხებას, რა თქმა უნდა, არ ურიგდება და ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა გაამწვავოს საბჭოთა კავშირის და სხვა სახელმწიფოების დამოკიდებულება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაბაბირება ინგლისის მიერ. ამიტომ, ვიმეორებთ, არ იქნება გასაკვირი, თუ ამხ. ვოიკოვის მკვლელობაში ლონდონელ ავაზაკების ხელი ურევია.

თავის მხრივ თეთრგვარდიელებს არა ნაკლებ გაუცრუვდათ იმედები ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შედეგებით, ვინემ ინგლისელ იმპერიალისტებს. ისინი დახმარების ხელს აწვდიან თავის, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ „ხაზეინებს“. ვარშავაში გასროლილი ტყვია ამ მიზანს ემსახურება.

ამავე დროს, ცხადია, რომ პოლონეთის მთავრობა, რომლის ტერიტორიაზე ბოროტმოქმედება ჩადენილ იქნა, აგრეთვე პასუხისმგებელია ამისათვის. ჯერ ერთი, იმით, რომ, წინააღმდეგ რიგის ხელშეკრულების სათანადო მუხლებისა, ის საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ კონტრ - რევოლიუციონურ ელემენტებს საშუალებას აძლევს თავის სახელმწიფოში ორგანიზაციისა და ანტი-საბჭოთა მუშაობისათვის. უფრო მეტი: პანების მთავრობის წრეები ფინანსიურ და სხვაგვარ დახმარებას უწევენ ამ ჯგუფებს და აქეზებენ მათ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მეორე, იმით, რომ, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მხრით არა ერთხელ გაკეთებულ გაფრთხილებისა, პილსუდსკის მთავრობა შესაფერ ზომებს არ იღებდა ჩვენი წარმომადგენლობის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ჩვენ ვიცით, რომ პოლონეთის ეხლანდელი მმართველი წრეები, მათი უფრო აგრესიული ელემენტები მტრულ პოლიტიკას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის მიმართ, ისინი ოცნებობენ საბჭოთა ტერიტორიის დაპყრობაზე „დიდი პოლონეთის“ შექმნაზე, საბჭოთა წყობილების დამხობაზე. მაგრამ ამასთან ერთად ისიც ცხადია, რომ პოლონელ იმპერიალისტებს თავისი ქვეყნის დღევანდელი საგარეო და საშინაო მდგომარეობა ბორკავს და შესაძლებლობას არ აძლევს ავანტიურის დასაწყებად. გერმანია - პოლონეთის ინტერესთა შეურიგებლობა, ღრმა ეკონომიური კრიზისი და კლასთა ბრძოლის გამწვავება პოლონეთში, დევნილ ეროვნულ უმცირესობათა ბრძოლა პილსუდსკის რეჟიმის წინააღმდეგ, ბოლოს, პოლონეთის საქმიანი სამრეწველო ჯგუფების დაინტერესება ჩვენთან ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენით,—ყველაფერი ეს პოლონელ იმპერიალისტებს უმოკლებს საბჭოთა კავშირისკენ გაშვერილ ხელს. მათთვის აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება სრულიად არ არის პოპულიარული და რომ მას ადვილად შეიძლება მოყვეს სრულიად საწინააღმდეგო შედეგები პილსუდსკის მთავრობისათვის.

აქედან, პოლონეთის მთავრობა დღეს იძულებულია გადაჭრით დაგმოს ვარშავაში ჩადენილი ბოროტმოქმედება. მთავრობის თავმჯდომარე, პილსუდსკი და გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი ცხადდებიან ვარშავის საბჭოთა წარმომადგენლობაში და მწუხარებას გამოსთქვამენ მკვლელობის გამო. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსიცკი და აგრეთვე ზალესკი საკავშირო მთავრობას სამძიმარს დეპეშას უგზავნიან. პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის სასტიკად გამოიძიებს ამ აქტს და დამნაშავეს დასჯის მთელი კანონების სიმკაცრით. ამავე დროს, ის თანხმდება ჩვენს წინადადებაზე, რომ გამოძიების დროს, როგორც მეთვალყურე, დაშვებულ იქნება საბჭოთა წარმომადგენელი.

საბჭოთა მთავრობა დაუცდის, თუ რამდენად შეასრულებს ამ თავის სიტყვას პოლონეთის მთავრობა, თუ რამდენად დაამტკიცებს ის, რომ არ არის ჩვენთან დამოკიდებულების გართულების მოსურნე. პოლონეთის მმართველების მოქმედებაზე იქნება სავსებით დამოკიდებული ჩვენი მთავრობის შემდეგი ნაბიჯები.

ამასთან, თავის თავად ცხადია, საბჭოთა მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ შემდეგშიც გაგრძელდეს პოლონეთში კონტრ - რევოლიუციონურ ემიგრაციის ძალების ორგანიზაცია და პროვოკაციული მუშაობა. პოლონეთის მესვეურებმა, რიგის ხელშეკრულების თანახმად, უნდა მიიღონ ნამდვილი ზომები ამ ელემენტების გასაძევებლად და ასალაგმავად თავის ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლონეთის მესვეურების ზევით მოყვანილი განცხადებები გულწრფელი არ იქნება და საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების საჭიროებაზე ლაპარაკი თვალთმაქცური და ფუჭი გამოდგება.

ასე თუ ისე, ამხ. ვოიკოვის მკვლელობა ერთხელ კიდევ ზედმეტად გვაფრთხილებს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა დაჭიმულია და რომ ჩვენ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ ყოველი შემთხვევისათვის. წინანდებურად სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელება, სამეურნეო აღმშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერება, — ასეთია ჩვენი პასუხი იმპერიალისტების და თეთრგვარდიელთა ყოველგვარ პროვოკაციაზე. ის საყოველთაო აღშფოთება, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მოიცვა ამხ. ვოიკოვის მკვლელობის გამო, ის გრანდიოზული და მრისხანე დემონსტრაციები, რომლის მოწმენი ჩვენ ვიყავით გუშინ თბილისშიც, —მოწმობს, რომ ჩვენს მასებს სავსებით აქვთ შეგნებული დღევანდელ მომენტის სირთულე და ისინი მზად არიან თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს წინაშე, მზად არიან თავისი მკერდით დაიცვან სოციალიზმის ქვეყანა ყოველგვარი გარეშე საფრთხისაგან და ამავე დროს გააორკეცონ ენერგია სოციალისტური მშენებლობის გასამარჯვებლად.

# ამხ. ვოიკოვის ვერაგულად მოკვლის შემდეგ

პოლონეთის პრეზიდენტის და გარეშე საქმეთა მინისტრის თანაგრძნობის დეპეშა საბჭ. მთავრობას.—პოლონეთის მთავრობა თანახმაა დაუშვას საბჭ. კავშირის რწმუნებულები მკვლელობის გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებათ.—პოლონეთის კონსულმა ლენინგრადში თავის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მკვლელი სასტიკად დაისჯება. — ვარშავაში და ვილნოში გააძლიერეს რეპრესიები რუს მონარქისტების წინააღმდეგ.

## დღეს ამხ. ვოიკოვის ცხედარს წამოასვენებენ მოსკოვში დასაკრძალავათ

## სამხრეთ-სლავიამ შესწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ალბანეთთან

## „კონსერვატიზმი—სწერს ინგლისელი პუბლიცისტი გარვინი—შეიქნა სულელების სამოთხედ“

### მოსციცკის დეპეშა ამხ. კალინინს

**ვარშავა,** 7 ივნისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა კავშირის ელჩის ვოიკოვის მოკვლის გამო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოსციცკიმ მიმართა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს კალინინს შემდეგი სამძიმრის დეპეშით:

**„თავზარდაცემული და აღშფოთებული ელჩ ვოიკოვზე საზიზღარი თავდასხმით, გამოვსთქვამ ულრმეს მწუხარებას მისი გარდაცვალების გამო. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულწრფელესი თანაგრძნობა“** (ადს).

### ზალესკის სამძიმარი

**ვარშავა,** 7 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ მიმართა გარეშე საქმეთა სახ. კომისარს შემდეგი სამძიმრით:

**„ვიჩქარი გამოგიცხადოთ პოლონეთის მთავრობის გულწრფელი თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის გამოჩენილ პიროვნებაზე მუხანათურ თავდასხმის გამო. საჭიროთ მიმაჩნია გარწმუნოთ, რომ პოლონეთის მთელი საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად იზიარებს ჩემი მთავრობის აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია თქვენი წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართულმა საზიზღარმა აქტმა. ღრმათ ვართ დამწუხრებული მის გარდაცვალების გამო“** (ადს).

### ამხ. ულიანოვის ნოტა

**ვარშავა,** 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის დროებითმა აღმასრულებელმა ულიანოვმა გადასცა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა კავშირს მძიმე უბედურება დაატყდა თავზე. პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, რკინის გზის მთავარ სადგურზე, მოკლულია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პეტრე ლაზარეს ძე ვოიკოვი. მკვლელი დაპატიმრებულია და გადაეცა სასამართლოს.

მე მოვახსენე მომხდარი ამბავი საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომლისაგანაც მოველი შემდეგ ინსტრუქციებს. ამავე დროს ვფიქრობ, რომ საუკეთესო საშუალებას მკვლელობის საქმის სრულ გამოსარკვევად წარმოადგენს წინასწარ გამოძიებაზე იმ სრულუფლებიან წარმომადგენლობის რწმუნებულ პირთა დასწრება, რომლის მეთაური გახდა დაუჯერებელი ბოროტმოქმედების მსხვერპლი.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას პოლონეთში ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას მისცემს საგამომძიებლო ხელისუფლებას დაასწროს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის რწმუნებულები ყველა სასამართლო საგამომძიებლო აქტებს“.

**ზალესკიმ განუცხადა ულიანოვს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო თანახმაა დაუშვას ვოიკოვის მკვლელობის საქმის წინასწარ გამოძიებაზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის რწმუნებულები.** ზალესკიმ აღუთქვა ულიანოვს, რომ ის შეუთანხმებს ამ საკითხს პოლონეთის იუსტიციის სამინისტროს (ადს)

### ნეშტის გადასვენება

**ვარშავა,** 7 ივნისი. 7 ივნისს საღამოს ვოიკოვის ნეშტი გამოასვენეს საავადმყოფოდან და წაასვენეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. კუბო გამოასვენეს განსვენებულის უახლოესმა თანამშრომლებმა. კუბოს უკან მიჰყვებოდენ ვოიკოვის მეუღლე და პოლონეთში მყოფ საბჭოთა დაწესებულებათა თანამშრომლები. გზაში სამგლოვიარო პროცესიას შეუერთდენ მუშები.

**საავადმყოფოს შენობის წინ თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა მუშამ, რომლებიც პოლიციამ გარეკა. 6 მუშა დააპატიმრეს.**

9 ივნისს დილით ვოიკოვის ცხედარს წაასვენებენ მოსკოვში..

კუბოს გაჰყვებიან **როზენჰოლცი** და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველი მდივანი ვარშავაში **არკადიევი.**

საელჩოში ვოიკოვის კუბოსთან მორიგეობს სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლობების თანამშრომლების საპატიო ყარაული (ადს).

### გვამის განკვეთა

**ვარშავა,** 7 ივნისი. **ვოიკოვის გვამის განკვეთის დროს აღმოჩნდა ორი სერიოზული ჭრილობა, ერთი მათგანი ყოფილა სასიკვდილო. ტყვიას გაუხვრეტია ნეკნი და ფილტვი. ვოიკოვი გარდაიცვალა შინაგანი სისხლის ჩაქცევისაგან.**

**ვოიკოვის ნეშტი 19 საათზე გადასვენებულია საელჩოში** (ადს).

### პროფინტერნის მოწოდება

**მოსკოვი,** 8 ივნისი. პროფინტერნმა გამოაქვეყნა მოწოდება მთელი მსოფლიოს მუშებისადმი ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო.

**„ამხ. ვოიკოვზე ახალი ვერაგული თავდასხმა — ნათქვამია მოწოდებაში — წარმოადგენს იმ გაафთრებულ კამპანიას ლოღიკურ დასრულებას, რომელსაც უკანასკნელ წლებში აწარმოებდა ინგლისის კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომელსაც შედეგათ მოჰყვა საბჭოთ აქვეყანასთან დიპლომატიურ ურთიერთობის ჩაშლა. პოლიტიკური ბანდიტიზმის ტაქტიკამ, რომელსაც ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ შეითვისა, იპოვა ღირსეული წამბაძველი რუსეთის თეთრგვარდიელთა შორის, რომელნიც ფართო სტუმართმოყვარეობით სარგებლობენ პოლონეთში. გაიძვერა. მკვლელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეურიგებელ მტრობისა და გააფთრებული კამპანიის ატმოსფერაში, იმედი ქონდა არა მარტო იმისა, რომ დაუსჯელი დარჩებოდა, არამედ იმისიც, რომ მას ბოროტმოქმედებას კიდეც მოუწონებდენ მისი გულწრფელი შთამგონებლები. პროვოკაციული რბევის და მკვლელობის პოლიტიკის წყალობით შექმნილი მდგომარეობა, პროვოკაციული რბევის და მკვლელობის**

**პროფინტერნი მოუწოდებს ყველა მის მომხრე ორგანიზაციებს იყონ მზად საბრძოლველად და შეამჭიდროონ საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა აქტიური ძალები მისი საერთო სოციალისტური სამშობლოს საბჭოთა კავშირის გარშემო მის დასაცავად მსოფლიო კონტრრევოლიუციის თავდასხმისაგან, რომელიც თანდათან ძლიერდება“.** (ადს)

### როგორ მოკლეს ამხ. ვოიკოვი

**ვარშავა,** 7 ივნისი. როზენგოლცმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცა შემდეგი დაწვრილებითი ცნობები ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ.

— დილის 9 საათზე ამხ. ვოიკოვი შეხვდა როზენგოლცს სადგურის ბაქანზე, როცა ის ვაგონიდან გამოვიდა. როზენგოლცი და ვოიკოვი შევიდენ ბუფეტში ყავის დასალევად. ბუფეტიდან გამოსვლის შემდეგ ვოიკოვმა წაიყვანა როზენგოლცი იმ ავტომობილის საჩვენებლად, რომელსაც თვითონ მართავდა. შემდეგ ორივე დაბრუნდა ბაქანზე დილის 10 საათზე და 40 წუთზე. მატარებლის გასვლამდე დარჩენილი იყო 15 წუთი. ბაქანზე ვოიკოვი და როზენგოლცი გაცხოველებით საუბრობდენ. უეცრად ძალიან ახლოს მოისმა სროლა. როზენგოლცი პირველად ვერ დარწმუნდა, რომ მათ ესროდენ. ვოიკოვმა უკან დაიხია. თავდამსხმელი დაედევნა მას და რამდენიმეჯერ ესროლა. ვოიკოვმა ამოიღო რევოლვერი და რამდენიმეჯერ ისროლა, მაგრამ შემდეგ დაეცა ძირს. მკვლელი გადავიდა მეორე მხარეზე, დაიჭირა რევოლვერი ლულით და ნებაყოფლობით დანებდა პოლიციას.

მკვლელი აღმოჩნდა ბორის კავერდა, ვილნოს გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფე, 20 წლის. (ადს).



ამხ. ვოიკოვი

**მკვლელი**

**ვარშავა,** 6 ივნისი. სრულუფლებიან წარმომადგენლობის საკონსულო განყოფილებაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ კავერდა მოდიოდა საკონსულოში და ითხოვდა საბჭოთა კავშირში გამგზავრების ნებართვას.

მკვლელს აღმოაჩნდა საკონსულო განყოფილების შევსებული ანკეტები 31 მაისის თარიღით.

ანკეტის თანახმად, ბორის სტეფანეს ძე კავერდა დაიბადა ვილნოს მაზრაში, სოფელ იანიშკიში, 1907 წელს“.

კავერდა პოლონეთის ქვეშევრდომია. საბჭოთა კავშირიდან კავერდა გაემგზავრა 1920 წელს, როგორც ლტოლვილი. (ადს).

**ვინ აცნობა?**

**ვარშავა,** 6 ივნისი. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ როზენგოლცი 8 ივნისს დილით გამოივლის ვარშავაში, სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ მიიღო წინა დღით საღამოს 10 საათზე.

არავინ, გარდა სრულუფლებიან წარმომადგენლობის რამდენიმე პასუხისმგებელ თანამშრომელისა, ამის შესახებ არაფერი იცოდა.

გაზეთებშიაც არ ყოფილა არავითარი ცნობა, რომ როზენგოლცი სადგურში გამოივლის და მას სადგურში შეხვდებიან. (ადს).

### პრესის გამოძახილი

**პოლონეთის პრესა**

**ვარშავა,** 7 ივნისი. **ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო გაზეთებმა გამოუშვეს სასწრაფო დამატებები.**

ოფიციოზური „ეპოკა“ სწერს:

**ბოროტმოქმედი რუსი მონარქისტია. დანაშაული ჩადენილია რუს ემიგრანტის მიერ, რომელიც ბოროტად იყენებს პოლონეთის სტუმართმოყვარეობას, რაც მთელი საზოგადოებრივი აზრის საყოველთაო აღშფოთებას და პროტესტს გამოიწვევს.**

უცხადებთ ღრმა თანაგრძნობას საბჭოთა კავშირის საელჩოს, რომლის მეთაური აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდა.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვოიკოვი ემხრობოდა მეგობრულ ურთიერთობის დაცვას პოლონეთთან და ცდილობდა პოლონეთთან როგორც სავაჭრო, ისე საგარანტიო ხელშეკრულების დადებას.

გაზეთის სიტყვით, ამხ. ვოიკოვის შემწეობით მოხდა 1925 წელს ჩიჩერინის ჩამოსვლა ვარშავაში. (ადს).

**ვარშავა, 7 ივნისი. „კურიერ ვარშავსკი“ მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი ეთხულოვანი აღშფოთებით შეხვდება ცნობას ამ ბოროტმოქმედების შესახებ.**

„მკვლელობაში—სწერს გაზეთი—პოლონეთის ხელი არ ურევია, იგი ნაკარნახევია პოლონეთის გრძნობებისა და ინტერესებისათვის უცხო ზრახვებით. ის ფაქტი, რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია პოლონეთის ტერიტორიაზე, ეჭვს გარეშეა, უკარნახებს პოლონეთის საზოგადოებრივ აზრს ერთსულოვან მხურვალე პროტესტს პოლიტიკური ბრძოლის მსგავსი მეთოდების წინააღმდეგ, რომელიც მორალის თვალსაზრისით არის საზიზღარი, სამარცხვინო ცივილიზაციის თვალსაზრისით და საზიანო პოლიტიკურად“.

იმავე გაზეთის მეორე წერილში სენატორი **კოსკოვსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის ემიგრაციის ავანტიურისტული ელემენტები, ეს პირველი არ არის, ბოროტად სარგებლობენ უცხო ქვეყნების სტუმართმოყვარეობით“.**

„მესაჟე პოლსკი“ სწერს:

**„რუსეთის ემიგრანტების მიერ პოლონეთის სტუმართმოყვარეობის ბოროტად სარგებლობამ, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წრეებზე და პოლონეთის მთელ მოსახლეობაზე.** მარშალმა პილსუდსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და მთავრობის ყველა წევრებმა იახლეს საბჭოთა კავშირის საელჩო და დასტოვეს თავიანთი სადარბაზო ბარათები უგულწრფელეს თანაგრძნობის გამოხატვის ნიშნათ.

**ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამოვხატავთ საერთო განწყობილებას, თუ საბჭოთა კავშირი და საბჭოთა კავშირის ხალხები გამოუცხადებთ თანაგრძნობას და გამოვსთქვამთ ულრმეს მწუხარებას იმის გამო, რომ ეს ტრაღიკული ამბავი მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე“ (ადს).**

**გერმანიის პრესა**

**ბერლინი,** 7 ივნისი. უკეთეს რა კომენტარიებს ვოიკოვის მოკვლას, დემოკრატიასთან ახლოს მდგომი „ფოსიშე ცეიტუნგი“ უწოდებს თავდასხმას ბოროტმოქმედების აქტს.

სოციალდემოკრატი „ფორვერტსი“ ფიქრობს, რომ მკვლელობა მეხივით არ გავარდნილა მოწმენდილ ცაზე.

„მკვლელობის შედეგები—სწერს გაზეთი—სავსებით გამოირკვევა, როგორც ეს ლოზანაში მოხდა, მხოლოდ სასამართლოში საქმის გარჩევის შემდეგ. მაგრამ უშუალო შედეგებს ექნება სერიოზული ხასიათი. ვოიკოვზე თავდასხმა მოხდა მას შემდეგ, რაც ერთი ერთმანეთს მოჰყვა გამოსვლები საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლების წინააღმდეგ პეკინში, შანხაიში და ლონდონში. სასურველია, რათა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობამ შეინარჩუნოს მშვიდობიან თავდაცვაზე აღებული კურსი. თავდასხმა არ უნდა გახდეს საფუძვლად ისეთი მოსაზრებისა, რომ არსებობს ორგანიზაცია, რომლის მიზანია საბჭოთა დიპლომატების დახოცვა. თავდასხმა უფრო ინდივიდუალური შურისძიების აქტია“ (ადს).

**საფრანგეთის პრესა**

**პარიზი,** 7 ივნისი, „ენტრანსიჟან“-ი ვოიკოვის მოკვლის გამო სწერს:

**„უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ამბავი რუსეთის მონარქისტის საქმეა და გავლენას არ მოახდენს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე, რომელმაც შარშან ვარშავაში ჩიჩერინის ჩასვლის შემდეგ ნორმალური ხასიათი მიიღო“** (ადს).

**ავსტრიის პრესა**

**ვენა, 7 ივნისი. ვენის სოციალ-დემოკრატიული გაზ. „აბენდ“-ი ვოიკოვის მოკვლის გამო საჭიროთ სთვლის ხაზი გაუსვას, რომ პოლონეთი არის ინგლისის ვასალი.** გაზეთი ამბობს, რომ თუ პოლონეთმა უარი თქვა პროვოკატორების დასჯაზე, მაშინ კავერდას გასროლილ ტყვიას შეუძლია მძიმე ვართულებების გამოწვევა. გაზეთი აცხადებს, რომ მუშებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციაზე უნდა უპასუხონ: **„საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ნიშნავს პროლეტარიატზე თავდასხმას“ (ადს).**

---

**სამძიმრის დეპეშა**

**მოსკოვი,** 8 ივნისი. ამხ. ლიტვინოვმა მიიღო გერმანიაში არსებულ „ახალი რუსეთის მეგობართა“ საზოგადოებისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა:

**„აღშფოთებულნი საზიზღარი თავდასხმით და თავზარდაცემულნი ვოიკოვის სიკვდილით, გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას.** (ადს).

**რაუშერის და ლორაშის სამძიმარი**

**ვარშავა,** 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის საელჩო ვარშავაში ინახულა და სამძიმარი გამოუცხადა ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო საფრანგეთის ელჩმა **ლორაშმა,** გერმანიის ელჩმა **რაუშერმა,** ნორვეგიის ელჩმა და ადიუტანტმა, პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსმა. (ადს).

**რომელი სასამართლო?**

**ვარშავა,** 7 ივნისი. არ არის გადაწყვეტილი საკითხი, თუ რომელ სასამართლოს გადასცემენ ვოიკოვის მკვლელის საქმეს: საველეს თუ ჩვეულებრივს. (ადს).

# ახალი ბოროტმოქმედება

პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო რეაქციამ კიდევ ერთი უმსგავსოება ჩაიდინა: დაეცა თეთრი გარეწარი მონარქისტის ტყვიით განგმირული ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარშავაში ამხ. ვოიკოვი! მოხდა საზიზღარი ბოროტმოქმედება. საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჯერ კიდევ გაუშრალი სისხლიდან იბადება ახალი შავი პროვოკაცია მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

თეთრი ბანდიტის გასროლას ტაშს უკრავენ მთელი ქვეყნის შავი, მდაბალი, საძირალი ელემენტები. საბჭოთა წარმომადგენლის მხეცური მკვლელობა, ზურგიდან მახვილის ჩაცემა არ არის შემთხვევითი. იგი სავსეა მრავალმნიშვნელოვანი აზრით. იგი ახალი რგოლია საბჭოთა კავშირის მტრების ჯაჭვში, ყალბი ქაღალდების, ყალთაბანდობის, უტიფარ ულტიმატუმების და ყაჩაღურ თავდასხმათ ჯაჭვში. იგი მოხდა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ. ბატონ ჩემბერლენის ბინძურ და თავხედურ ნოტებისა და განცხადებათა შემდეგ. ყოველ მუშას და გლეხს უნებურად მოაგონდება ნიშნობლივი შედარება. კერზონის ულტიმატუმის შემდეგ, რომელსაც წყევლით იგონებს მსოფლიო პროლეტარიატი, საერთაშორისო ფაშიზმის გარეწარმა მოციქულებმა მოჰკლეს ამხ. ვოროვსკი. ეხლა ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გაწყვეტის თითქმის მეორე დღესვე მოჰკლეს ამხ. ვოიკოვი. ვოიკოვის მკვლელობა ისე, როგორც ყველა ბანდიტური თავდასხმები, (პეკინ-ლონდონი), ისე, როგორც უკანასკნელ ხანებში სისტემატიურ მოვლენათ გადაქცეული ჩვენ დიპლომატიურ უფლებათა დარღვევა, მიზნად ისახავს ჩვენს დიპლომატიური მუშაობის ჩაშლას საზღვარგარეთ, ჩვენი დიპლომატიური აპარატის დანგრევას და ჩვენი ქვეყნის დაბალი საფეხურის, ან არასრულუფლებიან სახელმწიფოთ გადაქცევას.

ჩვენ კიდევ არ ვიცით ამ ველური სისხლიანი საქმის დაწვრილებითი ამბები. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ ვისმა ხელმა მისცა მიმართულება მკვლელის რევოლვერს, თუ როგორია ამ სამარცხვინო ბოროტმოქმედების საიდუმლო ძაფები. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ასეთი ბოროტმოქმედება არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმ პირთა მონაწილეობის გარეშე, ვინც მეთაურობს ამჟამად საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლას, ვინც არის ამჟამად მთელი საერთაშორისო რეაქციის თაოსანი. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ინგლისის კონსერვატიული მთვრობის ყაჩაღური როლი. ჩვენ სავსებით გათვალისწინებული გვაქვს, თუ როგორ სახიფათო მომენტში არის მოკლული საბჭოთა ერთგული დიპლამატი ვოიკოვი. საზიზღრობაა, სიმდაბლეა და სისაძაგლე ყოველი მკვლელობა ანუ იმ ქვეყნის დიპლამატიური მუშაკის მკვლელობის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობა, რომელთანაც დამყარებულია ნორმალური ურთიერთობა. ერთი ათასად უფრო საზიზღარია, მდაბალია და უპასუხისმგებლობაა ასეთი ვერაგობა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობის მიმართ იმ მომენტში, როცა მშვიდობიანობა საფრთხეშია. ვოიკოვის აშკარა და ფარულ მკვლელებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ, რომ მათი საზიზღარი აქტი შეიძლება ყოფილიყოს წვეთი, რომელსაც შეეძლო აევსო საბჭოთა კავშირის ერების მოთმინების ფიალა.

გარეწარი, რომელმაც ვოიკოვი მოჰკლა, მობრძანდა რუს თეთრ-მონარქისტულ პრიტონიდან, რომელსაც დიდი მზრუნველობით მფარველობდა პოლონეთის ფაშისტური „ახრანკა“. პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია გაექცეს პასუხისმგებლობას მოხდარი მკვლელობისათვის. პოლონეთის მთავრობამ იცოდა და შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ რუსეთის თეთრ-გვარდიელობა,—დენიკინ-გეტმანის ჩინმენდლოსანთა ნამსხვრევები, მემამულეთა და თავადთა ხროვის ნაშთები,—არიან ჩვენი უბოროტესი მტრები, რომელნიც სისხლში აღრჩობდენ რევოლიუციონურ მუშებს და მშრომელ გლეხებს. პოლონეთის მთავრობა არაერთხელ გაგვიფრთხილებია ამის შესახებ. მიუხედავად ამისა, პოლონეთის მთავრობა თავშესაფარს აძლევდა ყველა გენერალ-თავადურ-ბურჟუაზიულ ბანდას. მიუხედავად ამისა, მან არ მიიღო სათანადო ღონისძიებები ჩვენს დიპლომატიურ მუშაკთა უშიშროების დასაცავად. მან შესაძლებელი და განსახორციელებელი გახადა ეს კოშმარული მკვლელობა!

თუ პოლონეთის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე არ აღკვეთა თეთრი ემიგრაციიდან გამოსულ თავზე ხელაღებულ ტერორისტების ბოროტმოქმედება, თუ კი იგი სწყალობდა და კვებავდა საბჭოთა რესპუბლიკების დაუძინებელ მტრებს, მან პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს ამგვარი პოლიტიკის შედეგებისათვის. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები წარუდგენენ მას თავის ანგარიშს. მათ უფლებაც აქვთ მოითხოვონ დაკმაყოფილება იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ჩაიდინეს თეთრმა ტერორისტებმა ვარშავაში.

საერთაშორისო შავი რაზმის მარადიორები დღითიდღე უფრო და უფრო თავხედნი ხდებიან. ისინი ყალთაბანდობენ, ძალადობენ, იძარცვებიან; ერთ პროვოკაციას უმატებენ მეორე პროვოკაციას. მათ ეხლა მოჰკლეს ვოიკოვი. ამ მკვლელობით ისინი ახალ მუგუზალს უმატებენ ჯოჯოხეთურ კოცონს, რომელზედაც იწვის ევროპიული და საერთაშორისო მშვიდობიანობის სხეული, მაგრამ ეს სისხლიანი თამაში შეწყვეტილი იქნება. არა მარტო საბჭოთა კავშირის პროლეტარები და გლეხები, რომელნიც მუდამ მზად არიან დაიცვან თავისი თავისუფლება, მიწა და ფაბრიკები, არამედ მთელი საერთაშორისო შეგნებული პროლეტარიატი საკადრისს პასუხს გასცემს საერთაშორისო ცეცხლის წამკიდებლებს, ვინც არ უნდა იყვნენ ან ვის უკანაც არ უნდა იმალებოდნენ ისინი.

„პრავდა“.

მოსკოვი, 8 ივნისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ჩიჩერინი გერმანიაში

**ბერლინი,** 7 ივნისი. **ჩიჩერინი ჩავიდა ბადენ-ბადენში.** შტრეზემანის საუბარი ჩიჩერინთან ჯერ არ მომხდარა. იუწყებიან, რომ 8 ივნისს ორთავე მინისტრი ისაუზმებენ ერთად, რის შემდეგაც გაიმართება საუბარი (ადს).

**ბერლინი,** 8 ივნისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება ბადენ-ბადენიდან:

„ჩიჩერინმა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის მიპატიჟება საუზმეზე. **საუზმის შემდეგ ჩიჩერინსა და შტრეზემანს შორის გაიმართა ვრცელი საუბარი.** შტრეზემანმა ისარგებლა შემთხვევით, რომ გადაეცა ჩიჩერინისათვის გერმანიის მთავრობის სახელით სამძიმარი და მწუხარება ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო. (ადს).

# ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

**ურთიერთობის შეწყვეტა.**

**ვენა,** 7 ივნისი. გაზეთების ცნობით, ვენაიდან ალბანეთის მთავრობამ, მიუხედავად სამხრეთ-სლავიის განმეორებით მოთხოვნილებისა, უარი განაცხადა სამხრეთ-სლავიის საელჩოს დრაგომანის გუირაშკოვიჩის განთავისუფლებაზე, **სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა ალბანეთთან შესწყვიტა.** სამხრეთ-სლავიის რწმუნებული ალბანეთში, საელჩოს პერსონალით ტირანიდან 4 ივნისს გაემგზავრა ბელგრადში. ამავე დროს სამხრეთ-სლავიის მთავრობამ სკუტარიდან, ვალონიდან და კორჩადან გაიწვია თავისი კონსულები.

სამხრეთ-სლავიის ინტერესთა დაცვას ალბანეთში იკისრებს საფრანგეთი.

მიუხედავად ურთიერთობის შეწყვეტისა, ალბანეთის ელჩი ბელგრადში ზენობკი სცდილობს მიაღწიოს გუირაშკოვიჩის განთავისუფლებას, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტის შემდგომი გაწვავება.

**სამხრეთ-სლავიის პრესა აცხადებს, რომ „ალბანეთის საქციელში დამნაშავეა იტალია“** (ადს).

**სამხრეთ-სლავიის ორიენტაცია**

**ვენა,** 7 ივნისი. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სამხრეთ-სლავიის პრესა გარკვეულად ლაპარაკობს, რომ სამხრეთ-სლავიის საგარეო პოლიტიკა გადაიხარა ინგლისის ორიენტაციისაკენ.

სასახლის და სამხედრო წრეების ორგანო „პოლიტიჩესკი გლასნიკი“ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტისადმი მიძღვნილ წერილში ემხრობა ინგლისს, აღნიშნავს, რომ სამხრეთ-სლავიას არ შეუძლია ნეიტრალური დარჩეს და მოუწოდებს მთავრობას აირჩიოს ინგლისის ორიენტაცია (ადს).

# ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ

**„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“**

**მოსკოვი,** 8 ივნისი. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის გამო გამოაქვეყნა მოწოდება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ყველა წევრებისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებისადმი. იმ მომენტში,—ნათქვამია მოწოდებაში,—როცა კონსერვატორები აგროვებენ საბჭოთა კავშირისადმი მტრულ ძალებს, ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა განსაკუთრებული ყურადღება და ენერგია უნდა გამოიჩინონ საბჭოთა კავშირის დავდაცვის საქმეში. პირველ რიგში ეს ეხება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მრავალმილიონ წევრს. საზოგადოების წევრებმა განსაკუთრებული ინიციატივა და თვითმოქმედება უნდა გამოიჩინონ ამ მიმართულებით. **თავდაცვის ტეხნიკურ საშუალებათა გაძლიერების მიზნით საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსოს ფონდი „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“,** რისთვისაც უნდა მოეწყოს შემოწირულებათა შეგროვება ფართო მშრომელ მასებს შორის. რაც უფრო ძლიერი ვიქნებით, მით უფრო ნაკლები საშუალება ექნებათ კაპიტალისტებს განახორციელონ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. ამ ფონდმა ისეთივე როლი უნდა ითამაშოს მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ისტორიაში, როგორც ითამაშა ესკადრილია „ულტიმატუმმა“ სოციალისტურ აღმშენებლობის სიმაგრის ირგვლივ მიუვალი კედლის აღმართვით, თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების რიგებში შესვლით და საბჭოთა თავდაცვის ტეხნიკური ბაზის გამაძლიერებელი სპეციალური ფონდის შექმნით ჩვენი ქვეყნის მშრომელნი უძლეველს გახდიან საბჭოთა კავშირს. „ადს).

**ამხ. ბარანოვის განცხადება**

**მოსკოვი,** 8 ივნისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრმა და მუშათა და გლეხთა წითელდროშოვანი არმიის საჰაერო ძალთა უფროსმა ამხ. **ბარანოვმა** განაცხადა:

„ეხლა, როცა ინგლისის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა საბჭოთა კავშირთან, თავდასხმის საფრთხე უფრო ახლოა, ვიდრე კერზონის დროს. ომის საფრთხე დღეს მეტად რეალურია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის. **ამიტომ ამხ. რიკოვის მოწოდებას, რომ შექმნას საავიაციო-ქიმიური თავდაცვის აღმშენებლობის ფონდი „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ თანაგრძნობით უნდა შეხვდენ მუშები და გლეხები“.** (ადს).

**პეტონსის განცხადება**

**ვლადივოსტოკი,** 8 ივნისი. ვლადივოსტოკიდან გამგზავრების წინ **ინგლისის კონსულმა პეტონსმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტს განუცხადა ულრმესი მწუხარება ურთიერთობის ჩაშლის გამო და გამოსთქვა სურვილი, რათა საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონსულმა პეტონსმა გარეშე საქ-ბული იქნას.** (ადს).

**მუშების დემონსტრაცია**

**ნიუ-იორკი,** 7 ივნისი. **ჩიკაგოში ინგლისის საკონსულოს წინ გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. პლაკატებზე, რომელიც დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ, წარწერილი იყო პროტესტი არკოსზე თავდასხმის წინააღმდეგ და ლოზუნგი „ხელები შორს ჩინეთისაგან“.**

**„ობსერვერ“-ის წერილი.**

**ლონდონი,** 7 ივნისი. გავლენიანი ინგლისური ყოველკვირეული „ობსერვერ“-ი აქვეყნებს გარვინის წერილს:

**გარვინი სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის ეხლანდელ მთავრობას და მის პოლიტიკას.**

„ურთიერთობის შეწყვეტას,—სწერს გარვინი, — **ინგლისის ხალხის უმრავლესობა სცნობს უკან გადადგმულ ნაბიჯად. ჩვენი ქვეყნის ორი მესამედი ამაში ვერავითარ აზრს და სარგებლობას ვერ ხედავს.**

არავითარ კაბინეტს, რომელსაც უფერულ თემთა პალატაში ხმების უდიდესი უმრავლესობა აქვს, არ ძალუძს შეიგნოს, რომ იგი წარმოადგენს ერის მხოლოდ უმცირესობას.

ეხლანდელი კაბინეტი შესდგება ისეთი მინისტრებისაგან, რომელთა საერთო დონე დაბალია იმ ნორმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია ინგლისის კაბინეტის წევრთათვის. სწორედ ამის გამო ისინი კმაყოფილი არიან თავისი თავით და თავის აღმატებას მიაწერენ საკუთარ დამსახურებას და არა ზინოვიევის წერილისა და თვალთმაქცურ საარჩევნო სისტემის ორმაგ გავლენას, რომელიც ისეთივე სპეკულიანტიური გახდა, როგორც „კალკუტა სუპი“ (დიდი ლატარია, რომელსაც ყოველწლიურად ათამაშებენ დოღზე ინგლისში). **„კონსერვატიზმი — სწერს** დასასრულ გარვინი, — **საყოველთაო გაფიცვის შემდეგ გახდა სამოთხე რეგვენებისათვის“** (ადს).

**ჩვენი წარმომადგენლობის წევრთა დაბრუნება**

**ლენინგრადი,** 8 ივნისი. ლენინგრადში ჩამოვიდა გემი „იუშარი“, რომელმაც ჩამოიყვანა ლონდონში სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრები. ჩამოსულთა შორის არიან სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მდივანი ამხ. **ბოგომოლოვი** და გენერალური კონსული ლონდონში ამხ. **ლიდინი.** სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებს ნავთსადგურზე შეხვდა საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ლენინგრადში ამხ. **უმშლია.** გემიდან გადმოსვლამდე ჩამოსულებმა გაიგეს სამწუხარო ცნობა ამხ. ვოიკოვის დაღუპვის შესახებ.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ამხ. ბოგომოლოვმა განუცხადა:

— „მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ-ჯერობით დაწვრილებით არ ვიცი ამხ. ვოიკოვის დაღუპვის შესახებ, მაინც აშკარაა, რომ ეს მოვლენა არის არკოსისა და სავაჭრო დელეგაციის შენობაზე ინგლისის პოლიციის თავდასხმის პირდაპირი შედეგი. ინგლისის კონსერვატორების ღონებმა ახალი ენერგია და ძალა შთაბერეს თეთრი ბანდიტების იმ საბრალო ჯგუფებს, რომელთა ხელიდანაც სიცოცხლეს გამოესალმა ამხ. ვოიკოვი. საგარეო საქმეთა კომისარიატის თანამშრომლებს არ აშინებთ არავითარი საფრთხეები და ისინი მეტის გმირობით და თავდადებით შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობებს“.

ინგლის - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ ამხ. ბოგომოლოვმა განაცხადა:

„—გამომგზავრებამდე ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხვედროდით ინგლისის სავაჭრო - სამრეწველო წრეების და მსხვილი ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობის ზოგიერთ წარმომადგენლებს. ყველას მათ გულწრფელად სურთ ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება“.

# საბჭოთა კავშირი და ამერიკა

**მოსკოვი,** 8 ივნისი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის რწმუნებული **ჩარლზ სმიტი,** რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში შეეხო მოლაპარაკებას ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის შესახებ და განაცხადა: **„საბჭოთა კავშირის განზრახვა, რომ დაკვეთების ნაწილი ინგლისიდან გატანილ იქნას შეერთებულ შტატებში, ძალიან შეუწყობს ხელს ორთავე ქვეყნის ეკონომიურ დაახლოებას.**

სმიტი შეეხო იმ შუამავლობის როლს, რომელსაც ინგლისი თამაშობდა საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ვაჭრობაში და აღნიშნა, რომ იგი უკვე დიდი ხანია მოითხოვდა უშუალო კავშირის დამყარებას ამერიკის საქმიანი წრეებისა და საბჭოთა ბაზარს შორის. სმიტი აღნიშნავს, რომ **ამერიკაში უკანასკნელ ხანებში უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, ვიდრე წინედ.** ამერიკელები დაინტერესებული არიან აგრეთვე საკონცესიო საკითხებით.

**დასასრულ სმიტმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის კრედიტების პერსპექტივების შესახებ განაცხადა, რომ მისი აზრით, მდგომარეობა ამჟამად რამდენიმედ გაუმჯობესდა. განსაზღვრულ გავლენას ამ მიმართულებით ახდენს საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება და გაუმჯობესება** (ადს).

# ჯარისკაცების დემონსტრაცია

**პარიზი,** 7 ივნისი. „ლიუმანიტე“-ს ცნობით, განმეორებით სწავლებისათვის მიწვეული თადარიგის **ჯარისკაცებმა დემონსტრაციის გარდა ბურჟეს ყაზარმებში, მთელ რიგ ქალაქებში, მაგალითად, განში, კლერმონტში, ორლეანში მოაწყვეს მანიფესტაციები „ინტერნაციონალის“ სიმღერით.**

სამხედრო ხელისუფლება, რომელსაც მოძრაობის გაფართოების ეშინია, არავითარ რეპრესიულ ზომებს არ იღებს დემონსტრაციების ინიციატორთა და მონაწილეთა წინააღმდეგ, პირიქით, **თადარიგის ჯარისკაცთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სცდილობს საბინაო ქირობებისა და კვების გაუმჯობესების გზით.**

თადარიგის ჯარისკაცთა გამოსვლა და აგრეთვე ის გარემოება, რომ **დამატებით არჩევნებში იზრდება კომუნისტური კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი, შიშს იწვევს პოლიტიკურ ჯგუფებში, რომელნიც „ეროვნული მთლიანობის“ მთავრობას უჭერენ ხმარს** (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

# უკანასკნელი ცნობები

## დიპლომატიურ კორპუსის სამძიმარი

**მოსკოვი**, 8 ივნისი. 8 ივნისს დიპლომატიური კორპუსის ყველა წარმომადგენლები ესტუმრენ საგარეო საქმეთა კომისარიატს ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო სამძიმრის გადასაცემათ. შეხვედრაში წასული გერმანიის ელჩი გრაფი ბროკდორფ-რანცაუ ლიტვინოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში გამოსთქვამს თავის მწუხარებას იმ მუხანათური ბოროტმოქმედების გამო, რომლის მსხვერპლიც გახდა განსვენებული ვოიკოვი.

ლიტვინოვი ინახულა აგრეთვე სამეცნიერო აკადემიის მდივანმა ოლდენბურგმა და აკადემიის ვიცე - პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ფერსმანმა. აკადემიკოსებმა ლიტვინოვს გადასცეს წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„თავის დროზე პოლონეთთან მოლაპარაკების დაწყებისას, სამეცნიერო აკადემიის წევრები. მოწვეულ იქნენ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. აკადემიის წევრებმა მთელი მნიშვნელოვანი საქმიანობა ჩაატარეს განსვენებულ ვოიკოვთან ერთად და მის შესახებ მათ დარჩათ წარუშლელი ხსოვნა ამ მეტად პატიოსანის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ ადამიანზე ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი თავდასხმები ვერ შეაფერხებენ ჩვენი ახალი ცხოვრების ძლევამოსილ განვითარებას. ასეთ მომენტში იბადება საჭიროება ჩვენი კიდევ მეტი დაახლოვებისა საერთო საქმისა და საერთო მისწრაფებათა განსახორციელებლად“. (ადს)

## დანიის ელჩის განცხადება

**ბაქო**, 8 ივნისი. ბაქოში შეჩერდა მოსკოვიდან თეირანში მიმავალი დანიის ელჩი—პეტერ სკაუ.

ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში პეტერ სკაუმ განაცხადა, რომ იგი უაღრესად აღშფოთებულია ასეთი ვერაგული ბოროტმოქმედებით.

საღამოს მან ინახულა საგარეო საქ. კომისარიატის რწმუნებული აზერბეიჯანში ამხ. სალამოვი და გადასცა მას სამძიმარი ამხ. ვოიკოვის დაღუპვის გამო. (ადს)

## ამხ. ვოიკოვის ნეშტის შესახვედრათ

**მოსკოვი**, 8 ივნისი. 10 ივნისს მოსკოვიდან მიემგზავრება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამხ. ვოიკოვის ნეშტის შესახვედრათ გამოყოფილი დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: საგ. სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. **არალოვი**, პოლონეთ - საბჭოთა კავშირის საევაკუაციო კომისიაში შემავალი საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ამხ. **რაზარისი** და კომისარიატის ადგილკომის წარმომადგენელი. (ადს)

## საფრანგეთის პრესა მკვლელობის შესახებ

**პარიზი**, 8 ივნისი. ვოიკოვის მოკვლის ამბავს ფრანგული პრესა გარდა მემარჯვენეთა გაზეთებისა, გადაჭრით კიცხავს. სოციალისტების გაზეთი „პოპულერი“ სწერს: „ინგლისის პოლიტიკამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. ბოლდუინის კაბინეტის ჟესტმა გამოიწვია ევროპაში საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული ატმოსფერა და ახალგაზრდა რუსმა მონარქისტმა გადასწყვიტა, რომ დადგა დრო მოსკოვის წინააღმდეგ ომის დაწყების ტერორისტული აქტის საშუალებით“.

„ჰიუმანიტე“ სწერს: „ვოიკოვის მოკვლის მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩემბერლენის უშედეგო ცდაში, რომ შეექმნა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკი და ჩაეშალა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ერთმანეთზე თავდაუსხმელობის შესახებ“. (ადს)

## რუსი მონარქისტების დაპატიმრება პოლონეთში

**ვარშავა**, 8 ივნისი. „გლოს პრავდი“ იტყობინება, რომ პილსუდსკის ორჯერ ჰქონდა თათბირი ზალესკისთან ამხ. ვოიკოვის მოკვლის გარშემო. ბერტელმა მოხსენება გაუკეთა პილსუდსკის მომხდარი ამბების შესახებ. გუშინ ვილნოში გაჩხრიკეს მკვლელის ოთახი. ყველა ნაპოვნი ქაღალდები გადაეცა საგამომძიებლო ხელისუფლებას. ვილნოში მთავრობამ კონფისკაცია უყო თეთრგვარდიელ ემიგრანტების გაზეთის „ნოვაია რასია“ გამოცემას, რომელშიაც დაბეჭდილი იყო მოწოდება მკვლელის სასარგებლოთ შემოწირულებათა შეგროვების შესახებ.

გუშინ საღამოს ვარშავაში და ვილნოში პოლიციამ მოახდინა დაპატიმრებები რუს მონარქისტებს შორის. ვარშავაში დაპატიმრებულია ექვსი კაცი. (ადს)

## პოლონეთის საელჩოსთან

**მოსკოვი**, 8 ივნისი. დღეს 4 ნახევარ საათზე ვოროვსკის ქუჩაზე გამოჩნდა დიდი დემონსტრაცია, რომელიც მიემართებოდა პოლონეთის საელჩოს შენობისაკენ, მილიციის დაძლიერებულმა რაზმმა და სახელმწიფო პოლიტიკ. სამმართველოს ჯარებმა დემონსტრანტებს გზა გადაუჭრა და საელჩოსაკენ არ გაატარა.

დემონსტრანტები ყვიროდენ: ძირს ომის დამწყებნი, ძირს შუბლმაგართა მთავრობა და ამავე დროს სცდილობდენ საელჩოს შენობისაკენ მიახლოვებას. დემონსტრაციის ტალღა შეჩერებულ იქნა ცხენოსანი მილიციის საშუალებით.

## ჩემბერლინი ბერლინში

**ბერლინი**, 8 ივნისი. ამერიკელი ავიატორი ჩემბერლინი 17 საათსა და 20 წუთზე დაეშვა ტემპელგოფის აეროდრომზე, სადაც მოგროვილი იყო აურაცხელი საზოგადოება. ავიატორ ჩემბერლინს გაუმართეს მხურვალე ოვაციები. (ადს)

# მუკდენის არმია გარბის

## სუნ-ჩუან-ფანი გაიქცა

**შანხაი**, 8 ივნისი. მიღებულია ცნობები, რომ სუნ-ჩუან-ფანი გაიქცა ცზიან-სუს პროვინციიდან ცინ-დაოში (ნავთსადგურია შანდუნის პროვინციაში). აქედან იგი ფიქრობს იაპონიისაკენ გამგზავრებას. (ადს).

## ჩან-ძო-ლინის „საჩუქარი“

**პეკინი**, 7 ივნისი. როგორც იაპონიის გაზეთი „ოსაკა მაინიცი“ იტყობინება, ჩან-ძო-ლინმა გამოაცხადა, რომ ვინც მას მიუტანს ჩან-კაი-შის, ფინ-იუ-სიანის და ტან-ჩენ-ჩის მოკვეთილ თავს—მიიღებს საჩუქრად 500.000 დოლარს.

გაზეთი ფიქრობს, რომ ჩან-ძო-ლინი ამით ცდილობს მუკდენის ჯარების გამხნევებას. (ადს).

## შეთანხმება ინცინდენტის შესახებ

**შანხაი**, 7 ივნისი. სააგენტო „ტოხო“ იტყობინება, რომ ევგენი ჩენსა და იაპონიის გენერალურ კონსულს შორის მიღებულია შეთანხმება ხანკოუში მომხდარ ინცინდენტის შესახებ.

ფიქრობენ, რომ შეთანხმებას ხელს მოაწერენ დღესვე. (ადს).

## ჯალათების მოლაპარაკება

**პეკინი**, 7 ივნისი. კვლავ დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ მუკდენელებსა და ჩან-კაი-შის შორის სწარმოებს საზავო მოლაპარაკება; აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება სწარმოებს ენ-სი-შანის შუამავლობით.

ეს ინფორმაცია, როგორც სჩანს, გამოხატავს არა იმდენად სინამდვილეს, რამდენად მუკდენის წრეების სულიერ განწყობილებას. (ადს).

## ახალი პროვოკაცია

**ლონდონი**, 7 ივნისი. „მორნინგ პოსტ“ ბეჭდავს ამონაწერებს პეკინის პოლიციის მიერ გამოქვეყნებულ „თეთრი წიგნიდან“; ეს წიგნი შეიცავს დოკუმენტებს, რომლებიც თითქოს აღმოჩენილ იქნა საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის დროს. (ადს).

## პეკინს სცლიან.

**შანხაი**, 8 ივნისი. ხანკოუდან მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ ხენანის პროვინციის დედაქალაქი კაიფინი აღებულია 4 ივნისს ნაციონალური ჯარების მიერ. შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, მუკდენის ჯარები იხევენ ყვითელი მდინარის ჩრდილო ნაპირისაკენ; მათ სდევნიან ფინ-იუ-სიანის ჯარები.

ამავე ცნობებიდან სჩანს, რომ მუკდენის ჯარები სტოვებენ პეკინს და თავს იყრიან ტიან-ცზინში. (ადს)..

## იმპერიალისტების ძალები

**პეკინი**, 7 ივნისი. „ნორთ ჩაინა სტანდარტ“-ის ცნობით, ამერიკის საზღვაო ქვეითა ჯარის სარდალი ჩინეთში შტაბის უფროსთან ერთად 4 ივნისს ჩავიდა ტიან-ძინში, ტიან-ძინიდან ის გაამგზავრება პეკინში, სადაც თათბირი ექნება ამერიკის ელჩთან მაკ-მერეისთან ჩრდილოეთ ჩინეთში მცხოვრებ ამერიკელების საკუთრებისა და სიცოცხლის დაცვის საკითხის გარშემო.

ტიან-ძინში უკვე მოდის ამერიკის საზღვაო ქვეითა ჯარის რაზმები.

გაზეთი დასძენს, რომ ცნობები, თითქოს ტიან-ძინში უცხოელ სარდლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, არ არის საფუძვლიანი.

ამ დღეებში ტიან-ძინში მოელიან სანაპირო ზოლის ბატალიონს ინგლისელების ადგილობრივ გარნიზონის გასაძლიერებლად.

იაპონელების გარნიზონი ტიან-ძინში ბინებს ამზადებს პორტ-არტურიდან მომავალ ახალი სამხედრო ნაწილებისათვის. (ადს).

## ლუი-ჩენ-ხანის გადადგომა

**ხარბინი**, 7 ივნისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამართველომ მიიღო დეპეშა, რომ ლუი-ჩუნ-ხანის თხოვნა გადადგომის შესახებ მიღებულია. მის მაგიერ გზის გამგეობის თავმჯდომარეთ დანიშნულია ლიუ-ჩჟუნ-ხუანი, თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. (ადს).

# კომკავშირის ცეკას მოწოდება

## კომკავშირის წევრებისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ახალგაზრდებისადმი

**მოსკოვი**, 8 ივნისი. ამხანაგებო, ბურჟუაზია ემზადება თავს დაატეხოს მშრომელებს ახალი მსოფლიო ომი.

ინგლისის კონსერვატორების მთავრობამ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით გადასდგა გადამჭრელი ნაბიჯი ომის დასაწყებად.

შუბლმაგარმა ლორდებმა ეს ჩაიდინეს იმიტომ, რომ ჩვენი წარმატებანი და მიღწევები სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე უფრო და უფრო ამტკიცებენ სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობას გახრწნილ კაპიტალიზმთან შედარებით. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი ხდება იმ ფაქტის მიფუჩეჩება, რომ ინგლისი უძლურია აღადგინოს ომით განადგურებული თავისი მეურნეობა; ძნელი ხდება მიჩქმალვა იმ ფაქტის, რომ საბჭოთა რესპუბლიკა, მიჰყავს რა მას წინ თავისი მრეწველობა და თავისი სასოფლო მეურნეობა, დღითი დღე მიდის ახალი და ახალი გამარჯვების გზით.

შუბლმაგრებმა ეს ჩაიდინეს იმიტომ, რომ საყოველთაო გაფიცვამ და მემაღაროეთა გმირულმა ბრძოლამ, როგორც მიწისძვრამ, შეარყიეს გაბატონებულ კლასთა ფეხქვეშ ნიადაგი და იძულებული ჰყვეს ისინი ეძებონ გამოსავალი.

ეს მათ ჩაიდინეს იმიტომ რომ, თვით საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტი და მისი წარმატებები ფეხზე აყენებს ინგლისის პროლეტარებს და კოლონიალურ ერებს განთავისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყებად.

ინგლისელ კონსერვატორების მთელი პოლიტიკა არის ომის გამომწვევი პროვოკაცია, და იგი აუცილებლად გამოიწვევს ომს, თუ კი მათ მანამდე არ მოიტეხეს კისერი, თუ კი მანამდე არ გარეკეს ისინი პროლეტარებმა და დაჩაგრულმა ერებმა.

ინგლისის ბურჟუაზიას ომი სწადია. იგი შეუჩერებლად ემზადება ომისათვის; ის ატყუებს მასებს, ამავე დროს პროფკავშირების შესახებ ახალი კანონის სახით პირში ჩრის მას რკინის ლაგამს; გზავნის დრედნოუტებსა და დესანტებს ჩინეთში, ეხმარება თეთრგვარდიელობას, იძენს მომხრეებს, ზოგს მოსყიდვით, ზოგს დაშინებით; და აიარაღებს ყველას, ვისაც კი შეუძლია პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა.

შესვენება, რომელიც ჩვენ გვქონდა სამოქალაქო ომის ლიკვიდაციის შემდეგ, გამოვიყენეთ ჩვენი მეურნეობის განსამტკიცებლად. ეს შესვენება შეიძლება დაირღვეს ყოველ წუთში.

ჩვენ ეს ვიცით და ამიტომ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის, შეიარაღებული უნდა ვიქნეთ იდეურად და მატერიალურად.

საერთაშორისო ვითარება ფრიად ადიდებს ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობას.

მოსალოდნელი ომისათვის მზადება არ ნიშნავს იმას, რომ თავი მივანებოთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას ქარხნებში, სასოფლო მეურნეობაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

პირიქით, ნიშნავს წინააღმდეგს: განვაგრძნოთ მუშაობა მეტის გულმოდგინეობით, მეტის სისწორით.

სწორედ იმიტომ, რომ შესაძლებელია მშვიდობიანობა დაგვირღვიონ ყოველ წუთში. ჩვენ ყოველი დღე უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მეურნეობის, ჩვენი ქვეყნის და კომკავშირის განსამტკიცებლად.

ვემზადოთ მოსისხლე მტრის იერიშების მოსაგერიებლად, ავამაღლოთ დისციპლინა კომკავშირში, გავაუმჯობესოთ მუშაობის სისტემა, დაუნდობლად ვებრძოლოთ დაუდევრობას უპასუხისმგებლობას, შევასრულოთ სისწორით და თავის დროზე ყოველი დავალება, ყოველი ამოცანა, რა მცირედიც არ უნდა იყოს იგი.

მცირე საქმეში გამობრძნედილი და შემოწმებული, კომკავშირი უდრეკი იქნება დიდ საქმეში.

ჩვენ მოვემზადებით თავდაცვისათვის, თუ იმ მშვიდობიან მუშაობას, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვაწარმოებთ, ზედმიწევნით სისწორით შევასრულებთ!

ჩვენ მოვემზადებით ქვეყნის თავდაცვისათვის, თუ ყოველ კომკავშირელს შევაჩვევთ შეგნებულად მოეკიდოს თავის მოვალეობას, საერთაშორისო პროლეტარიატის და რევოლიუციონერის მოვალეობებს.

ახალგაზრდა მუშებო!

საბჭოთა ფაბრიკებში თქვენ გაქვთ 6 საათიანი სამუშაო დღე და კანონმდებლობა ახალგაზრდობის შრომის დაცვის შესახებ. ეს თქვენ მოგცათ ოქტომბრის რევოლიუციამ. ინგლისის კონსერვატორებს და თეთრგვარდიელ მოკავშირეებს სურთ წაგართვან თქვენ ეს მონა-

თქვენ ჰკითხეთ თქვენს მამებს და უფროს ძმებს: ისინი თქვენ გეტყვიან, თუ რა იყო მონობა კაპიტალისტურ ფაბრიკაში, თუ რა ძნელი იყო მუშაობა ფაბრიკის მეპატრონის კონტროლ ქვეშ და „გარადავოის“ ყვირილში.

ეს წყეული წარსული სურთ დაგვიბრუნონ ინგლისის ლორდებს.

ომი, თუ იგი შუბლმაგართა მთავრობამ თავს დაატეხა მუშებსა და გლეხებს, მოგვთხოვს არა მარტო წითელარმიელთა გმირობას და მშრომელთა ნერვების სიმტკიცეს, არამედ მტკიცე მაგარ სამრეწველო ზურგს.

დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

გახსოვდეთ, რომ ყოველი თუნდაც მცირედი გაუმჯობესება ჩვენს წარმოებაში, ამაღლებს საბჭ. კავშირის თავდაცვის უნარიანობას. ამ მუშაობაში არ არსებობს წვრილმანი, რადგან ყოველი წვრიმალი ათასჯერ და ათიათასჯერ გამეორებული, გაადიდებს საბჭოთა ქვეყნის რესურსებს მსოფლიო მტაცებლებთან ბრძოლაში.

გახსოვდეთ, რომ მუშაობის გაცდენა და საქმისადმი გულგრილობა დღევანდელ პირობებში არის წარმოებითი დეზერტირობა, ისეთივე საშიში, როგორც დეზერტირობა ომში.

პრაქტიკულ საქმიანობისაგან ჩამოუშორებლად, საჭიროა პირველ ადგილზე წამოვაყენოთ სამხედრო მზადებისა და ქვეყნის თავდაცვის საკითხები. ხელი უნდა შევუწყოთ წითელი არმიის გამაგრებას, უნდა გავაუმჯობესოთ სამხედრო მწვევამდელი მომზადების საქმე, უნდა ავამაღლოთ დისციპლინა მწვევამდელებს შორის, უნდა ვიმუშაოთ მათი პოლიტიკური აღზრდისათვის. საჭიროა განვამტკიცოთ შეფობა წითელ ფლოტზე, რომელიც მახვილი თვალით უდარაჯებს საბჭოთა ქვეყნის ნაპირებს. ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედები, მის გარშემო უნდა ავამოძრაოთ ახალგაზრდათა ფართე მასები, უნდა გამოვაცოცხლოთ და საინტერესო გავხადოთ მათთვის ეს მუშაობა; უნდა მოვაწყოთ მსროლელთა წრეები და შეჯიბრებები. ფართოდ უნდა გავავითაროთ ფიზკულტურა და ფართოდ გამოვიყენოთ ფიზკულტურით შეძენილი სამხედრო შეჩვევები.

ყოველმა კომკავშირელმა უნდა იცოდეს თოფის ხმარება, ყოველმა კომკავშირელმა ქალმა უნდა შეიძინოს სამხედრო შეჩვევები და შეისწავლოს სამხედრო-სანიტარული საქმე.

წითელი არმიის რიგებში მდგარო კომკავშირელებო!

საბჭოთა რესპუბლიკის ნაპირების მცველნო—წითელო ფლოტელებო!

ლენინის კომკავშირი ფხიზლად ადევნებს თვალყურს თქვენს მუშაობას და სწავლებას.

თქვენ უნდა მისცეთ მოვლენებისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სიმტკიცის და დისციპლინის მაგალითი.

თქვენ უნდა იქნეთ რევოლიუციის სამაგალითო ჯარისკაცები.

თქვენ შეუდრეკელად უნდა იდგეთ თქვენს პოსტზე!

ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო!

დაირაზმეთ პარტიისა და კომკავშირის გარშემო, გაერთიანდით ერთი აზრით, დაიცავით თქვენი უფლება ერთიანი ნებისყოფით და განაგრძეთ სოციალისტური მშენებლობა!

გამცემლები მეორე ინტერნაციონალიდან და ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალიდან აღუნებენ მშრომელთა სიფხიზლეს, მათი პირფერული პოლიტიკა საბოლოოდ გამოაშკარავებს მათ სახეს ფართო მშრომელთა მასების წინაშე.

კომინტერნთან და ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალთან ერთად საერთაშორისო მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება სამხედრო საშიშროებასთან საბრძოლველად, საბჭოთა კავშირის დასაცავად,—ყველა ჩაგრულთა და გაუყლეფელთა გზის მაჩვენებელ კანდელის დასაცავად. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ მზად ვიქნებით მისთვის.

მრისხანე განსაცდელის დროს საბჭოთა კავშირის მთელი ახალგაზრდობა ბოლომდე შეასრულებს თავის რევოლიუციონურ მოვალეობას.

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი,—აი რა უნდა გავიცვათ ჩვენ.

ჩვენ გვაქვს ყველა ჩაგრულთა სამშობლო,—საერთაშორისო პროლეტარიატის იმედი და დასაყრდენი.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

# საბჭოთა კავშირში

## ბომბის აფეთქება ლენინგრადის სადისკუსიო კლუბში

**ლენინგრადი**, 8 ივნისი. 7 ივნისს, საქმიან კლუბში 21 საათზე; იმ მომენტში; როდესაც შენობის მესამე სართულში გამართული იყო საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის სადისკუსიო კლუბის ერთ-ერთი სექციის წევრთა კრება, შევიდა უცნობი პირი, რომელმაც რაღაცა დაიყვირა და გადააგდო ბომბა.

პირველის შემდეგ კარებში გამოჩნდა მეორე უცნობი პირი, რომელმაც აგრეთვე დაიყვირა და გადააგდო ბომბა. მოხდა აფეთქება, რომლის ძალა ისეთი იყო, რომ მთელი ბინა დაინგრა. ფანჯრები ჩალეწილია. აფეთქების ხმა საკმაოთ შორს მანძილზე ისმოდა.

ბომბების გადასროლის შემდეგ, ბოროტმოქმედნი გამოცვივდენ ბინიდან ასტეხეს, სროლა და მიიმალენ.

აფეთქების ადგილას გაგზავნილი იქნა 6 ცეცხლის მქრობელთა რაზმი და 5 სასწრაფო დახმარების ავტომობილი; მალე გამოცხადდენ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს და პროკურატურის წარმომადგენლები.

სასწრაფო დახმარების საექიმო პერსონალმა დახმარება აღმოუჩინა 26 დაზარალებულს, რომლებიც საავადმყოფოში გადაგზავნეს. გარდა 26 კაცისა, რომელნიც საავადმყოფოში მოათავსეს, დაზარალდენ კიდევ რამდენიმე კაცი, რომლებიც მსუბუქათ არიან დაჭრილი. (ადს).

## 100.000 მანეთის მოგება

**ლენინგრადი**, 8 ივნისი. 100.000 მანეთის მოგება 1926 წლ. ობლიგაციით იმის გამო, რომ ობლიგაცია გაიყო, 4 ნაწილად განაწილდა. 3 ნაწილი მოგებისა შეხვდათ: ელექტრო-ტექნიკოს, მოსამსახურეს და დიასახლისს. (ადს).

## აკად. კონის ავადმყოფობა

**ლენინგრადი**, 8 ივნისი. მძიმედ ავად გახდა აკადემიკოსი კონი. (ადს).

## დახმარება უმუშევრებს

**მოსკოვი**, 8 ივნისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ განმარტა, რომ ახალი წესების თანახმად, იმ პირთ, რომელნიც სამუშაოს თავის ნებით სტოვებენ, აქვთ უფლება მიიღონ უმუშევრობის დახმარება. (ადს).

## სტიქიური უბედურება

**მინსკი**, 8 ივნისი. 6 ივნისს ღამით ბელორუსიაში მოვიდა არაჩვეულებრივი ძალის ნიაღვარი. მოსკოვ-ბელორუსიის რკინის გზის ხაზზე გზა წალეკილია; ხიდი ბერეზინაზე დაზიანებულია. ღამით მოვიდა ცნობები, რომ ბორისოვის ოლქში წალეკილია გზები და ნათესი. ბორისოვში ბევრი სახლები დანგრეულია. ველები ქალაქის ირგვლივ და ბოსტნების 70 პროც. წალეკილია. (ადს).

## ხის დამმუშავებელთა კონფერენცია

**მოსკოვი**, 8 ივნისი. 7 ივნისს აღმშენებელთა სასახლეში გაიხსნა ხის დამმუშავებელთა მე-8 საკავშირო კონფერენცია. (ადს).

# ამხ. ვოიკოვის მოკვლის შემდეგ

## ლიუციუსის სამძიმარი

**ბერლინი**, 7 ივნისი. ბერლინში მყოფმა გერმანიის ელჩმა ააგაში ლიუციუსმა ინახულა საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი ბერლინში ამხ. ბროდოვსკი და მწუხარება განუცხადა ამხ. ვოიკოვის მკვლელობის გამო. (ადს).

## პოლონეთის სეიმის კომფრაქციის დეპეშა

**ვარშავა**, 8 ივნისი. პოლონეთის სეიმის კომფრაქციამ გერმანიის რეიხსტაგის და საფრანგეთის პარლამენტის კომფრაქციებს, ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციას და ინგლისის თემთა პალატის კომუნისტ დეპუტატს საკლატვალას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„საბჭოთა ელჩი ვოიკოვი მოკლულია ვარშავაში. ძირს ომი!“ (ადს).

## სამგლოვიარო კრება

**ბერლინი**, 7 ივნისი. ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო ნიშნად მგლოვიარებისა საბჭოთა სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლობაზე დროშები დახრილია.

ბერლინში შესდგა საბჭოთა ახალშენის სამგლოვიარო კრება, რომელსაც რამდენიმე ასეული კაცი დაესწრო.

წარმოთქმულ სიტყვებში **ბროდოვსკი**, **ბეგი** და **ხინჩუკი** ახასიათებდენ ამხ. ვოიკოვს, როგორც რევოლიუციონერს და საბჭოთა მუშაკს.

კრებამ დაადგინა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საბჭოთა კავშირის ცაკს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ვარშავაში და გარდაცვალებულის ოჯახობას.

გარდა ამისა, კრებამ დაადგინა გაგზავნოს მკაცრი საპროტესტო დეპეშა.

## წითელი ფრონტელების დეპეშა

გერმანიის წითელ ფრონტელების კავშირის მთავრობამ ბერლინიდან მიიღო წითელი ფრონტელების კავშირის შემდეგი დეპეშა:

„გერმანიის წითელი ფრონტელების კავშირის წარმომადგენლები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის მთავრობას ვარშავაში წითელი ელჩის ამხ. ვოიკოვის მუხანათურათ მოკვლის გამო. პირველ მუშათა სახელმწიფოს ჯარის კაცებს, მუშებს და გლეხებს უცხადებთ ჩვენ ულრმეს სამძიმარს წითელი ფრონტელების კავშირის ყველა წევრების სახელით.

## ბერლინის საელჩოში

**ბერლინი**, 7 ივნისი. პოლონეთის და ესტონეთის ელჩებმა ბერლინში პირადათ ინახულეს საბჭოთა კავშირის საელჩო და გამოსთქვეს სამძიმარი ვოიკოვის მოკვლის გამო. (ადს).

## შთაბეჭდილება გერმანიაში

**ბერლინი**, 7 ივნისი. ამხ. ვოიკოვის მკვლელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში.

პრესა ხაზს უსვამს, რომ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა სამძიმარი განუცხადეს საბჭოთა მთავრობას მოსკოვში, ვარშავაში და ბერლინში.

ვინაიდან ცნობა მკვლელობის შესახებ მიღებულ იქნა მხოლოდ ნაშუადღევს, კომენტარიებს ამ მკვლელობის ამბავს უკეთებს მხოლოდ რამდენიმე გაზეთი.

„როტე ფანე“-მ გამოუშვა სასწრაფო გამოცემა ანშლაგით: „ინგლისმა ტყვიები აამოქმედა. ომისაკენ წამქეზებელნი მუშაობას შეუდგენ“.

გერმანიის კომპარტია 8 ივნისს ბერლინში იწვევს ორ მასიურ საპროტესტო დემონსტრაციას. (ადს).

## ვარშავის წარმომადგენლობაში

**ვარშავა**, 7 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის და პრეზიდენტის მდივნების გარდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველი ვარშავაში ამხ. ულიანოვი ინახულეს აგრეთვე საფრანგეთის, გერმანიის, შვეციის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ფინეთის, ოსმალეთის და ლატვიის ელჩებმა, რომლებმაც სამძიმარი განუცხადეს ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო.

ყველა მინისტრებმა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დასტოვეს სავიზიტო ბარათები, რომელშიაც გამოსთქვამენ სამძიმარს.

სამძიმრის გამოსათქმელად ამხ. ულიანოვი ინახულეს აგრეთვე საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლებმა. (ადს).

## ამხ. ულიანოვის დანიშვნა.

**ვარშავა**, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ვარშავაში გადასცა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელშიაც აცნობებს, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი **ულიანოვი** შეუდგა საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის მოვალეობის დროებით ასრულებას ვარშავაში (ადს).

# უცხოელ კონსულების სამძიმარი

## პოლონეთის კონსულის სამძიმარი

**ლენინგრადი**, 8 ივნისი. პოლონეთის კონსულმა ლენინგრადში **შტარკმა** ინახულა ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კომაროვი და გადასცა მას სამძიმარი პოლონეთის მთავრობის სახელით ვარშავაში სრულუფლებიანი წარმომადგენელის ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო.

**ამასთანავე შტარკმა განაცხადა პოლონეთის მთავრობის სახელით, რომ მკვლელი სასტიკათ იქნება დასჯილი.**

საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ლენინგრადში ამხ. **უმშლია** ინახულეს **შტარკმა**, შერეულ კომისიებში მონაწილე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **სუხოდოლსკიმ** და ლატვიის გენერალურმა კონსულმა **ბირზსკიმ**. ამხ. უმშლიას მათ გადასცეს სამძიმარი და გამოსთქვეს თავიანთი მწუხარება ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო (ადს).

## პოლონეთის გენერალური კონსულის განცხადება.

გუშინ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებული ამიერ-კავკასიის მთავრობასთან ამხ. **კარკლინი** ინახულა პოლონეთის გენერალურმა კონსულმა თბილისში მოქ. **მოსტოვსკიმ** და სთხოვა მას გადასცეს ამიერ-კავკასიის მთავრობას პოლონეთის მთავრობისა და მისი სახელით ღრმა აღშფოთების გრძნობა საბჭოთა კავშირის ელჩის **ვოიკოვის** გაუგონარ ვერაგულად მოკვლის გამო ვარშავაში.

გამოსთქვა რა თავისი ღრმა სამძიმარი, მოქ. **მოსტოვსკიმ** სთხოვა ამხ. **კარკლინს** პოლონეთის მთავრობის სახელით დაარწმუნოს ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომ ის და პოლონეთის მთავრობა კიცხავენ მომხდარ ბოროტმოქმედებას და დამნაშავე დასჯილი იქნება კანონის მთელი სისასტიკით.

---

გუშინვე ამხ. **კარკლინი** ინახულეს და ამხ. **ვოიკოვის** მოკვლის გამო სამძიმარი გამოუცხადეს გერმანიის გენერალურმა კონსულმა თბილისში მოქ. **პრიუფერმა** და სპარსეთის გენერალურმა კონსულმა თბილისში მოქ. **მირ-ალი-ხან-ზაჰირმა**.

ამას გარდა, ამხ. კარკლინს წერილობითი სამძიმარი გამოუცხადა იტალიის გენერალურმა კონსულმა თბილისში—მოქ. **ზენოტი ბიანკო მარიომ**.

# საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

## პლენუმის დღის წესრიგი

## ა.-კ. საოლქო კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობა

ა.-წ 7-8 ივნისს გაიმართა საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. **ბეკზადიანის** და **ნაზარეტიანის** მოხსენებები ამიერ - კავკასიაში საცალო ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, ამხ. **ლუკაშინის** მოხსენება 25-26 წლის სამრეწველო აღმშენებლობის გეგმის ფაქტიურ შესრულების შესახებ და აგრეთვე ამხ. **ორახელაშვილის** განცხადება კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმზე ოპოზიციის ლიდერების გამოსვლის შესახებ.

პლენუმმა გადასწყვიტა დანიშნოს ამხ. **ორახელაშვილი** ა.-კ. საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ამხ. **ნაზარეტიანი** მეორე მდივნად. ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეთ კი — ამხ. **ლუკაშინი**.

---

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს ა.-კ. მრეწველობის განვითარების შესახებ და ოპოზიციის დეზორგანიზატორულ გამოსვლის წინააღმდეგ მოვათავსებთ ხვალ.

# თბილისის პროლეტარიატის საპროტესტო დემონსტრაცია

## გუშინ, დემონსტრაციაზე

### (შთაბეჭდილებანი)

— წაიკითხე, ეს რა ამბავია, მთლად აიხსნეს ალვირი?

— არ მესმის...!

გაზეთი არ წაგიკითხავს?

— არა ჯერ. აი წაიკითხე. ჩვენი წარმომადგენელი მოუკლავთ პოლონეთში. მართალია! აგერ გაზეთის თავში მოსჩანს ეს რამოდენიმე სიტყვა. თავს ძალას ვატან, მინდა, შიგ გაზეთში დაწვრილებითი ცნობები ამოვიკითხო. ვეღარ მოვახერხე. ან კი რისი მაქნისია?

— მოუკლავთ?

— მოუკლავთ! ეს ამბავი ნაცნობ მუშამ მითხრა. ჩემს უბანში ცხოვრობს. მას სამუშაოზე უნდა მიეჩქარებოდეს, მაგრამ აქ დაას.

— რა ვუყოთ? რაღაი დაიწყეს, აწი მავისთანა რამეებს აღარ მოგვეშლიან ჩვენი მტრები—ისინი კი არ მოგვეშლიან, მაგრამ ჩვენ?

ჩვენ რას ვშვებით. არ კმარა?

ეს მუშა როდია მაინცა და მაინც ისეთი კაცი, რომელიც ადვილად „სარზე გადაეხვეა“.

მისი კილო და ლაპარაკი დღეს მე მეუცხოვა.

— ჩვენც თავის დროზე გავცემთ პასუხს. არავის არ შერჩება ჩვენი კორტნა.

— რას გვემართებიან, იქეთ არ ვაწუხებთ, აქ კი რას გვეცილებიან!

— ნეტავი მაგრე იყოს, მაგრამ, ვინ მოგასვენებს, ჩვენი სიძლიერე, ჩვენი დაწინაურება, მათთვის სიკვდილის განაჩენია.

— ეს ინგლისის საქმეა—ყველაფერი შფოთის თავი ისაა.

— ინგლისს ყველაზე მეტი ჰქონდა, იმას ყველაზე მეტათ უწუხს გული. ხომ უყურებ ჩინეთში რა ამბებია?

— კი მაგრამ, როგორ ჰგონიათ, ჩვენ ასე დაუცენებდებით, ხელმოკრეთ დავიჯერებ თავზე.

— მაგის იმედი ვისაც აქვს, ჩქარა დარწმუნდება, რომ მათი ანგარიში შემცდარია.

ვინ იცის, რამდენს უხარია გულებში...

საცოდავები, ისინი ვერც კი ამჩნევენ, თუ რამდენი და როგორი ძალაა დაგუბებული ამ ისეთ ხალხში, როგორიცაა აი ის ჩემი ნაცნობი ჩია-კაცი „უბრალო მუშა“.

ის ხომ ოჯახის პატრონია, ოჯახის მოვლაზეა გადაყოლილი.

ის „წყნარი“ ადამიანია!

ხანდახან ის დაუმალავათ ეწევა კრიტიკას საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებისას, მაგრამ ჩემ ყურს ეს კრიტიკა უფრო საამოთ ესმის, ვიდრე ზოგიერთი ოხერის კონტათ შელამაზებული ქება.

შრომის რესპუბლიკას, მშრომელთა ბანაკს მტრების მხრიდან აშკარათ ესმის კბილთა ღრჭიალი, იქ შიშითა და სიძულვილით აფორიაქებულნი ამუარს ისხამენ.

გაზეთი ვიყიდე, სახლში დავბრუნდი.

თავს ძალა დავატანე, გადავიკითხე.

ვიღაც ლაწირაკი ისვრის, ჰკლავს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს. ოთხი ტყვია მოხვდა ვოიკოვს.

პეკინი, ლონდონი, ლოზანა, რიგის აქეთ მომავალი მატარებელი.

ჩერინი, როზენჰოლცი, ვოროვსკი, კიდევ ის ორი დიპლომატიური ფოსტის წამომღები... გვარები არ მახსოვს. ერთი ზედ დააკვდა ფოსტას, მეორე მომაკვდავი, მაგრამ ფოსტას არავის ანებებს...

ზოგი გადარჩა, ზოგი მოჰკლეს, ვინ იცის კიდევ რამდენისათვის ამზადებენ მოწამლულ ტყვიებს?

აი ის გმირები, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანა აგზავნის კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში.

ბრიყვები, საბჭოთა რესპუბლიკაზე გულმოსულნი, საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის სიძულვილით აღსავსე გულის ბოღმას აქ თითო-ოროლა ჩვენ წარმომადგენლებზე იყრიან.

რა სიბრიყვეა, რა სიგიჟეა, რა უძლურებაა!

განა ჩვენ ქვეყანას ასეთი გმირები ერთი, ან ორი ჰყავს?

განა ვინ თუნდა ის ამ დილაზე რომ მელაპარაკებოდა, „უბრალო მუშა“ ისეთივე გმირული ამაყობით არ შეუშვერს გულს ტყვიას, როგორც ისინი, ვინც მტრის მოწამლულმა იარაღმა ჩვენ რიგებს გამოაკლო?

მათ ამის შენიშვნა, ამის აღიარება არ შეუძლიათ.

არა, საბჭოთა ქვეყანას გმირები არ დალევია. ის, ვინც დღეს თავგამოდებით სცემს მძიმე უროს გახურებულ რკინას, რომ რაც შეიძლება მალე გამოჭედოს ახალი ცხოვრების თავისუფალი შრომის სამეფოს ბედი, ის ხვალ, თუ საჭიროებამ მოიტანა, ისეთივე სიმარჯვით და უფრო მეტი ხალისით დასცხებს ყველა ქვეყნის შუბლ მაგარ პირუტყვების თავის ქალას.

*

საღამოა.

ნელი ნაბიჯით, ზღვა გაქმინდილი მოგორავს ტალღა ახალი მოკლე წარწერებით შემოსილი პლაკატებით:

— „ვოიკოვის მკვლელობას ჩვენ არავის შევარჩენთ!“

— „ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ საომრათ მზათ ვართ“!

— „პოლონეთის მთავრობა ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ვოიკოვის სიკვდილში“.

ოღონდაც! განა პოლონეთი არ ჰკვებს ან არ ასაზრდოებს საბჭოთა ქვეყნიდან გადაყრილ კონტრ-რევოლიუციონურ ნაგავს?

განა პოლონეთი ის საერთაშორისო „ზოოლოგიური ბაღი“ არაა, სადაც თავმოყრილია საბჭოთა ქვეყნის ყველა ჯიშისა და მოდგმის გაპირუტყვებული კონტრ-რევოლიუციონერები?

ვინ მოჰკლა ვოიკოვი?—ვიღაც რუსეთიდან განდევნილმა ოხერმა, მაგრამ ასეთი ოხრები დღეს იქ „ძვირფასი სტუმრები“ არიან.

შეიძლო ეს „სასახელო საქმე“ ჩვენი—საქართველოს ვინმე „მამულიშვილსაც“ ეკისრებია—ისინიც ხომ ბლომათ არიან ეხლა პოლონეთში.

გაჭედილია რუსთაველის პროსპექტი.

ეს დემონსტრაცია რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს, მოდის ისე რომ მთელი თბილისის ყველაზე უფრო განიერი ქუჩა პირისპირამდე გატენილია ხალხით.

— „ძირს ინგლისის ბურჟუაზიის მზაკვრული ხელი“. ისმის დემონსტრაციის რიგებიდან.

ძირს! გუგუნებს მთელი ეს ზღვა.

თბილისში დღეს ამიერ-კავკასიის ცაკის სესიაა თავმოყრილი.

ისინიც აქ არიან—სასახლის წინ. დემონსტრანტების შესახვედრათ გამოსულან.

ძირს მუსავატი, დაშნაკი, მენშევიკები, ხმამაღლა ისვრის ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი ვიღაც აზერბეიჯანელი მუშა.

მან რუსული ნაკლებათ იცის. ქართული სულ რამოდენიმე სიტყვა და ეს სიტყვები:

„გაუმარჯოს მუშას!“

ამ სიტყვებით მიმართავს ის დემონსტრაციას.

ტალღა ტალღას მოსდევს.

ნელა მოღელავს, მოგორავს ეს ხალხის ზღვა.

დავინახე ჩემი ნაცნობი მუშაც.

აღარ ეტყობა მის სახეს დაბნეულობა. მის მშფოთვარედ შეკრულ წარბებში, მის დანაოჭებულ შუბლზე მე უკვე წავიკითხე იმ კითხვების პასუხი, რომელიც მას ასე მწვავეთ აწუხებდა ამ დილაზე.

**„ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ ომისათვის მზათ ვართ!“**

— აი რა ამოვიკითხე მე მის სახეზე—ეს ეწერა ერთ და შეიძლება ბევრ სხვა პლაკატებზე—მე ყველა არ შემინიშნავს, მაგრამ ეს ეწერა დღეს ყველა ამ ხალხის სახეზე.

**პ. მ. საყვარელიძე.**

## დამნაშავენი ღირსეულ პასუხს მიიღებენ

### (რკ.-გზის მთავარი სახელოსნო)

8 ივნისს, დღის 2 საათზე, ა.-კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშამოსამსახურენი დაახლოვებით 2800 კაცამდე შეიკრიბნენ ამავე ქარხნის ამწყობთა საამქროში, სადაც კრებას ამხ. ჯიოევმა ინფორმაციული მოხსენება გაუკეთა პოლონეთში ამხ. ვოიკოვის ვერაგულათ მოკვლის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. ჯიოევის მოხსენება პოლონეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელის ამხ. **ვოიკოვის** მოკვლის შესახებ. ა.-კ. რკინის გზათა თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშების საერთო კრება თავის სამძიმარს გამოსთქვამს და აღნიშნავს, რომ ამხ. ვოიკოვი დაეცა თავის რევოლიუციონურ პოსტზე, განგმირული შავრაზმელების ტყვიით. ამასთან ერთად კრება პროტესტს აცხადებს ასეთ გაუგონარ ტერორისტულ აქტის წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილ იქნა პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

უკანასკნელ წელს ახასიათებს მთელი რიგი თავდასხმები ჩვენს წარმომადგენლობებზე, რაც იმას მოწმობს, რომ იმპერიალისტებს სურთ ჩაგვითრიონ ჩვენ ახალ მსოფლიო ომში.

ინტრიგები და ტერორიზმი აშკარა ხასიათს ღებულობს, საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ წესებს დაარღვევს გზით.

უკანასკნელი ტერორისტული აქტი მეტად და მახასიათებელია იმით, რომ პოლონეთის მთავრობას წინასწარ არ მიუღია სათანადო ზომები თეთრგვარდიელების დანაშაულებრივ მოქმედების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარ სახელოსნოების მუშების საერთო კრება აცხადებს, რომ პოლონეთის მთავრობა პასუხისმგებელია მომხდარი აქტისათვის და ამიტომ ის ვალდებულია მიიღოს ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ სათანადო ზომები.

ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ბურჟუაზია ინგლისელ კონსერვატორების მეთაურობით ცდილობს ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა. ჩვენ ომისათვის არ გვცალია, ჩვენ ვაშენებთ სოციალისტურ სახელმწიფოს, მაგრამ თუ ვინმე ხელს შეგვიშლის ჩვენს მუშაობაში, ღირსეულ პასუხსაც მიიღებს.

ჩვენ მოვითხოვთ საქმის დაწვრილებით გამოძიებას და ამხ. ვოიკოვის მკვლელის სასტიკად დასჯას.

ძირს თეთრგვარდიელთა ბანდები!

ძირს ინგლისელი კონსერვატორები!

## თბ. დეპოს და სარონოდო ფარეხის მუშა - მოსამსახურეთა კრება

ათას ხუთასამდე კაცი შეკრებილა მომხდარ ამაღელვებელი ამბის გამო და უსმენ საინფორმაციო მოხსენებას ამხ. ს. ღლონტს. კრებას ერთ ხმად გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა ამხ. სოლომონ ღლონტის ინფორმაცია პოლონეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის ამხ. ვოიკოვის მოკვლის გარშემო, გამოვსთქვამთ ჩვენს აღშფოთებას და მწუხარებას ამის გამო. კრება გამოსთქვამს სასტიკ პროტესტს ვერაგული მკვლელობის გამო, რომელიც მოხდა პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მიმდინარე წელი ხასიათდება მთელი რიგი თავდასხმით ჩვენს წარმომადგენლობებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იმპერიალისტებს სურთ ჩაითრიონ ჩვენი კავშირი ახალ მსოფლიო ომში.

უკანასკნელი ტერორისტული აქტი, დამახასიათებელია იმით, რომ პოლონეთის მთავრობამ არ მიიღო სათანადო ზომები თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ.

კრება აცხადებს, რომ პოლონეთის მთავრობა, უნდა იქნეს მომხდარ აქტისთვის პასუხისმგებელი. ამისათვის მათ ევალებათ მიიღონ სათანადო ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ბურჟუაზია, ინგლისის კონსერვატორების მეთაურობით სცდილობს, რომ შეუშალოს ხელი ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენ არ გვცალია ომისათვის, ჩვენ ვართ მშენებლები სოციალისტური სახელმწიფოსი, მაგრამ თუ ვინმემ შეგვიშალა ხელი, ჩვენს მუშაობაში, იგი მიიღებს სათანადო პასუხს.

ჩვენ ვთხოულობთ შეწყდეს ყოველგვარი ინტრიგა იმპერიალისტების მხრივ, ჩვენ მოვითხოვთ საქმის დეტალურ გამოძიებას და ამხ. ვოიკოვის მკვლელის მკაცრ დასჯას.

ძირს თეთრგვარდიელთა ბანდა!

ძირს ინგლისის კონსერვატორები.

## ბურჟუაზია თავის დროზე პასუხს აგებს

### (1-ლი სტამბის მუშა - მოსამ.-ხმა)

8 ივნისს, დღის სამ საათზე, შესდგა პოლიგრაფ ტრესტის პირველ სტამბის, ასოთ ჩამომსხმელ და ლევინის ქარხნების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა: მოხსენება პოლონეთში საბჭოთა ელჩზე თავდასხმის შესახებ. ამხ. ლობჟანიძემ გააცნო კრებას პოლონეთში მომხდარი საზიზღარი მკვლელობის შესახებ საბჭოთა კავშირის კონსულზე ამხ. ვოიკოვზე. ასეთი თავდასხმა ჩვენს წარმომადგენლებზე პირველი არ არის. მას აწყობს ინგლისის ყველაზედ უფრო რეაქციონური მთავრობა.

თავდასხმები დაიწყო პეკინ - შანხაიში შემდეგ ინგლისში და ბოლოს კი პოლონეთში. აშკარათ სჩანს, რომ კაპიტალისტებს სურთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სისხლში ჩახრჩობა, მაგრამ უნდა იცოდნენ მათ, ვინც ფიქრობს პროლეტარული სახელმწიფოს განადგურებას, უწინ თვით განადგურდება.

ჩვენ აღნიშნული წარმოების მუშა - მოსამსახურენი მოვითხოვთ საბჭოთა საკავშირო მთავრობისაგან, რათა მან მიიღოს გადამწყვეტი ზომები ყველა ჩვენი დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ. გვეყო მოთმენა და ლოიალობა საზიზღარ იმპერიალისტების მიმართ. ჩვენ პატივის ცემით მოვიგონებთ ძვირფას ამხ. ვოიკოვს და ფიცსა ვდებთ მის ცხედრის წინაშე, რომ საბოლოოთ შევძლებთ სოციალიზმის აშენებას.

## სიკვდილი მათ, ვინც ხელს გვიშლის აკადემიურ მუშაობაში

### (სახელმწიფო უნივერსიტეტში)

საღამოს 6 საათია. უნივერსიტეტის ყველა კორიდორები და ვეებერთელა ეზო გაჭედილია სტუდენტობით. გამოიტანეს დროშები და პლაკატები სხვადასხვა ლოზუნგებით.

— სტუდენტებო,—იწყებს სიტყვას პროფ. **კეკელიძე**—დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რომ ჩვენი გულისწყრომა გამოუცხადოთ მათ, ვისაც სურს დაარღვიოს ჩვენი მყუდროება. მთელი ქვეყნის კაპიტალისტები ვერ ურიგდებიან ჩვენ სახელმწიფოში წარმოებულ აღმშენებლობას და იმ პრინციპებს, რომლითაც ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს. მათ სურთ ჩაგვითრიონ ომში, რომ საბაბი მიეცეთ ჩვენი სახელმწიფოს დასახრჩობათ. ასეთ მომენტში ჩვენ გვმართებს მზად ყოფნა ყოველგვარი მოსალოდნელობისათვის.

— სიკვდილი მას, ვინც ჩვენ ხელს გვიშლის მშვიდობიან აკადემიურ მუშაობაში. გაუმარჯოს ჩვენი თავდაცვის საქმეს!—დაასრულა თავისი სიტყვა პროფ. **კეკელიძემ** და ტაშის გრიალმა შეიცვა არე-მარე.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სხვადასხვა დარგის სტუდენტობის წარმომადგენლებმა.

— სტუდენტობა მზადაა გავიდეს ბრძოლის ველზე ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ—აცხადებენ ერთხმად სტუდენტების წარმომადგენლები.

დასასრულ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ამხ. ვოიკოვის ვერაგულათ მოკვლის გამო.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მიტინგი გაემართა დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებათ.

## ზიზღი ამხ. ვოიკოვის მკვლელებს

### (თბილ. აღმასკომის მუშა-მოსამსახ. ხმა)

ნაშუადღევის 3 საათისათვის თბილისის ქალაქის აღმასკომის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს ქალაქის აღმასკომისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა. მიტინგზე მონაწილეობის მიღების მსურველები ვერ დაიტია ვეებერთელა დარბაზმა და გაიჭედა აღმასკომის ყველა კორიდორები და აივნები.

მიტინგი გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ლადო სუხიშვილმა**, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მიტინგის მოწვევის მიზეზები. სიტყვით გამოვიდა ამხ. **მ. გავაშელი**. მან ვრცელი მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა ფაშისტური ბურჟუაზიის ცდა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ომის გამოწვევას.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდა ამხ. **გ. დოლიძე**, რომელმაც ილაპარაკა იმპერიალისტების მორიგ პროვოკაციულ გამოსვლის შესახებ, რომლის მსხვერპლიც გახდა ამხ. ვოიკოვი.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ლ. ხუციშვილმა**, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება თავდაცვის საქმის ხელის შესაწყობად.

დასასრულ მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

— ზიზღი მკვლელებს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას. გაუმარჯოს სამოქალაქო ომებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ასე თავდება რეზოლიუცია.

## ომის პროვოკაციას — წითელი ჯარის მეტი განმტკიცებით ვუპასუხებთ

### (მე-2 ქართ. მსრ. დივ. კომკავშირის კონფერენციის რეზოლიუცია)

მე-2-რე ქართულ მსრ. დივიზიის კომკავშირის კონფერენციამ ამხ. ვოიკოვის ვერაგული მკვლელობის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ჯერ ისევ არ გამშრალა ამხ. ვოროვსკის სისხლი და თეთრგვარდიელების ბინძურმა ხელმა ჩამოგვაშორა ჩვენ რიგებს ძველი ბოლშევიკი, თავდადებული მებრძოლი ამხ. პ. ვოიკოვი.

თეთრგვარდიელების ასეთი თავაღებული მოქმედება შედეგია უკანასკნელ პოლიტიკურ ამბების გართულების. „შუბლმაგარნი“ არ ისვენებენ და აშკარად თუ მალულად სცდილობენ შექმნან მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტი. სიკვდილის წინ მყოფი ბურჟუაზია თავის ბატონობის შესანარჩუნებლად სცდილობს გამოიყენოს ყველა საზიზღარი საშუალება და ბინძური ძალები

„შუბლმაგართა“ ერთგულ ფინიებათ ამჟამად არიან სოციალ - შოვინისტები, მენშევიკები და წყალ - წაღებული მონარქისტ - თეთრგვარდიელები.

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართული მსროლელ დივიზიის 1-ლი ა. ლ. კ. კ. კონფერენცია მთელი თავისი შემადგენლობით საშინელი აღშფოთებით შეხვდა თეთრგვარდიელების ვერაგულ გამოსვლას.

ამხ. ვოიკოვის სიკვდილი ოდნავათაც არ შეარყევს ჩვენ რიგებს, არამედ ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ მტრებს წითელი ჯარის საბრძოლო უნარიანობის მეტი განმტკიცებით.

კონფერენცია აცხადებს სასტიკ პროტესტს ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო, რაც კიდევ ერთი სიგნალია „შუბლმაგართა“ მხრივ ომის გამოსაწვევათ.

ძირს პანების და ლორდების იმპერიალისტური საქმიანობა.

გაუმარჯოს კომპარტიას ყველა ქვეყნებში.

გაუმარჯოს წითელ ჯარს.

# სრ. საქ. მწერალთა კავშირის მოწოდება

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებულმა პრეზიდიუმმა, რომელიც აერთიანებს ქართული ლიტერატურის მუშაკებს განურჩევლად ჯგუფებისა და პოლიტიკური მრწამსისა, მოისმინა რა თავის სხდომაზე 8 ივნისს კავშირის თავმჯდომარის მოქ. ა. აბაშელის მოხსენება შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მიმართა ქართველ ხალხს და მთელს კულტურულ კაცობრიობას შემდეგი მოწოდებით:

1. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის, გლეხობის და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ღონისძიებათა შემწეობით მსოფლიოს ვეებერთელა ნაწილი—ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა მეფის თვითნებური რეჟიმისაგან, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იქცა ხალხთა თავისუფალ ერთობის ქვეყნად მშრომელთა დიქტატურის დროშის ქვეშ.

2. მეფის გენერლების ყოველ გვარი ცდა, დამარცხებული და ქვეყნიდან განდევნილი ბურჟუაზიის ყოველგვარი ღონისძიება, საერთაშორისო კაპიტალის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყველა ოინები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, დაამსხვრია საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ურყევ ნებისყოფამ; უკანასკნელებმა ომის შემდგომი ნგრევის საშინელ პირობებში, როცა მათ იარაღიც კი არ გააჩნდათ საბრძოლველად, შესძლეს კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხვ. დამარცხება და განდევნა შრომის რესპუბლიკის საზღვრებიდან; მათ მოიგერიეს პოლონეთის თავდასხმა, ეკონომიური ბლოკადა და უცხოელების ინტერვენცია. ბრძოლის ამ მძიმე, აუწერელ გაჭირვებით სავსე წლებმა საბჭოთა კავშირის მშრომელებს არგუნეს საბოლოო გამარჯვება მტერზე.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა მშვიდობიანი შრომის უფლება, და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა სამოქალაქო ომით გამოწვეული ჭრილობები, მან თავისი ძალების დაუზოგავად გაშალა მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტი.

3. მთელი მსოფლიო იმის მოწამეა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და მუშათა კლასი მთელს თავის ყურადღებას აქცევს სამოქალაქო ომისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, ქვეყნის ახალი კულტურული ფონდის შექმნას, მუშური სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცების საერთო საქმეში მოსახლეობის ყველა ქვეყნების ჩაბმას, საერთაშორისო ხასიათის საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას და საერთოდ მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას. ამ რიგად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ დასახული მიზნები წარმოადგენენ უკეთილშობილეს მიზნებს, მიმართულს იმ პრინციპების განხორციელებისაკენ, რომელთათვის კაცობრიობის საუკეთესო შვილები იბრძოდენ.

4. მაგრამ მთელ რიგ წლების მანძილზე, დასავლეთ ევროპა, რომელიც თანამედროვე კულტურის კერათ არის მიჩნეული, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველ კლასების სახით, დაჟინებით და სისტემატიურად სცდილობს დალუპოს მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ისინი ამ საქმისათვის არა თუ ახდენენ საკუთარ ცოცხალ და ფინანსიურ ძალების მობილიზაციას, არამედ საბჭოთა კავშირიდან განდევნილ ელემენტებს შორის, როგორც ქართულ ემიგრაციის, ისე რუსულ მონარქიზმის რიგებიდან ფულით უიდულობენ რევოლიუციის უველაზე უბოროტეს, ყველაზე ამორალურ მტრებს.

5. და აი, ჟენევაში ჰკლავენ ვოროვსკის, პეკინში ძარცვავენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, ახდენენ ძალადობას საბჭოთა მოქალაქეებზე, ლონდონში არბევენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობას, სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოებთან. დაბოლოს, პოლონეთში მუხანათურად ჰკლავენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩს ამხ. ვოიკოვს.

6. და როცა ხდება ასეთი დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტები, ჩვენ, ქართველ მწერლების იმ გაერთიანებულ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ არა კომუნისტები, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია საპროტესტოთ ავღიმაღლოთ ხმა, გავაფრთხილოთ ჩვენი ხალხი, რომ მის მომავალს, მის მშვიდობიან შრომას ემუქრება საფრთხე იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიის მხრივ და, რომ ამ საფრთხის წინაშე ქართული ლიტერატურის მოღვაწეები მშრომელი ხალხის და რევოლიუციის სადარაჯოზე დგანან.

7. ჩვენ, ქართველ მწერლებს, საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ ხაზი გაუსვათ ჩვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ ფაქტს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპებზე აღმოცენებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროთ აახლოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებასთან და დღითიდღე არწმუნებს მათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ გაფურჩქვნის და აღორძინების უპირველესი საწინდარი, კერძოდ საქართველოში, არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ოქტომბრის რევოლიუციის დიად პრინციპების გამარჯვება.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გვაძლევს ჩვენი ნაციონალური აღორძინების სრულ გარანტიას და მოუწოდებთ კაცობრიობის კულტურულ წარმომადგენლებს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ჩვენი მტრების ახალი ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანია კვლავ თავს დაგვატეხონ ომისა და ინტერვენციის ახალი საშინელებანი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი:
ა. აბაშელი,
პავლე ინგოროყვა,
ტიციან ტაბიძე,
პაოლო იაშვილი,
გერონტი ქიქოძე,
ვახტანგ კოტეტიშვილი,
დემნა შენგელაია,
ნიკოლოზ მიწიშვილი,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

# ა.-კ. ცაკის მეორე სესია

## პირველი სხდომა

გუშინ საღამოს სახახლის წითელ დარბაზში გაიხსნა ა.-კ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების მე-4 მოწვევის საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესია.

სესია გახსნა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **კასიანმა**.

— სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდეთ,—სთქვა ამხ. კასიანმა,—პატივი ვსცეთ თეთრგვარდიელ კონტრ-რევოლიუციონერის ხელით დაღუპულ ამხ. **ვოიკოვის** ხსოვნას.

ყველა ფეხზე დგება.

დელეგატების ჯგუფს წინადადება შემოაქვს დღის წესრიგში შეტანილი იქნეს მთავრობის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

სიტყვა მოხსენებისათვის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ეძლევა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. **მამია ორახელაშვილს**.

ამხ. მ. ორახელაშვილის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

დელეგატები ფეხზე ადგომით ესალმებიან ამხ. მ. ორახელაშვილს.

მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი

### რეზოლიუცია

ა.-კ. მეოთხე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია, რომელმაც მოისმინა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **მამია ორახელაშვილის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ პოლონეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელის ამხ. **ვოიკოვის** მოკვლასთან დაკავშირებით, მთელი ა.-კ. მშრომელი მასების სახელით ულრმეს პროტესტს აცხადებს იმპერიალისტურ მტაცებლების მორიგ თავხედურ პროვოკაციის წინააღმდეგ,—იმ იმპერიალისტების, რომლებიც ყოველის მხრივ სცდილობენ პროვოკაციის საშუალებით ჩაბან საბჭოთა კავშირი ომში.

თავდასხმა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოზე. ჩვენი საკონსულოსათვის ალყის შემორტყმა შანხაიში, პოლიციის თავდასხმა სავაჭრო დელეგაციაზე ლონდონში. დიპლომატიური ურთიერთობის პროვოკაციული გაწყვეტა ინგლისის მხრიდან და, ბოლოს, ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელის მოკვლა პოლონეთში წარმოადგენს განუწყვეტელ ჯაჭვს იმ ინტრიგების, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო და, უმთავრესად, ინგლისის იმპერიალიზმი მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მისი ომში ჩაბმის მიზნით.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ გაუფრთხილებია პოლონეთის მთავრობა პოლონეთის ტერიტორიაზე თავმოყრილ თეთრი ემიგრაციის საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მოქმედებისა და რუს კონტრ-რევოლიუციონურ ტერორისტულ ორგანიზაციების მხრიდან პროვოკაციული ბოროტმოქმედების შესაძლებლობის შესახებ, პოლონეთის მთავრობამ მაინც არ მიიღო საჭირო ზომები ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ.

ცაკის სესია ფიქრობს, რომ პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას მომხდარი ბოროტმოქმედებისათვის; სესია მოითხოვს საკავშირო მთავრობისაგან გადამწყვეტი ზომების მიღებას ასეთ ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთავად.

ამიერ-კავკასიის ცაკის სესია სავსებით იწონებს საკავშირო მთავრობის მოქმედებას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერესების დაცვისაკენ.

მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი და მშრომელი მასები კვლავ სდგანან ახალი მრისხანე ომის საშიშროების წინაშე. მოსალოდნელია აგრეთვე ახალი საზიზღარი ღალატი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის მხრიდან.

ომის მუქარა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოითხოვს პროლეტარიატის და გლეხობის ყველა ძალების დარაზმვას სამეურნეო ფრონტზე, უდიდეს ენერგიას ქვეყნის თავდაცვის მომზადების საქმეში, საზოგადოებრივ ორგანიზაციების (თავდაცვისათვის ხელის შემწყობი საზოგადოება—ავიაქიმი) თვითმოქმედების ყოველმხრივ განვითარებას და ამ ორგანიზაციებში მუშების და გლეხების მასიურ მონაწილეობას.

ა.-კ. ცაკის სესია ძმურ სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების სახელით ჩინეთის მშრომელებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან თავისი განთავისუფლებისათვის, და მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალიზმის ახალ ცდას, რომლის მიზანია თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ამ ციხე-სიმაგრეზე.

---

დღეს 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში
შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ)
**თბილისის კომიტეტის მე-5-ე პლენუმი**
რაიკომების პრეზიდიუმების წევრების, მსხვილ უჯრედთა მდივნების და სადუქნო კომისიების რაიონულ ბიუროების ფრაქციების თანადასწრებით.
**დღის წესრიგი:**
1) ა-წ. 1 ივნისისათვის საცალო ფასების დაკლების შედეგები.
2) მიმდინარე საკითხები.

# პარტიული ცხოვრება

## გორის სამაზრკომის პლენუმი

ა. წ. 5 ივნისს შესდგა ს. კ. პ. (ბ) გორის სამაზრკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრენ თემკომის მდივნებიც.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა:

1) სამაზრკომის პ. მ. მდივნის არჩევა.

2) 1927 წ. საბჭოთა არჩევნების შედეგები მაზრაში.

3) საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა.

4) საგზაო მშენებლობის და შრომის ბეგარის საკითხი.

სხდომის გახსნისთანავე პლენუმმა სამაზრ პარტკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. არჩილ გიორგაძე. პლენუმმა მოისმინა ამხ. თ. კორისაველის მოხსენება საბჭოთა არჩევნების შედეგების შესახებ. პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევების, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ არჩევნებში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ღარიბის და საშუალო გლეხობის დარაზმვას კულაკების წინააღმდეგ.

არჩევნების შედეგები ასეთია მაზრის საბჭოში არჩეულია 200 წევრი, მუშების რიცხვი აქედან, 12,1 პროც.; გლეხობის 72 პროც.; ღარიბი 56,3 პროც.; საშუალო 4 პროც.; მასწავლებლობის, ექიმების და აგრონომების 3, 1 პროც., უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტების და კომკავშირელების პროცენტი გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. კომუნისტები: 24, 5 პროც.; ნაცვლად 21,8 პროც-ის; კომკავშირელები 11, პროც., ნაცვლად 9, 9 პროც.

საკრედიტო ამხ-თა კომფრაქციის მოხსენების ირგვლივ პლენუმმა აღნიშნა შემდეგი სუსტი მხარეები:

გეგმიანი მუშაობის დაყენების სისუსტე, ზოგიერთ ამხანაგობებში საპარატო ხარჯების გადაჭარბება, საანაბარო თანხების სუსტად მოზიდვა, ცენტრის სუსტი ხელმძღვანელობა ამხანაგებზე.

პლენუმმა მოისმინა ამხ. არ. გიორგაძის ცნობა, ამხ. ტროცკის ზინოვიევის და ვუიოვიჩის უკანასკნელ გამოსვლების შესახებ.

პლენუმმა ერთხმად გაჰკიცხა მათი დეზორგანიზატორული გამოსვლები და აღუთქვა ლენინურ პარტიას და მის ცეკას, რომ გორის მაზრის ორგანიზაცია მტკიცედ დაიცავს ლენინურ პარტიის მთლიანობას და სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმათ, ვინც მოინდომებს ლენინურ პარტიის მთლიანობის დარღვევას.

**შ. მიქელოვი.**

## მეორე გამოშვება

1925 წ. 23 ნოემბერს საკ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებით ა.-კ. „26" სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტთან გახსნილ იქნა კოოპერატიული კურსები.

კურსების ძირითად ამოცანას შეადგენდა: მომზადებია ნამდვილი კოოპ. მომუშავეები, როგორც ძირითადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები, ისე კვალიფიციურ, ტეხნიკური შემადგენლობა.

1925-26 სამოსწ. წლის დასაწყისში კურსებზე მიღებულ იქნა ადგ. კოოპ. ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი პირები—რიცხვით 81 კაცი; მათ შორის 21 თავისუფალი მსმენელი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთი ამხანაგები სხვადასხვა მიზეზებისა გამო გაბრუნებულ იქნენ კურსებიდან; დარჩა სულ 75 კაცი, მათ შორის 15 თავისუფალი მსმენელი, რომლებიც სარგებლობდენ მხოლოდ უფასო სწავლებით.

კურსანტების მრავალფეროვანი შემადგენლობა, მათ მიერ რუსული ენის სუსტად ცოდნა და ის გარემოებაც, რომ სამოსწ. წელი დაგვიანებით დაიწყო, ხელს უშლიდა სამოსწ. გეგმის გაშლას. სპეციალური საგნების გადაცემის დროს უპირატესობა ეძლეოდა პრაქტიკულ მუშაობას.

1925-26 სამოსწ. წელი დასრულებულ იქნა 1926 წლის 15 ივნისისათვის. კურსები დაამთავრა 65 კაცმა;

კურსების მუშაობა 1926-27 სამოსწ. წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილების თანახმად 1926-27 სამოსწ. წელს კურსებზე ადგილები რამოდენიმედ შემცირებულ იქნა. სამოსწ. წლის დასაწყისში კურსებზე მიღებულ იქნა 60 კაცი სტიპენდიანტი და 3 თავისუფალი მსმენელი.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, კურსებმა ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა. 1926—27 სამოსწ. წელს მეცადინეობა დროზე იქნა დაწყებული. წასულ წელთან შედარებით პროგრამა უფრო ფართოდ იქნა გავლილი. ზოგიერთი საგნები—ამ წელს დამატებულ იქნა. კურსების ბიბლიოთეკა გამდიდრებულ იქნა კოოპერატიული და სხვა საჭირო ლიტერატურით - სახელმძღვანელოებით კურსებთან ჩამოყალიბდა საქონელთმცოდნეობის მუზეუმი. საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი პრაქტიკულ მუშაობას. მოწყობილ იქნა ექსკურსიები თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და ორი მნიშვნელოვანი ექსკურსია; ქ. ბაქოში და მუხრან-გორში, ექსკურსიებმა საშუალება მოგვცა პრაქტიკულად გავცნობოდით ყველა იმას, რაც თეორიულად შევიძინეთ კურსებზე — მან განამტკიცა ჩვენი ცოდნა.

ამჟამად კურსებს ამთავრებს 56-მდე ამხანაგები, რომლებიც განაწილებულ იქნებიან ა.-კ. რესპუბლიკებში.

თანდათან ვითარდება ჩვენი მეურნეობა. ყოველდღიურად იზრდება კოოპერაციის როლი. ყოველწლიურად მრავლდება სამ. მომუშავეთა კადრი. 56 ამხანაგი წარმოადგენს იმ ახალ ენერგიას, რომელიც სათანადოთ ხელს შეუწყობს ა.-კ. მშენებლობის წინსვლას.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ა.-კ. კომუნისტის კოოპ. კურსების კურსდამთავრებული ამხანაგები მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის ცოდნას გამოიყენებენ ა.-კ. მშრომელი მასის საკეთილდღეოდ.

**მ. ბარამია.**

# კომკავშირში

## კომკავშირზე ხელმძღვანელობის შესახებ

კომკავშირზე პარტიულ ხელმძღვანელობის, გაუმჯობესების შესახებ ბევრი დაწერილა და კიდევ უფრო მეტი უთქვამთ. მაგრამ არანორმალური მოვლენები ამ მუშაობაში მაინც საკმაოზე მეტია.

პირველყოვლისა უნდა ითქვას იმ ჩინოვნიკურ" მიდგომის შესახებ, რომელსაც ჩვენ ხშირათ ვამჩნევთ კომკავშირზე ხელმძღვანელობის საქმეში, ხშირათ ასე ხდება: კომუჯრედი გამოჰყოფს ამხანაგს კომკავშირში სამუშაოთ. დრო-გამოშვებით ისმენს მოხსენებას ამ ამხანაგის მუშაობის შესახებ და გამოაქვს რეზოლიუციები: „მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს"-ო. არსებითად კი ასეთ მუშაობაში ბევრჯერ მრავალი არადამაკმაყოფილებელი მოვლენებსაც აქვს ადგილი.

მაგალითად არის შემთხვევები, როცა კომუჯრედი არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ კომკავშირში მომუშავე ამხანაგი უნდა იყოს პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული, ის უნდა იცნობდეს აგრეთვე კომკავშირის ძირითად პრინციპებს და ამასთან ერთად, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის უნდა იყვეს ავტორიტეტიანი ამხანაგი. ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ პარტიულ მომუშავეს კომკავშირში, რომელსაც ეს თვისებები აქვს. ეს ხდება იმიტომ, რომ კომუჯრედებში ნაკლებათ მოიპოება ასეთი კანდიდატები.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთ მაგალითებს ადგილი აქვს არა იმდენად „უკაცობის" მიზეზით, არამედ კომუჯრედის ხელმძღვანელთა უთაობით და კომკავშირის მუშაობისადმი დაუდევრობით.

დროა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ პარტუჯრედებმა. ბიუროკრატიულ, წმინდა ფორმალურ მიდგომას ამ საკითხისადმი სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

**დ. ბ. ლ.**

## მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია

### მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა 8 ივნისს დილის 9 საათზე, გრძელდებოდა კამათი ამხ. ა. ორაგველიძის მოხსენების ირგვლივ.

კამათში მიიღო მონაწილეობა 7 დელეგატმა, რომლებმაც ხაზი გაუსვეს კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის შეკრებათაშორისო პერიოდში. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ კავშირი სამხედრო ორგანიზაციებთან ვერ არის სათანადოთ მოგვარებული.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ კომკავშირის რიგები იზრდება ყოველდღიურათ; ამასთანავე პარტია იზრდება კომკავშირის ხარჯზე, რაც, უეჭველია, არის დადებითი მოვლენა.

ამავე სხდომაზე ამხ. დ. მოგელაძის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება კომკავშირის მდგომარეობის შესახებ. დივიზიაში და მის მომავალ ამოცანებზე.

„კომკავშირის ორგანიზაცია ჩვენ დივიზიაში, — ამბობს მომხსენებელი, წარმოადგენს მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც მოწოდებულია მოუმზადოს პარტიას ახალი კადრი მის რიგების გასამტკიცებლათ".

უკანასკნელ დროს შემჩნეულია კომკავშირის სწრაფი ზრდა, ეს აიხსნება იმით, რომ 1904 წელში დაბადებულთა გაწვევის დროს წითელ ჯარში მოვიდა მრავალი კომკავშირის წევრი. ამჟამად კომკავშირის რიცხვი უდრის დივიზიის შემადგენლობის 25 პროც.

დამაკმაყოფილებელი იყო მუშაობა წვევამდელთა შორის. თავის დროზე ჩამოყალიბდა წვევამდე წერტებზე კოლექტიური ბიუროები. წვევამდე მზადება წელს გაიარა 4025 კომკავშირელმა.

ამხ. მოგელაძის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 10 დელეგატმა. მათ მიერ იყო აღნიშნული, რომ კომკავშირელებს უნდა მიეცეთ საშუალება განაგრძონ სწავლა სხვადასხვა სასწავლებლებში. მითითებულ იქნა ზოგიერთ ნაკლზე ხელმძღვანელობის მხრივ და სხვა.

**მისალმებები**

რუსულ ცხენოსან ბრიგადის კომკავშირის კონფერენციის სახელით დივიზიის კონფერენციას მიესალმა წითელარმიელი ამხ. **გრიშინი.** კონფერენციამ საპასუხო მისალმების გადასაცემად აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

კონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები საქართვ. კომპარტიის და ა. ლ. კ. კ-ის ც. კ-ებს.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

**ქუთაისი,** 7 ივნისი. დამთავრდა მეცადინეობა ქალ. ქუთაისის და მისი მაზრის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში. სულ 220 სკოლაში სწავლობდა 3.329 მამაკაცი და 2.232 ქალი. ქართველ ებრაელებისათვის გახსნილია სპეციალური სკოლა (ადს).

### რადიო სოფლად

**ქუთაისი,** 7 ივნისი. ქუთაისის მაზრაში დადგმულია რადიომიმღები შემდეგ 5 თემში: საწირეში, გორდში, ვანში, ბაღდათში და ცხუნკურში. რადიო-მიმღებები, რომლებიც მოწყობილია ქოხ-სამკითხველოებში, დიდძალ ხალხს იზიდავენ (ადს).

### კურორტი ლებარდე

**ახალსენაკი,** 7 ივნისი. სეზონი კურორტ ლებარდეზე იხსნება 1 ივლისს. წელს მეტ მოაგარაკეებს მოელიან, ვინემ შარშან. სამაზრო აღმასკომები უკვე შეუდგა კურორტის კეთილმოწყობას. ეწყობა ავტომობილების მიმოსვლა ახალსენაკიდან სოფელ საბანეომდე, საიდახაც ცხენის გზა მიდის. სწარმოებს ყველა ხიდების და აგრეთვე კურორტის შენობების შეკეთება. მინერალური წყაროების მდგომარეობა უმჯობესდება. იხსნება აფთიაქი. ეწყობა პურის საცხობი. (ადს).

### წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ტერიტორიალურ ნაწილებში

**ქუთაისი,** 7 ივნისი. ქუთაისის ტერიტორიალურ ნაწილებში 1904 წელში დაბადებულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად გახსნილი იყო 5 სკოლა, აქედან 4 ქართველებისათვის და 1 აფხაზებისათვის. ამ სკოლებში მეცადინეობს 150-მდე მოწაფე (ადს).

### ფასების დაკლება

**ქუთაისი,** 7 ივნისი. ქუთაისის აღმასკომის ცნობებით საქონელზე ა. წ. 1 იანვართან შედარებით ფასები დაკლებულია: მეტრ ნარმაზე—51 კაპეიკიდან 41 კაპეიკამდე, მიტკალზე—43-დან 40 კაპეიკამდე, ჩითზე—48 კაპეიკიდან 43 კაპეიკამდე, ფუთ ნავთზე—1 მან. და სამი აბაზიდან 1 მან. და ორ აბაზამდე, ნაჭერი სარეცხი საპონი გაიაფდა 2 კაპეიკით, „მარმარილოს" საპონი კილოგრამი—4 კაპეიკით, ფხვნილი შაქარი კილო 2 კაპეიკით, ტბის მარილი—ფუთი სამ შაურით, ბრინჯი—17 კაპეიკით (ადს).

### კურორტი ნაქალაქევი

**ახალსენაკი,** 7 ივნისი. ნაქალაქევის წყარო მდებარეობს ახალსენაკიდან 19 ვერსის დაშორებით მთიან ადგილას. სეზონი გახსნილია 1 ივნისიდან. მოწყობილია საცხოვრებელი ბინები. პროდუქტები საკმაოდ მოიპოება. წყარო თავისი თვისებებით არ ჩამორჩება წყალტუბოს (ადს).

### საჩვენებელი სასამართლო

**ცხინვალი,** 7 ივნისი. ხშირია შემთხვევები, როდესაც შეძლებული გლეხობა მალავს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ ობიექტებს. ამ ნიადაგზე რამდენიმე კაცია დაპატიმრებული. განზრახულია მათი საჯარო გასამართლება. (ადს).

### გაფლანგვისათვის

**ცხინვალი,** 7 ივნისი. სამხრეთ-ოსეთის უზენაეს სასამართლოს სესიამ ანდორეთის რაიონში გაარჩია ანდორეთის კოოპერატიულ ამხანაგობის გამგეობის ყოფილ წევრთა დუდაევის და პოტაპაევის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ საზოგადოებრივი ფულების გაფლანგვა. დუდაევს მისჯილი აქვს 7 წლის, ხოლო პოტაპაევს—3 წლის ციხე. (ადს).

## წერილები

### მეაბრეშუმეობა კახეთში

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეაბრეშუმეობას კახეთში მკვიდრი ფუძე დაედო საქ. უმ. სამ. საბჭოს მიერ აბრეშუმის ძაფ-სახვევ ქარხნის გახსნის დღიდან თელავში 1926 წლიდან, სადაც ამჟამად მუშაობს 130 მუშა-ქალი, შემდეგ ეს ქარხანა გადავიდა „საქართველოს აბრეშუმის" ხელში.

სხვათა შორის ცნობილია, რომ კახეთში საუკეთესო პირობებია, როგორც აბრეშუმის პირის მოსაყვანად, ისე პარკის შესანახად, აქ პარკი წლობით ინახება, არა თუ სპეციალურ შენობაში, არამედ დახურულ ოთახებში, მაშინ, როცა მაგ. იმერეთში გამოხარშული პარკი-კი ნესტიანდება და თავის თვისებას ჰკარგავს.

ამჟამად კახეთში იმდენი პარკი ვერც კი მოდის, რომ ქარხანას ნედლ მასალად ეყოს.

ამისათვის „საქართველოს აბრეშუმის" თელავის განყოფილებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია თუთის ნერგების გავრცელებას. უნდა ითქვას, რომ მაზრის აღმასკომი ყოველნაირად ხელს უწყობს, მან დაუთმო 2 დესეტინა საუკეთესო მიწა სანერგის გასაშენებლად, ამ სანერგის ერთ წილში დარგეს თუთის ნერგები, ხოლო მეორე ნახევარში თესლი დათესეს.

რაც შეეხება აბრეშუმის წლევანდელ სეზონს, თუ აქამდე ჭიის თესლის დარიგება კერძო პირებსა ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, ამიერიდან თვით „საქართველოს აბრეშუმი"-ს თელავის განყოფილება არიგებს. დარიგებულია მარტო თელავის მაზრაში რამდენიმე ათასი კოლოფი. პარკის ჩასაბარებლად აქამდე თუ გლეხს უხდებოდა 20-40 ვერსის სიშორიდან თელავში მოტანა, ეხლა რაიონში მოწყობილია პარკის პუნქტები, სადაც იწარმოებს როგორც პარკის მიღება, ისე პარკის გამოშრობა.

**ვინ.**

### გლეხობა კმაყოფილია

(ბორჩალოს მაზრა)

ამ მაზრის მცხოვრებნი უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას.

ხშირია აქ საქონლის ზარალი ჭირით, მაგრამ ეს მაზრა მთაგორიანია და არა ნაკლები საზარუნავი შექმნა გლეხებისათვის კლდეებში გადაჩეხილი საქონელთა ზარალი. ყველაფერი ეს მთავრობამ მიიღო მხედველობაში და შემოიღო სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა ის შემთხვევაში. თუ ნებაყოფლობით ვეღარ შეიგნებდნენ. ვინაიდან ზარალი ბუნების სტიქიით გამოწვეული მძიმედ აწვებოდა და აბერავებდა ღარიბებს გლეხობას.

პირველ ხანებში გლეხობა უკმაყოფილო იყო და თითქმის იძულებითი ხდებოდა დაზღვეული ქონების გადასახადის აკრეფა, გლეხობამ არ იცოდა სახელმწ. დაზღვევის მნიშვნელობა, მაგრამ, როდესაც გლეხს 2 წლის ზაქი მოუკვდა და 40 მან. აიღო, მაშინ სიამოვნებით გაიღიმა და თავის მეზობლებს ებასებოდა შემდეგი სიტყვებით:

— ძმაო ამ საქონლების დაზღვევისათვის გადასახადს, არ ვიხდიდით და მთავრობას იძულებით ზომები სჭირდებოდა, გვეგონა, რომ ეს დაზღვევა იყო მხოლოდ სიტყვით და საქმით ამას არ შეასრულებდენ. მაგრამ რას ვხედავ. ვინმე თათარს ექვსი სული საქონელი მოუკვდომოდა ჭირით. და მის საღირლად 250 მანეთამდე მიიღო.

თუ საგაისოდ კიდევ შემოიღეს ეს დაზღვევა, —სთქვა მეორე გლეხმა,—მე აუცილებლად დავაზღვევ ჩემს ქონებას—გადასახადსაც გადავიხდი და დაზარალების დროს საღირალსაც მივიღებო.

მაშ აქედან სჩანს, რომ თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ შემოპარულა მათში შავი და თეთრის გარჩევის უნარი.

**შალვა ქავზანაძე.**

### წერილებიდან

**მადლობის ღირსი არიან** (ს. სვირი, ქუთ. მ.). სვირის აფთიაქის გამგემ თავისი ენერგიული მუშაობით დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა გლეხობაში. ეს ამხანაგი მესამეჯერ არის, რომ გლეხებს საბჭოს წევრად გაჰყავთ. გამგეს გარდა აფთიაქში იყო კიდევ მეორე მომუშავე, რომელმაც გამგესავით პატივისცემა დაიმსახურა თემში. ეს უკანასკნელი საჯავახოში გადაიყვანეს, რამაც ძლიერ დაწყვიტა გული გლეხებს. მადლობის ღირსი არიან ორივე მომუშავენი.

**დაუდევრობა** (თავისის თ., შორაპ. მ.). დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩხარის რაიონის კოოპერაციის გამგეობამ მოსწერა თემაღმასკომს გადაეგზავნა ღარიბეს გლეხების სია, რომელთა საწევრო გადასახადის გადახდას და კოოპერაციაში ჩაწერას კისრულობდა რაიონის კოოპერაციის გამგეობა. თემაღმასკომს ჯერ კიდევ არ წარუდგენია ეს სია. ნეტავი რას აჭიანურებს საქმეს, რისთვის დროზე არ შეასრულებს დავალებას.

**მარსი.**

**გვაღირსეთ** (ს. ლეღვან - მარელისი, შორაპ. მ.). 2 წელიწადია მას შემდეგ, რაც სამაზრო აღმასკომმა ლეღვან-მარელისის ხიდისთვის 500 მან გადასდვა. ხიდის დაწყებას არ ეშველა არაფერი. გლეხები უხიდობით დიდ გაჭირვებაში არიან. ახლანდელი აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ძა როგორც კარგად მუშაობს და მიკვირს, რატომ არ აქცევს ყურადღებას ხიდს. საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს. გლეხები და მუშა - მოსამსახურენი კი თავის წვლილს არ დაზოგავენ.

**გაჯავრებული.**

**ქოხ-სამკითხველოს კომისია** (ს. ღანირ - ქუტირი, ქუთაისის მ.). სოფ. პატარა ჯიხაიშში ავირჩიეთ ქოხ-სამკითხველოს კომისია, რომლის მუყაითი მუშაობით სამკითხველო კარგად არის მოწყობილი. კომისიის დავალებით სამკითხველოს გაზეთები გამოუწერეს შემდეგ პირებმა: ი. ღოღობერიძემ გაზ. „კომუნისტი" 6 თვით, გ. აბზიანიძემ „მუშა" 6 თვით, სანდრო ღოღობერიძემ „მუშა" და „ახალი სოფელი" 6 თვით, რისთვისაც ისინი მადლობის ღირსნი არიან.

**ხ. ა—ძე.**

### სოფლის ქრონიკა

— **გვალვის ამტანი სიმინდები** დაითესა თბილისის მაზრის იმ თემებში, სადაც არხები არ არის გაყვანილი.

— **ხორბლეულის სარკვევი პუნქტი** მოეწყო თიანეთის რაიონში.

— **საჩვენებელი მუშაობა.** თბილისის მაზრაში ჩატარებული იქნა ვაზის და ხეხილის საჩვენებელი გასხვლა.

— **სანერგე.** ხაშმის ხეხილის სანერგე გაფართოებული იქნა ერთი დესეტინით.

— **წყალსადენი.** დიდ-თიანეთში წელს გაიყვანილი იქნება წყალსადენი.

— **საფუტკრე.** აღბულაღის სას.-სამ. კომუნამ მოაწყო საფუტკრე, რომელშიაც ირიცხება 60 სკა.

— **საავადმყოფო.** ჩხავში გაიხსნა საავადმყოფო 10 საწოლით.

# მუშათა ცხოვრება

## რამოდენიმე საქმიანი წინადადება

(ა.-კ. რკინისგზის გამგეობის საყურადღებოდ)

ამიერ - კავკასიის რკინიგზის აპარატში მსახურობს თითქმის ორი ათასამდე მოსამსახურე. ეს რიცხვი ომის წინა დროინდელთან შედარებით ფრიად დიდია, მიუხედავად იმისა, რომ გაიხსნა ახალი განყოფილებები და ქვე განყოფილებები. აპარატის ასეთი რიცხვობრივი სიდიდე და მისი სტრუქტურის სირთულის ბრალია რკინისგზების სამმართველოში შექმნილი, უსაზღვრო ბიუროკრატიზმი. და საქმის გაჭიანურება. ამ მდგომარეობას ზედ ერთვის უარყოფითად კიდევ ის, რომ მოსამსახურეთა 80 პროც. ძველი მოსამსახურეებია, რომელნიც ჯამ სჭვალულნი არიან ძველი ტრადიციებით, გაგებით და პრინციპებით. ყოველი ახალი წამოწყება ვერ პოულობს გამოძახილს მათ შორის. პირიქით უმრავლეს შემთხვევაში ისინი ბრძოლას ეწევიან გადახალისებისა და გამარტივების წინააღმდეგ. მთელი მუშაობა პედანტიურათ, ერთხელ ჩამოყალიბებული, შაბლონით მიმდინარეობს. ხანდახან კურიოზამდე მიდის ამ ჩინოვნიკური „ამ საათიდან" „ამ საათამდე" მომუშავე აპარატის საქმიანობა.

ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ცენტრალურ აპარატში, — არამედ ლიანდაგზედაც, მთავარ სახელოსნოებში, უბნებში, საწყობში და სხვ.

აპარატის სტრუქტურის კონსერვატიზმის შედეგია ის, რომ საკმარისია სამსახურში არ გამოცხადდეს ერთ დღეს ორი-სამი მოსამსახურე, რომ მთელი მუშაობა შეფერხდეს. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავდება შვებულებაში გამგზავრების პერიოდის გათავებამდე, როცა წასულის ნაცვლად ღებულობენ ახალ თანამშრომელს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ატმოსფერა გაჯანსაღებულია და შტატების საგრძნობლათ შემცირებაც შეიძლებოდა, სამმართველოში, რომ რაციონალიზაცია გატარებულიყო.

ადმინისტრატიულ ერთეულთა რეორგანიზაცია, შეერთება, გადახალისება გაამარტივებს და გაიაფებს აპარატს. იტყვიან დაგვისახელეთ, რა შევასრულოთ, როგორ გავამარტივოთ. ვუპასუხებთ: საფინანსო - საანგარიშო განყოფილების კანტროლი მაგალითად, თამამად შეიძლება შეუერთდეს რკინისგზის გამგეობის ფინკანტროლს. ამით აპარატიც გამარტივდება ერთი ინსტანციით (სიტყვა „ინსტანცია" ხშირად გულისხმობს „ვოლოკიტას") შემოკლდება და რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომიაც იქნება მიღწეული და თავიდან აცილებული იქნება პარალელიზმი. არა ნაკლებ საყურადღებო საკითხია რკინისგზის მთავარი მაღაზიის და კერძო ლიანდაგების საწყობების შესახებ. ყოველ სამსახურს: სალიანდაგოს, წევის და სხვ. აქვს ხაზებზე ცალ-ცალკე საწყობები თავისი გამგეებით, შტატით, ბუხგალტერიით და სხ. ამ საწყობების და საკუჭნაოების მომარაგება სწარმოებს სამასალო განყოფილების საშუალებით მთავარ საწყობიდან. თვითეული გამგე ცდილობს რაც შეიძლება მეტი მასალა ქონდეს, რომელიც ხშირად საწყობში თვეობით ძევს, სხვა სამსახურები კი ამ საგნებს გამძაგებით ეძებენ. ანგარიშიანობაც უმეტესად არეულია და ჩამორჩენილი (საქონლის აღრიცხვა და ანგარიში). სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა ჩვენის აზრით ლიანდაგების მომარაგება გადაეცემოდა სამასალო განყოფილებას, რომელსაც ამა თუ იმ ადგილებში ხაზზე ექნებოდა საწყობები, რომლისაგან მიიღებდენ საჭირო საგნებს სხვა სამსახურები და ამ რიგად გაუქმებული იქნებოდა დამოუკიდებელი სხვადასხვა სამსახურის საწყობები და საკუჭნაოები. ეს მოგვცემდა მომჭირნეობას და საქმის რაციონალიზაციის თვალსაზრისითაც სასარგებლო იქნებოდა.

დრო არის რკინისგზის სამმართველო გამოეხმაუროს ამ საკითხს.

**რ. ა—ვი.**

## თბილისის რკინისგზის უბნის დამზღვევ სალაროს მუშაობა

წარსულ წლის 1 მაისიდან ამა წლის 1 აპრილამდე დამზღვევ სალაროს ჰქონდა 24 მოხსენება ხაზზე და ხუთი ადგილობრივ. ავადმყოფობის შემთხვევა ამ ხნის განმავლობაში იყო 43.535; მათ შორის ჰლექით ავადმყოფობა უდრის 9 პროცენტს ( უმთავრესად კანტორის მოხელეები) დასახიჩრება 11 პროცენტს, (მუშა ხელოსნებია, მეტი ნაწილი მთავარ სახელოსნოდან), მალარია 8 პროცენტს, დანარჩენი სხვადასხვა ავადმყოფობაა.

ერთი წლის განმავლობაში ავადმყოფობაზე დახარჯულია 602.000 მან. 63 კაპ. დაბადების შემთხვევა ამ ხნის განმავლობაში იყო 1840. გაცემულია 46.038 მან. დახმარება. ბავშვთა საკვები ფული გაცემულია 96.000 მან. დასამარხი ფული გაცემულია 34.151 მან. 73 კაპ. დაზღვეულია 645 უმუშევარი. მათ შორის ქალებია 58 შეგირდები 35 სული. მათ დასახმარებლად გაცემულია 35.812 მან. 01 კაპ. საექიმო საკონტროლო კომისიას ქონდა 207 სხდომა, სამუშაოდან იქნა განთავისუფლებული 4.678 კაცი, რომელთა შორის მუშებია 3.104, მოსამსახურე კი 1.574 კაცი.

რკინისგზელთა კავშირმა მოისმინა ამხ. ვასო ლაშქარაშვილის მოხსენება სალაროს მუშაობაზე. მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. სალაროს დაევალა მოწესრიგდეს ავადმყოფობის დროს მუშა - მოსამსახურეებზე ხელფასის თავის დროზე გაცემის საქმე, გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა სიმულიაციასთან, ის პირნი, რომლებსაც ყალბი საბუთებით შეცდომაში შეყავთ სალარო პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი. გაფართოვდეს საავადმყოფოს სატუბერკულიოზო განყოფილება, მოწესრიგებულ იქნას ამბულატორიები გურჯაანში და სადახლოში, სადგ. გორში მოეწყოს ორი საწოლი ავადმყოფთათვის ქსენონთან და სხვა.

**მუშკორი ძია-ლევან**

## საყურადღებო წვრილმანი

— **სახლი დაზიანებულია.** ბორჯომის ქუჩაზე მდებარე სახლი № 5-ის პატრონი მოქ. საგანელიძე არავითარ ყურადღებას არ აქცევს მდგმურების თხოვნას შეაკეთოს სახურავი, რომელშიც ჩამოდის წვიმა.

**მუშკორი ა. ქ. ფ.**

— **სახლის პატრონი თავხედობს.** მერვე უბანში არსენალის ქ. № 16 სახლის პატრონი ვასილ უშვერიძე თავხედობს. ამას წინად შეუვარდა მდგმურს მარქარიანის ოჯახს და გაიწია სადგომად. როცა ცემა ვერ მოახერხა ოთახში ავეჯი მილეწ-მოლეწა. მოცვივდნენ მეზობლები და ძლივს გამოიყვანეს გამხეცებული უშვერიძე მარქარიანის ბინიდან. უშვერიძე მიცემულია პასუხისგებაში.

**მუშკორი ძია-ლევან.**

— **საკუთარ ჯიბის პატრიოტი.** მეშვიდე რაიონში მეპურეებისაგან ფულებს აგროვებდა მუშკოოპში შესატანად ვინმე ისაკიძე. ამ ვაჟბატონს თურმე მეპურეებისაგან აკრეფილი თანხა სრულიად არ შეჰქონდა სალაროში. მას ხელზე რჩებოდა დაახლოვებით 6.000—7.000 მანეთი. უკანასკნელად, როცა ისაკიძის ოინები გაიგეს. მას გაფლანგული აღმოაჩნდა 3.000 მანეთამდე.

**მეთვალყურე.**

— **აქაც პროტექცია?** ნათქვამია, პროტექცია და ნათლიმამობა ღვიძლი ძმები არიანო. ერთს რომ კარებში გააგდებ, მეორე ფანჯრებში მოძვრებაო. ასევეა თბილისის დეპოშიც. ამას წინად დეპოდან დაითხოვეს გრ. სეროპიანი. მისი საქმე ირჩეოდა მომრიგებელ კამერაში. რაღაც კომბინაციების გამო ის კვლავ დააბრუნეს სამსახურში და ამჟამად საყუდის კანტორაში მუშაობს.

პროტექცია და ნათლიმამობა არ არის დეპოში, ამბობენ, მაგრამ ბოლო გვაკვირვებს.

**კომკავშირელი.**

— **როდის მოეღება ბოლო ლოთობას?** მთავარ სახელოსნოში მუშაობს ხარატი კრემერი. ის თითქმის მუდამ მთვრალი მოდის სამსახურში. კედლის გაზეთებში რამოდენიმეჯერ იყო მოთავსებული ცნობა ამის შესახებ, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევს.

4 ივნისს ის ჩვეულებრივ გალეშილი მიადგა სახელოსნოს კარებს, დარაჯმა, რომელიც ხედავდა, რომ კრემერი მთვრალი იყო, არ შეუშვა ის სახელოსნოში. კრემერმა საშინლად გამოლანძღა დარაჯი და ვინ იცის რა ყოფა არ დააწია. მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა უნდა ასწავლოს ჭკუა მას.

**ხარბინელი.**

## მუშათა ქრონიკა

— **სპეცტანისამოსი.** თბილისის კვანძის რკინისგზელთა ყრილობამ გადასწყვიტა გააფართოვოს როგორც სპეცტანისამოსის მიმღებ მუშათა კატეგორიები, აგრეთვე თვით სპეცტანისამოსის ნორმა.

— **სამხედრო წრეები.** ამავე ყრილობამ გადასწყვიტა რკინისგზის კლუბებში ყურადღება მიექცეს გასამხედროების პოპულიარიზაციას რა მიზნითაც კლუბებთან უნდა მოეწყოს თავდაცვის საზოგადოების უჯრედები, სამხედრო სპორტი თამაში. მსროლელთა წრეები, ავიაქიმის წრეები და სხვ.

— **წიგნების პოპულიარიზაციის** მიზნით ამავე ყრილობამ გადასწყვიტა სისტემატიურად მოეწყოს მუშათა კლუბებში წიგნების გამოფენები, წიგნის სალამოები, სააგიტაციო პლაკატები, წიგნების რეკომენდაცია და სხვა.

— **წიგნთ-საცავი რონოდა.** ხაზის მუშებისათვის წიგნების ნორმალურად მიწოდების მიზნით თბ. კომიტეტმა მიმართა ადმინისტრაციას, რათა თბილისის უბანს მიეცეს ერთი რონოდა წიგნთსაცავი.

— **ხაზის მუშა - მოსამსახურეთა** შვილების სასწავლებლათ თბილისში მოგზაურობის დროს ბევრ დაბრკოლებებს აქვს ადგილი, რაც მათ არანორმალურ მდგომარეობაში აყენებს. ამის გამო თბილისის უბნის კავშირმა მიმართა ადმინისტრაციას მოაწესრიგოს მოწაფეთა გადაყვან-გადმოყვანის საკითხი.

— **ფიზკულტურის** სხვადასხვა სახის პოპულიარიზაციის მიზნით თბილისის უბანში ახლო ხანში მოეწყობა ფიზკულტურის წრეების შეკრებები.

— **სპორტ დარბაზი.** საგზაო კომიტეტი ამჟამად აწარმოებს მუშაობას თბილისის უბანში სპორტ - დარბაზის მოსაწყობათ.

— **ანტროპომეტრიული კაბინეტები.** თბილისის საუბნო კომიტეტი აწარმოებს მუშაობას გორის და გურჯაანის ფიზკულტურის წერტებთან ანტროპომეტრიული კაბინეტების მოსაწყობათ.

### ტყავ - ტრესტის ქარხანაში

— **სპეცტანთსაცმელების დარიგება.** ყველა იმ მუშებს, რომლებსაც სპეცტანთსაცმელი გაუცვდებათ განსაზღვრულ დრომდე, მიეცემათ სამაგიერო ხელ - ახალი სპეცტანთსაცმელები.

— **კურორტზე გაგზავნა.** ტყავ - ტრესტის ქარხნიდან გაიგზავნა საექიმოდ კურორტზე ხუთი მუშა.

# ოლქის სასამართლოების რეორგანიზაციისათვის*)

**სამი უმთავრესი** ამოცანა დგას ჩვენი სასამართლოს წინაშე: ის უნდა იყოს ჩქარი, ფართო მასებთან დაახლოვებული და რევოლიუციონური სამართლის გამტარებელი. ამ მომენტებს უნდა ითვალისწინებდეს ყოველივე პროექტი, რომელიც სასამართლოს მართლა რაციონალიზაციას ისახავს მიზნად. ამ აზრით უდევს საგანს იუსტიციის სახალხო კომისარიატის პროექტი ოლქის სასამართლოების რეორგანიზაციის შესახებ.

ოლქის სასამართლოები დღემდე თავის მუშაობაში ორგვარ ფუნქციას ანხორციელებენ ხელმძღვანელობენ სახალხო სასამართლოებს კასაციის წესით და მეორე მხრივ თვითონვე არიან მსაჯულები მთელ რიგ საქმეებში.

რაც შეეხება ხელმძღვანელობას და საკასაციო მუშაობას, აქ ერთგვარ არევ - დარევას ქმნიან ოლქის სასამართლოები და საქმეს მეტად ართულებენ - აჭიანურებენ. ამიტომ სახ. კომისარიატის პროექტი მოითხოვს საკასაციო ფუნქცია გადაეცეს უზენაეს სასამართლოს და შეადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ მის მოვალეობას. ამ რიგად საქმის გაჭიანურება შემცირდება თითქმის ერთი ორად და სასამართლოების ხელმძღვანელობაც გაადვილდება.

რამდენად სამართლიანია პროექტის ეს ნაწილი ჩვენ ვხედავთ თუგინდ იქიდან, რომ ეს მუხლი დავას სრულიადაც არ იწვევს და მთლიანად პროექტის მოწინააღმდეგენი ამ ნაწილს დიდის კმაყოფილებით შეხვდენ. ამიტომ ჩვენც ზედმეტად მიგვაჩნია ამ საკითხზე შეჩერება.

თუ ჩვენ ოლქის სასამართლოებს საკასაციო ფუნქციები წავართვით, რაც სრულიად უდავოა და სასურველი ყველას აზრით, ამ სასამართლოებს დარჩებათ მხოლოდ მსაჯულობის ფუნქცია; ზედმეტი არ იქნება მოკლეთ მოვიხსენიოთ, თუ როგორ ასრულებენ ამ მუშაობას ისინი დღეს.

1926 წელში ჩვენმა ოლქის სასამართლოებმა გაარჩიეს 3500 საქმე. დიდი უმეტესობა ამ საქმეებისა მათ გაარჩიეს თავის სესიებზე პროვინციაში.

სამ-ოთხი თვის განმავლობაში პროვინციიდან მოდის გამოძიებით დამთავრებული საქმეები და ინახება ოლქის სასამართლოში. როდესაც დაგროვდება 30—40 საქმე რომელიმე მაზრიდან, მაშინ გამოიყოფიან ოლქის სასამართლოს წევრი და მასთან პროკურორი, რომლებიც გაემგზავრებიან ამ საქმეების ადგილობრივ გასარჩევად. მუშაობის პრაქტიკამ გვიკარნახა, რათა ერთ რომელიმე აღნიშნულ მაზრაში იგზავნებოდეს ხოლმე ერთი და იგივე პიროვნება და ამ პრაქტიკამ იმდენად მუდმივი ხასიათი მიიღო, რომ ოლქის სასამართლოს წევრები თითქმის მიმაგრებული არიან ერთ რომელიმე მაზრაზე.

რას სცვლის არსებითად სახ. კომისარიატის ახალი პროექტი?

ის ამ მიმაგრებას უფრო ცხადყოფს და მოითხოვს, რომ ოლქის სასამართლოს ერთი წევრი სრულიად გადასახლდეს აღნიშნულ მაზრაში და არჩიოს იგივე საქმეები, რომელსაც ის არჩევდა სესიებზე. თუ დღეს ეს საქმეები 3-4 თვე აწყვია ოლქის სასამართლოში და ელის სესიას, მაშინ ისინი დაჩქარებით გაირჩევიან ადგილობრივ. რომ ეს მეტად დააჩქარებს საქმეების გარჩევას ამას ვერც ერთი ჩვენი ოპონენტი უარს ვერ უყოფს.

მაგრამ საქმე მარტო სიჩქარეში როდი არის. მაზრაში სესიაზე მისული მოსამართლე საქმეს ყოველმხრივ ვერ იცნობს. მან იცის მხოლოდ კვლევა -ძიების მასალა და ისიც მეტად სუსტად, რადგან სესიას მოკლე ვადა ეძლევა, ხოლო საქმეები კი ბევრია და რა თქმა უნდა აქ მოკლე დრო გაცნობასაც ამოკლებს. რევოლიუციონური სამართალი მოითხოვს, რომ მოსამართლე იცნობდეს არა მარტო კვლევა - ძიების მასალებს, არამედ ფართო მასების აზრსაც. თუ ჩვენი კანონების მუხლები განსაზღვრავენ სასჯელის მინიმუმს ან მაქსიმუმს, ხოლო მათ შორის სარბიელს უტოვებენ მოსამართლეს, რომელსაც საშუალება აქვს ერთი და იმავე ბოროტებისათვის სხვადასხვა სიმძიმის სასჯელი მიუსაჯოს, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მოსამართლემ თავისი გუნება „აათამაშოს", არამედ იმიტომ, რომ ყოველივე საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ უნდა შეაფასოს არა მარტო ძიების მასალა კონკრეტიულ მუხლში გათვალისწინებული, არამედ ფართო მასების აზრიც.

სამართალი არ არის კოდექსის მკვდარი მუხლები — ის პირველად ყოვლისა ცხოველმყოფელი პოლიტიკაა ოქტომბრის ბარიკადებზე დაწერილი. მისი ავტორი ფართო მშრომელი მასსაა და ვაი იმ მოსამართლეს, ვინც მხოლოდ გამომძიებლის აზრს ეყრდნობა და მასებს გვერდს უვლის.

თავის თავად ცხადია, რომ სესიაზე ჩასულ მოსამართლეს ადგილობრივ მასების აზრი არ ეცნობება.

სულ სხვა მდგომარეობაში იქნება ადგილობრივი მოსამართლე. ის საქმეს შეისწავლის არა გარჩევის დღეს (როგორც ეს ხდება დღეს), არამედ თვით შემთხვევის დღიდან. მას საქმე ჯერ კიდევ არ ექნება მიღებული გამომძიებლისაგან, ხოლო მასების აზრი და გულის ძგერა უკვე ეცოდინება.

**ლენინი** ამბობს: სასამართლო ადგილობრივი ორგანოა, მან ადგილობრივი გარემოება და აზრი უნდა ასწონ - დასწონოს საქმის გარჩევის დროსაო. ასეთ სასწორს მოკლებულია პატივცემული „გასტროლიორი", რომელიც მაზრას წელიწადში ორჯერ - სამჯერ ესტუმრება ხოლმე. მან არამც თუ ფართო მასების აზრი არ იცის, ის ადგილობრივ ხელისუფლებასაც არაფერს კითხავს, მასთან ლაპარაკისთვისაც კი „ვერ იცლის".

ოლქის სასამართლოს წევრის მაზრაში გადასახლებამ დიდი აურზაური გამოიწვია პირველად ყოვლისა ოლქის სასამართლოს წევრებში, პროკურატურაში, ამავე სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიაში. და ეს სრულიად გასაგებიც არის. თუ აქამდე სესიაზე მიმავალი ღებულობდა ორკეც ჯამაგირს და თავს აგარაკზე გრძნობდა, ეხლა მას ეუბნებიან — პროვინციელი უნდა გახდე და ერთმაგი თვიური ჯამაგირი უნდა მიიღოვო. ეს, რა თქმა უნდა, არსებულ მდგომარეობას პირადათ მისთვის აუარესებს და ამიტომ ახალი პროექტიც მას ძველზე უარესი ჰგონია.

ამხ. **ბედია** და **ბაბუნია** (ოლქის სასამ. თავმჯდომარე და იმავე სასამ. პროკურორი) ლამობენ დაამტკიცონ, რომ თუ ოლქის სასამართლოს წევრები, რომლებიც აქამდე სესიებზე დადიოდენ, ახლა მიმაგრებული იქნენ მაზრაზე და ადგილობრივ დასახლდენ, უთუოდ გათავცალიერდებიან, მათი კვალიფიკაცია ძალზე დაიწევს და საქმეებს უსამართლოდ გაარჩევენ. ეს მეტად არაჩვეულებრივი არგუმენტია. აქამდე მეცნიერება ამტკიცებდა სოფლის ჰაერი ქალაქისას სჯობიაო, ეხლა კი ოლქის სასამართლოს ამის საწინააღმდეგო განაჩენი გამოაქვს. მაგრამ ასეთი განაჩენი ძალაში ვერ დარჩება, რადგან ის ეწინააღმდეგება არა მარტო მეცნიერებას, არამედ ფაქტებსაც.

თუ პატივცემული ოლქის სასამართლოს წევრი სესიებზე მიდის და შეუცდომლად ასამართლებს, ნუ თუ იმავე წევრის ტვინზე ბინის გამოცვლა ასეთ დიდ გავლენას მოახდენს?

მართალია ჩვენი მოსამართლეები საჭიროებენ მეტს კვალიფიკაციას და ცოდნას, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ რეორგანიზაცია აქ ხომ არაფერს არ სცვლის იმის მეტს, რომ მოსამართლეს უადვილებს მუშაობას, მას უახლოვებს საქმეს და მასებს.

ამ მუხლში განწბილებული ოპონენტები სხვა პოზიციაზე გადადიან. გულის წუხილით მოგვითხრობენ, რომ თუ მაზრაში ადგილობრივად იქნა სასამართლო, მაშინ იქაური ხელისუფლება მაზე გავლენას მოახდენს და რევოლიუციონური კანონიერება დამახინჯდებაო.

აი, სადამდის მიდის ყალბი ლოღიკა. მაგრამ თუ ეს დასაშვებია ძველი იურისტისა და სპეცისათვის, სრულიად შეუწყნარებელია, როცა მას იმეორებს მარქსიზმისა და ლენინიზმის სკოლის ბოლშევიკი.

ეს „არგუმენტი" ჩვენთვის მიუღებელია დათანაც მეტის მეტი ულოღიკოც. მართლაც და თუ ადგილობრივი გავლენა ასე მავნებელია, მაშინ განა შესაძლებელია ჩვენ ვილაპარაკოთ ჩვენი სახალხო სასამართლოების სამართლიანობაზე? საქართველოში 70 სახალხო სასამართლოა. ისინი ყველა ადგილობრივ არიან და მათ ხელში ირჩევა რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოცენებული საქმეთა 98 პროც. რას გავს ასეთი სიფრთხილე, რომელიც მხოლოდ საქმეთა 2 პროც. იცავს და 98 პროც. ივიწყებს?

თუ ჩვენ ასეთი ლოღიკის გზას დავადგებით, მაშინ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ რაიონის სახალხო სასამართლოებიც გაგვეუქმებია; მაგრამ ჩვენი ოპონენტები არამც თუ არ მოითხოვენ მათ გაუქმებას, პირიქით აღიარებენ, რომ ოლქის სასამართლოების საქმეებიც მათ უნდა გადაეცესო.

აი. რას ამბობს საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორი ს. **ჯაფარიძე**: „ჩვენ ვფიქრობთ, ან უნდა დარჩეს ოლქის სასამართლოები (როგორც პირველი ინსტანცია) ან თუ ისინი მოისპობა, მაშინ „საქმეები პირდაპირ გადაეცეს სახალხო სასამართლოებს" (გაზ. „კომუნისტი" — №124).

ასეთი არის დასკვნა პატივცემული ლექტორისა წერილის ბოლოში, ხოლო მისი წერილის 9/10 კი წარმოადგენს ქვითინს იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ორგანოები გავლენას ახდენენ სასამართლოებზე. და ამ ბოროტებებში „ადგილობრივ ორგანოთა შორის პირველი ადგილი უჭირავს აღმასკომს, მაგრამ სხვა ორგანოებიც არ არიან თავისუფალი ასეთი ნაკლისაგან". (იქვე). ამ ბოროტებას ადგილი არ ექნებოდა თურმე, აღმასკომი, რომ ცენტრიდან იყოს დანიშნული და არა ადგილობრივ მასებისაგან ამორჩეული. აი „არგუმენტიც": „ცენტრის ატმოსფერა, რომელიც ანვითარებს საზოგადოებრივობის გრძნობას, პასუხის მგებლობის ღრმა შეგნებას და სხვა, — ეს ისეთი ფაქტორია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რაც რასაკვირველია მაზრაში არ იქნება".

**ლენინი** ყოველ კონტროლზე მაღლა აყენებდა მშრომელი მასების კონტროლს, მოქალაქე **ჯაფარიძე** კი ასეთ როლს „ცენტრის ატმოსფერას" აკუთვნებს.ეს გზა ლენინისტური გზა არ არის. ამას ჩვენი სასამართლოები ვერ გაიზიარებენ.

თქმა არ უნდა ადგილობრივ მუშაობაში ალაგ ალაგ მოიპოვება დეფექტები, შეუცდომელი არავინ არის, მაგრამ ხდება ვინც ისე ამცირებს ადგილობრივ ხელისუფლების მუშაობას, რომ მას ათიოდე ბოროტმოქმედის ბედსაც არ ანდობს. გორის მაზრაში 200.000-ზე მეტი მცხოვრებია. მათგან ამორჩეული აღმასკომები, აღჭურვილნი მათი ნდობით, განაგებენ მაზრის საქმეებს მეურნეობაში, შრომის დაცვაში, გადასახადების განაწილება - შეკრებაში, განათლებაში, წესრიგის დაცვაში და სხვა უფრო დიდ საკითხებში და ნუ თუ ისინი მაინც და მაინც სასამართლოს დარგში დაამახინჯებენ საბჭოთა პოლიტიკის ხაზს. რათ არის ასეთი საბედისწერო ეს ერთად ერთი დარგი — სასამართლო?

იმიტომ, რომ მოქალაქე **ჯაფარიძე** ამ საკითხს უდგება, როგორც ძველი იურისტი სპეცი და არა, როგორც მარქსისტი - ლენინელი. მისი კონცეპცია ძველ სისტემაზე აშენებულია და „ეს სისტემა არის მოსამართლის დამოუკიდებლობა". ასე უპასუხებს თვითონ პატივცემული ავტორი. მისი აზრით სასამართლო რაღაც ზეგარდმო მოვლინებული არსება არის და როგორ შეიძლება მისი ადგილობრივ მასების კონტროლ ქვეშ ყოფნა. აი, აქ მარხია ძაღლის თავი. და არა იმაში, ვითომდა ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ იურიდიული ფაკულტეტები არ დაუმთავრებია და ამიტომ სასამართლოს ხაზს დაამახინჯებს.

მოქ. **ჯაფარიძის** წერილი ჩვენ სრულ სხვაგვარად გვაშინებს — ვაი თუ ჩვენს უნივერსიტეტშიაც ასეთს ხაზს ატარებს ის, ასე ანტილენინისტურად უდგება საკითხს. მაშინ ჩვენ ეჭვი გვეპარება სტუდენტთა შორის რევოლიუციონურ კანონიერების შეგნებაში.

საკვირველია, რომ ასეთ სპეცის აზრს ადგებიან ზოგი ჩვენი ამხანაგებიც — თუმცა ისინი ამ აზრს უფრო ბუნდოვანად გამოსთქვამენ.

უკიდურესობაში ვარდებიან ზოგიერთი მათგანი. მაგალითად ამხ. **თ. დოლიძე** მოითხოვს რა ოლქის სასამართლოს გაუქმებას, წინადადებას გვაძლევს არ მოვაწყოთ მაზრის სასამართლო და ყველა საქმეები სახალხო სასამართლოს გადაეცეთ.

ეს აზრი მიუღებელია და აი რატომ. ჩვენი სახალხო სასამართლოები ისეც მეტად დატვირთულნი არიან: საშუალო რაოდენობა წლიურად მათთან შესული საქმეებისა უდრის 1.000—1500 თითოზე. საკითხი დგება თუ როგორ განვტვირთოთ ისინი და ავწიოთ მათი კვალიფიკაცია—ხოლო მათი კიდევ მეტად დატვირთვა ხომ სულ დაღუპვა იქნებოდა. ცხადია ეს აზრი **დოლიძესაც** მოუვიდა თავში და ამბობს: „იმ თანხით, რომელიც მაზრის სასამართლოებზე უნდა დაიხარჯოს პროექტების მიხედვით, ჩვენ შევიძლია ზოგ დიდ მაზრაში გავხსნათ ახალი უბნის სახალხო სასამართლო"-ვო; მაგრამ სად არის აქ პროექტის უვარგისობა დასაბუთებული?

ჩვენ ასეთ უდროვო მაქსიმალიზმს ვერ გავიზიარებთ მიუხედავათ იმისა, რომ პრინციპიალურად მომხრე ვართ ორ სისტემიანობის (სახალხო სასამართლო და უზენაესი სასამართლო). ეს ჩვენ ნაადრევათ მიგვაჩნია, რადგან ჩვენ სახალხო მოსამართლეებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სანამ ოლქის სასამ. საქმეებს რაიონის ურმებზე გადავტვირთავდეთ ,საჭიროა სათანადო მუშაკების მომზადება; თუ მაზრის სასამართლოებისათვის ჩვენ ოლქის სასამართლოს წევრები გვყავს, რაიონებისათვის ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ ასეთი კვალიფიკაციის ხალხის შოვნას (საქართველოშია 70 რაიონ. სახ. სასამართლო, ხოლო მაზრის კი იქნება 15).

მაზრის სასამართლოების შექმნა, რა თქმა უნდა, მეტად აადვილებს ამხ. **დოლიძის** დასახულ გზას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაზრის სასამართლო საძირკველს ჩაუყრის მაზრის ცენტრში იურიდიულ ჯგუფის შექმნას. იქ თავს მოიყრიან სასამართლოსა და პროკურორის გარშემო: ვექილები, გამომძიებლები, სახალხო მოსამართლეები, მსაჯულები და ყველა ისინი, ვისაც იურიდიული ცოდნა სწყურია. თუ დღეს სახალხო მოსამართლე ზოგიერთი საკითხის განსამარტავად თბილისში ჩამოდის, მაშინ ის ამ საკითხის ახსნას მაზრაშივე მიიღებს.

მაზრაშივე ჩვენ შევქმნით საზოგადო ბრალდებულთა ინსტიტუტს. ჩვენი მისწრაფება, რომ სასამართლო სპეციალურ ქერქიდან გამოძვრეს, ის გადაიქცეს პირდაპირ მასის უშუალო აპარატათ, რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს მოსამართლეობა — ესმოდეს კანონები. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ სასამართლოში მშრომელთა მასების როლი არ ამოიწურებოდეს მარტო მსაჯულობით, არამედ მასები გამოდიოდენ ბრალმდებლებისა და დამცველების როლშიაც. პატარა გამოცდილება ჩვენ ამ დარგში გვაქვს. საზოგადო ბრალმდებელი გაცილებით მეტ ყურადღებას იპყრობს ხოლმე მასებში, ვიდრე სახელმწიფო ბრალმდებელი-პროკურორი.

თუ ჩვენში საქმეთა 98 პროც. ირჩევა რაიონის სახალხო სასამართლოებში, ცხადია ჩვენი ყურადღების 98 პროც. იქით უნდა იყოს მიპყრობილი. ეს საქმეები ფართო მშრომელი ხალხის საქმეებია. აქედან ცხადია, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სახ. მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე, მათ განსწავლაზე და როცა აქ ჩვენ მიზანს სრულიად მივაღწევთ, მაშინ შეიძლება სამაზრო სასამართლოებიც გავაუქმოთ და ყველა საქმეები მათ გადავცეთ. მანამდის კი ეს ნაადრევია.

თუმცა წერილი მეტად გაგვიგრძელდა, მაინც კიდევ ორიოდე სიტყვა პროექტის მატერიალურ შედეგებზედაც უნდა ვთქვათ.

ეკონომიის რეჟიმი მოითხოვს, რომ ჩვენმა რეორგანიზაციამ აპარატი არ გააძვიროს. ასეც ხდება. მოსამართლეთა რიცხვი დღევანდელთან შედარებით მცირდება (რადგან მცირდება საკასაციო საფეხურები), სამაგიეროთ იზრდება ტეხნიკურ მომუშავეთა შტატი ამავე თანხების ფარგლებში. ხოლო რაც შეეხება სესიების ხარჯებს, აქედან კიდევ ეკონომიას ვღებულობთ 10.000—15.000 მანეთზე მეტს ყოველ წლიურად.

მაგრამ ეკონომია ამით არ ამოიწურება. 10-ჯერ მეტ ეკონომიას მიიღებს ის მასსა, რომელიც აქამდე იძულებული ხდებოდა რამე ცნობისათვის ან ტუსაღის სანახავად თბილისში ჩამოსულიყო. ეკონომიას მივიღებთ აგრეთვე მოწმეების სამგზავრო ფულებში, რომელიც აქამდე სახელმწიფოს ეკისრებოდა.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ხმაურობენ ვითომდა ახალი აპარატი უფრო ძვირი დაჯდებაო, მაგრამ ჯერ ერთი ნაგლეჯი ციფრიც ვერ წარმოადგინეს. პროექტი კი მომჭირნეობას მუხლობრივად ითვალისწინებს.

იყო ასეთი „არგუმენტიც" პროექტის წინააღმდეგ, რომ მაზრების ცენტრებში სასამართლო ვერ მოთავსდებაო; მაგრამ ესეც მეტად ყალბი და უფუძოა. დღეს თუ სესიები იმავე ცენტრებში თავსდებიან და თვეობით არჩევენ საქმეს, რატომ მომავალში ვერ მოთავსდებიან? რა შეიცვლება ამ მხრივ? არაფერი.

ვარაუდობენ: ახალი შტატი მაზრის სასამართლოს არ ეყოფაო. ესეც არ არის მართალი, რადგან ტეხნიკური შტატი, როგორც უკვე აღვნიშნე, იზრდება და არ მცირდება.

ზოგი კიდევ ამბობს, რომ მაზრაში ექსპერტებს ვერ ვიშოვნითო. ძვირად თუ დაგვჭირდება ჩვენ ასეთი ექსპერტი, რომელიც მაზრაში არ იშოვება — ვთქვათ წელიწადში 10 შემთხვევაში — მაშინ საქმეს ექსპერტიზით ქალაქად შევავსებთ.ყოველ შემთხვევაში ეს უფრო აზრიანი იქნება, ვიდრე ის, რომ 10 საქმისათვის 3.500 საქმე გადმოვიტანოთ ქალაქად, როგორც ეს ეხლა არის და როგორც ამას ზოგიერთი კიდევ იცავს.

**ი. ტალახაძე.**

---

*) დისკუსიის წესით.

# ეკონომიურ საბჭოში

## აბრეშუმის პარკის ფასი

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მოხსენების თანახმად, 1927 წ. მოსავლის აბრეშუმის პარკისათვის დაწესებულ იქნა შემდეგი ფასები: 1 ფ. თეთრი პარკი 1-ლი ხარისხის—24 მან. 57 კ., მეორე ხარისხის—22 მან. 28 კ., საშუალო ფასი—24 მან. 1 ფ. ყვითელი პარკი 1-ლი ხარისხის 27 მან. 41 კ., მეორე ხარისხის—25 მან. 54 კ., საშუალო ფასი 26 მან. 93 კაპ.

## ონის ჰიდრო-ელსადგური

ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა რაჭის სამაზრო აღმასკომს, ონის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად, აიღოს 65.000 მან. გრძელვადიანი კრედიტი.

## ციხის - ძირის მამულის შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება რეზინის ტრესტის მიერ იჯარით აღებული ციხის-ძირის მამულის პრაქტიკული ბოტანიკის სრულიად საკავშირო ინსტიტუტისათვის გადაცემის შესახებ.

საბჭომ საჭიროდ სცნო, საცდელ-საგამოკვლევო საქმე ადგილზე გატარდეს ადგილობრივ საცდელ დაწესებულებათა მეშვეობით; წინადადება მიეცა საქართველოს და აჭარისტანის მიწსახკომებს მცენარეთა კულტურების გაშენების ცდები აწარმოონ ბათომის ბოტანიკური ბაღის მეშვეობით, რომელიც სსრკ სახკომსაბჭოს მიერ აღიარებულია სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ძირითად საცდელ დაწესებულებათ.

# სას.-სამეურნეო კრედიტი

ბათომის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მთავარ დანიშნულებას შეადგენს დახმარება გაუწიონ ტეხნიკურ მცენარეთა კულტურის განვითარებას აჭარისტანსა და გურიაში, ამიტომ დიდი ნაწილი კრედიტებისა ეძლევა ტეხნიკურ მცენარეთა მეურნეობას. მაგალითად, მიმდინარე საოპერაციო წელს თამბაქოს მეურნეობას მიეცა 51.750 მანეთი სესხი, ჩაის კულტურას 105.379 მანეთი და ციტრუსოვან მცენარეულობას 89.596 მანეთი. უკანასკნელ წლებში აჭარისტანსა და გურიაში ფეხი მოიკიდა ლუფის კულტურამ, რისთვისაც წელს გლეხების მიერ ბანკისგან გამოთხოვილი იყო საერთოდ 40 ათასი მანეთის კრედიტი, მაგრამ რაკი ჯერ საბოლოოდ გამოკვლეული არ არის ამ ახალი კულტურის ნაყოფიერება და სარგებლიანობა ჩვენში, ბანკმა ლუფის კულტურაზე გასცა კრედიტი მხოლოდ 13 ათასი მანეთის რაოდენობით.

ბათომის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა წელს იკისრა აგრეთვე „ზაკსელმაშის" წარმომადგენლობა გურია-აჭარისტანში. ამ მიზნით მან ბათომში გახსნა „ზაკსელმაშის" სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობი, რომელიც გურია-აჭარისტანის სოფლებს აწვდის ყოველგვარ საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს.

# ქინაქინა

აპრილისა და მაისის განმავლობაში ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტმა დაურიგებია ადგილებისათვის 40 კილ. ქინა-ქინა. ქინა-ქინის უმთავრესი მომხმარებლები იყვნენ რესპუბლიკის სამალარიო რაიონები—ყვარელი, სიღნაღი, ზუგდიდი, ქუთაისი, ფოთი, სამტრედია, ბათომი, ყარაიაზი და სხ.

ქინა-ქინა უფასოდ ურიგდებოდა მალარიით დასნეულებულებს.

# ქუთაისი

## 43 წელი მშრომელთა სამსახურში

(მასწ. მ. ო. ვარდოსანიძის იუბილეს გამო)

მარიამ ოტია ვარდოსანიძის ასული დაიბადა 1864 წ. ს. ქვიტირში; გლეხის ოჯახში. მარიამის დედ-მამას მისი და მის მოდევნო ძმის ონისიმეს გარდა შვილი არ შერჩენიათ.

პატარა მარიამმა თავიდანვე სწავლის დიდი ნიჭი და წყურვილი გამოიჩინა და მხოლოდ ამან გახადა შესაძლებელი; რომ გლეხის შვილმა მარიამმა დაასრულა ისეთი პრივილეგიანი სასწავლებელი, როგორიც იყო მაშინ საქალებო გიმნაზია ქუთაისში.

სიღარიბემ მარიამი აიძულა სასწავლებელშივე დაეწყო მასწავლებლობა რეპეტიტორის სახით. სასწავლებლის მესამე კლასიდან მას უკვე ყავს მოწაფეები, როგორც ფასიანი, ისე უფასო; ღარიბი გლეხის შვილები. აქ ჩაენერგა მას მასწავლებლობის სიყვარული.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ის ეწევა კერძო მასწავლებლობას, სანამ 1883 წელს არ მიიწვიეს მასწავლებლად ახლათ გახსნილ პეტრე-პავლეს სახელობის სამრევლო სკოლაში. აქ მასწავლებლობდა ის 1894 წლამდი; ამ წელს კი გადაყვანილ იქნა მასწავლებლად იმჟამად გახსნილ იმერეთის ეპარქიალურ ქალთა ექვსკლასიან სასწავლებელში. ათი წლის შემდეგ, 1904 წლის 27 ნოემბერს, მარიამი მიიწვიეს გამგედ ქალაქის დაწყებითი სასწავლებელში, აქედან კი ორი წლის შემდეგ; ის მიწვეულ იქნა გამგედ ისევ ეპარქიალურ სასწავლებელში.

მისი გამგეობის დროს ეს სასწავლებელი გადაკეთდა რვაკლასიან სასწავლებლად. 1919 წ. მარიამი გადაყვანილ იქნა ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში გამგედ; ხოლო 1922 წლიდან; როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ შრომის პრინციპებთან შეფარდებით სასწავლებლის ძირითადი რეორგანიზაცია მოახდინა; მარიამი განაგებს ქუთაისის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან შრომის სკოლას.

ორმოცდა სამი წელიწადია რაც მარიამი ეწევა პედაგოგიურ მძიმე მოღვაწეობას.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი მოღვაწეობა. ის არა ნაკლებ ინტერესს იჩენდა ფართე საზოგადოებრივ საქმეებისადმი. ის მოწინავე ქალი იყო ქუთაისში; რომელიც იმთავითვე თანაგრძნობით ხელს უწყობდა ქუთაისის მარქსისტულ წრის ხელმძღვანელებს მუშაობაში. მათი ბინა იყო ის ადგილი სადაც — ზოგიერთი შემთხვევაში თავს იყრიდენ ისეთი პოლიტიკური ლიდერები; როგორიც არიან ამხ. მიხა ცხაკაია; ფილიპე მახარაძე; საშა წულუკიძე; ნიკო ელიავა და სხ. არ ყოფილა ქუთაისში არც ერთი კულტურული საზოგადოება; არ დაწყებულა ისეთი კულტურული საქმე; სადაც პატ. მარიამი არ ყოფილიყოს ან ინიციატორი საქმისა ან აქტიური მომუშავე. ყველგან ღებულობდა ის მხურვალე მონაწილეობას სრულიად უანგაროთ და თავდადებით.

ვერა ჯაფარიძისა და მარიამ იოსელიანის ასულთან ერთად ის იყო დამაარსებელი პირველ საკვირაო სკოლისა ქუთაისში, რომელსაც განაგებდა დღიდან მისი დაარსებისა 1891 წლიდან 1914 წლამდე.

მარიამი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების (ქუთაისის განყოფილების) გამგეობის წევრი იყო მთელ 15 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ.

ამავე დროს ის იყო წევრი ბავშვთა დამხმარე საზოგადოებისა თორმეტი წლის განმავლობაში. იყო აქტიური წევრი ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებისა, დრამატიულ საზოგადოების და სხვა.

არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნით გამართული წარმოდგენა, სეირნობა; სალამო; სადაც მარიამს არ მიეღოს უაღრესად აქტიური მონაწილეობა.

ამიტომაც არის, რომ ქუთაისის განათლების მუშაკთა კავშირი ა. წ. 11 ივნისს უმართავს მას იუბილეს, როგორც ღირსეულ წევრს. უეჭველია, მას გამოეხმაურება არა მარტო ქუთაისის მოწინავე საზოგადოება; რომელიც კარგად იცნობს მარიამის ღვაწლს, არამედ ყველა აქტიური წევრი საბჭოთა საქართველოს საზოგადოებისა, რომელსაც აინტერესებს ჩვენი კულტურული წინსვლა და რომელიც სათანადოთ აფასებს ამ დარგში ისეთ თავდადებულ მოღვაწეს, როგორიც არის შრომის გმირი მარიამ ვარდოსანიძე.

**ქუთაისის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობა**

# ჩვენი ვაჭრობა აღმოსავლეთთან

## საუბარი ა.-კ. აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის გამგეობის მდივანთან—ამხ. ზელენსკისთან

ჩვენს სავაჭრო ურთიერთობას ოსმალეთთან და სპარსეთთან, — სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. **ზელენსკიმ**,—უკანასკნელ ხანებში საგრძნობი გამოცოცხლება და გაფართოება ეტყობა.

მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში სპარსეთში გატანილია 21.868.000 მანეთის საქონელი, სპარსეთიდან კი შემოტანილია—16.640.000 მანეთის. ამრიგად, აქტიური ბალანსი უდრის ხუთ მილიონ მანეთს.

აქტიური ბალანსის ზრდა შემჩნეული იყო პირველ კვარტალშიაც; ასე, მაგალითად, პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირიდან სპარსეთში გატანილი იქნა 11.131.000 მანეთის, სპარსეთიდან კი შემოტანილი იქნა — 7.272.000 მანეთის. საერთო ბრუნვა უდრის 18.403.000 მანეთს ბალანსი აქტიურია 4 მილიონი მანეთით.

ჩვენი ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენდა: შაქარი, რომელიც გატანილია 5.088.000 მანეთის, ქსოვილები — 2.445.000 მან., ნავთის პროდუქტები—937.000 მან., ლითონის ნაწარმოები — 550.000 მან., სილიკატები — 686.000 მან. და რეზინის ნაწარმოები 436.000 მანეთის.

სპარსეთიდან შემოტანილი იქნა, უმთავრესად, ბამბა — 1.763.000 მანეთის, მატყლი—1.498.000 მან., ტყავეულობა — 1.674.000 მან., ხმელი ხილი და თხილი — 1.020.000 მან. და ბრინჯი—801.000 მანეთის.

რაც შეეხება ოსმალეთს, ჩვენი ექსპორტი ოსმალეთში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უდრიდა 5.711.000 მანეთს, იმპორტი კი—1.813.000 მანეთს; საერთო ბრუნვა უდრის 7.524.000 მანეთს.

საქონლის შემოტანისა და გატანის რაიონების მიხედვით საქონლის ბრუნვა ოსმალეთთან იყოფა ორ ნაწილად: ვაჭრობა ევროპის საზღვარზე და აზიის საზღვარზე.

ევროპის საზღვარზე ჩვენი ექსპორტის მთავარი საგანი იყო: ხორბალი, რომელიც გატანილია 2.888.000 მანეთის, ნავთის პროდუქტები—645.000 მან. და ქვა-ნახშირი — 568.000 მანეთის.

აზიის საზღვარზე: ნავთის პროდუქტები—92.000 მან. და ქსოვილები — 49.000 მანეთის.

ევროპის საზღვრიდან ჩვენ უმთავრესად შემოგვქონდა ბამბა, მთრთილავი საგნები, ზეთი და ხმელი ხილი, აზიის საზღვრიდან კი—მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, თივა და ბეწვეული.

როგორც მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, ჩვენი აქტიური ბალანსი თანდათან იზრდება. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი მისწრაფება ნეტტო - ბალანსისაკენ, არა თუ არ ამცირებს ჩვენს საგარეო ვაჭრობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არამედ ხელს უწყობს მის განვითარებას.

# ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში

ჩვენი კოოპერაციის წევრთა რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება, მის რიგებში თავს იყრიან ქალაქის და სოფლის მშრომელი მოსახლეობის სულ ახალი და ახალი ფენები. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ამჟამად თავის რიგებში ითვლის 236.000 წევრს, რაც წარსულთან შედარებით აუცილებლათ დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. იზრდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობის რიცხვი და ამჟამად ის დაახლოებით 60.000 აღწევს.

ამასთანავე ერთად იზრდება კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მონაწილეობა მაინც მეტად სუსტია და პროცენტულათ მცირეა კოოპერაციის წევრთა საერთო რიცხვთან შედარებით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ცეკავშირის ცნობებით 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის ითვლება მხოლოდ 9.588 ქალი, 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის კი 13.607. ე. ი. ერთი წლის განმავლობაში ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში გაზრდილა 41,9 პროც. ამავე ხნის განმავლობაში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა საერთო რიცხვი გადიდებულა 42,9 პროც. აქედან ცხადია, რომ ქალთა მონაწილეობის ზრდა კოოპერაციაში ოდნავი ჩამორჩებოდა წევრთა საერთო რიცხვის მატებას.

წევრთა საერთო რიცხვთან შედარებით ქალთა მონაწილეობა კოოპერაციის მთელ ქსელში (ქალაქად და სოფლად) უდრიდა 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის 6,5 პროც. და ეს პროცენტი დარჩა 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის, თუმცა აბსოლიუტურათ ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში გაიზარდა.

განსაკუთრებით სუსტი იყო ქალთა მონაწილეობა სოფლის კოოპერაციაში,—1926 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა მხოლოთ 3,6 პროც., შედარებით უფრო დიდი იყო ეს მონაწილეობა ქალაქის კოოპერატივებში—9,3 პროც. საშუალოდ კი ქალაქად და სოფლად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობა დაახლოებით 6,5 პროც. უდრიდა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციაში ეს პროცენტი 12-ს აღწევდა. ე. ი. საქართველო ამ მხრივ თითქმის ორჯერ ჩამორჩებოდა მას.

საბჭოთა კავშირის კოოპერაცია არ კმაყოფილდება მიღწეულ შედეგებით და მიზნათ ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას, რაც შეიძლება ქალთა მეტი აქტივის ჩაბმას კოოპერატიულ საქმიანობაში და კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში: გამგეობაში, სარევიზიო კომისიაში, სადუქნო კომისიაში და სხვა.

მით უფრო საჭიროა ამ მიმართულებით შესაფერი ღონისძიებების მიღება საქართველოში, რომელიც, ქალთა მონაწილეობის მხრივ ჯერ კიდევ ვერ გათანასწორებია საბჭოთა კავშირის კოოპერაციას. განსაკუთრებით საჭიროა ქალთა მონაწილეობის გადიდება კოოპერაციაში ფასების დაკლების კამპანიასთან დაკავშირებით.

როგორც მუშის, ისე გლეხის ოჯახში ხშირათ უმთავრესად ქალი აწარმოებს საჭირო საქონლის შეძენას, ის უფრო დაინტერესებულია და ხშირათ უფრო ერკვევა საქონლის ღირსებაში და მის ფასებში, უფრო ამჩნევს ყოველგვარ ცვლილებებს და სხვა. ამიტომ მშრომელი ქალის მონაწილეობას ფასების დაკლების კამპანიაში უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

მთელ რიგ ღონისძიებების მიღებით მიმდინარე წლის 1 აპრილისთვის ქალთა მონაწილეობა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში რამოდენიმეთ გაიზარდა და 6,5-დან ავიდა 7,78 პროც.-დე, მაგრამ მიღწეული შედეგებით, დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. და მომავალში გაძლიერებულ უნდა იქნას კამპანია სამომხმარებლო კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობის გასადიდებლათ.

ქალთა მონაწილეობა განსაკუთრებით უმნიშვნელოა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. სწორი ცნობები ამ მონაწილეობის შესახებ არ მოიპოება მაგრამ გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ პროცენტიულათ ქალთა მონაწილეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში საგრძნობლათ უფრო მცირეა, ვიდრე სამომხმარებლო კოოპერაციაში. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა მონაწილეობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: გამგეობაში 1 პროც. და საბჭოში 2 პროც., სარევიზიო კომისიებში ქალთა მონაწილეობა სრულებით არ სჩანს.

ასე სუსტია ქალთა მონაწილეობა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მართვა-გამგეობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებში გლეხქალის შრომას დიდი ადგილი უკავია. ჩვენი მეაბრეშუმეობა უმთავრესად ქალთა შრომაზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია ქალის მონაწილეობა აგრეთვე მერძევეობაში, მეკვერცხეობა-მეფრინველეობაში, მეხილეობა-მებოსტნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობაში და სხვა.

ჩვენი კოოპერაცია აწარმოებს მუშაობას მეურნეობის ამ დარგებში, მაგრამ ქალთა მონაწილეობა თითქმის სრულებით არ სჩანს. ეს გარემოება კი მეტად აბრკოლებს სოფლის მეურნეობის კოოპერატიული შეკავშირების, მისი გაუმჯობესების და სოციალისტური განვითარების საქმეს.

ამიტომ საჭიროა გლეხ-ქალების დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობაში მონაწილეობით. ამ მიმართულებით უნდა აწარმოონ მუშაობა სოფლის ყველა ორგანიზაციებმა, პირველყოვლისა კი თვით კოოპერატიულმა ამხანაგობებმა, ქალთა სადელეგატო კრებებმა და სხვა.

კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობის გადიდების საჭიროება აღნიშნულია თითქმის ყველა სათანადო ყრილობების და თათბირების დადგენილებებში. დროა ამ ყრილობების და თათბირების სიტყვა საქმეთ ვაქციოთ.

**ი. ბ.**

# ნაოსნობა მდ. რიონზე

ჩვენი ქვეყნის შემდეგი სამეურნეო განვითარების ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს იაფი ტრანსპორტი. ჩვენ ამ მხრივ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და კიდეც გავაკეთებთ, მაგრამ რასაკვირველია, არა გვაქვს გამოყენებული ყველა ის საშუალება, რომლებიც დიდი თანხის გაუღებლად მოგვცემს რეალურ შედეგს და დიდად წინ წასწევს ჩვენ მეურნეობას. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას იქცევს მდინარე რიონი. უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს რიონის ველს.რომელიც დღეს უგზოობის გამო თითქმის უყურადღებოდ არის. რიონის ველზე ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ ისეთი ძვირფასი კულტურული მცენარეები, როგორიცაა ქინა-ქინის ხე, კაფურის ხე და სხ. რომელთა პროდუქციის შემოზიდვა საბჭოთა კავშირს საზღვარ-გარეთიდან უხდება. ხსენებული მცენარეების გავრცელებას რიონის ველზე ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერებაც და შესაფერი ჰავაც. მიმოსვლის აღდგენა მდინარე რიონზე ეჭვს გარეშეა გაადვილებს ამ მდიდარი ველის გამოყენებას ამ. ფრიად მნიშვნელოვან საკითხს ჯერ კიდევ 1918 წელს ყურადღება მიაქცია ინჟინერმა ამხ. სპრინკველმა, რომელიც მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს ამის ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ მდინარე რიონზე გემთა მიმოსვლა სწარმოებდა ჯერ კიდევ 1858 წ., მაშინ გემების მიმოსვლას ხელმძღვანელობდენ კერძო პირები, 1867 წ. ეს საქმე გადავიდა საზოგადოება „როპიტ"-ის ხელში. მდინარის ექსპლოატაცია გრძელდებოდა მანამდე, სანამ არ იქნა გაყვანილი რკინის-გზის ლიანდაგი ფოთის მიმართულებით, რის შემდეგ გემთა მიმოსვლა შეწყდა. ჩვენი სწრაფი ეკონომიური ზრდა და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საჭიროება გვავალებს ვიზრუნოთ საკუთარი ნედლეულის ბაზის შექმნაზე, არ უნდა დავტოვოთ გამოუყენებელი არც ერთი ნაჭერი მიწა და მით უფრო ისეთი სასარგებლო და მდიდარი კუთხე, როგორიც არის რიონის განაპირა ადგილები.

მდინარე რიონზე გემთა მიმოსვლა სამსახურს გაუწევს ნახევარ მილიონიან მოსახლეობას და მასთან, რასაკვირველია, ადგილობრივ წარმოებასაც—130 ვერსის მანძილზე (ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის მაზრა). ამ მდინარის საშუალებით შესაძლებელი იქნება წლიურად 4 მილიონ ფუთზე მეტი ტვირთის გადაზიდვა და 200-250 ათასამდე მგზავრის გადაყვანა.

ამ საქმის მოსაგვარებლად უკვე შემდგარია საორგანიზაციო კომისია ამხ. ს. ჟუღელის თავმჯდომარეობით. სათანადო საორგანიზაციო მუშაობის შემდეგ ხსენებულმა კომისიამ წარუდგინა თავისი მოხსენება საქართველოს ეკონომიურ საბჭოს, უკანასკნელმა კი თავისი 25 მაისის დადგენილებით დაავალა ამხ. ჟუღელს შექმნას საპაიო ამხანაგობა—დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებმაც უნდა გადასდონ სათანადო ძირითადი თანხა პირველ ხანებში 60.000 მანეთის რაოდენობით. ამასთან ერთად, ეკონომიურმა საბჭომ სახკომსაბჭოს საშუალებით აღძრა შუამდგომლობა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, რომელიც ამ საქმეს დადებითად უყურებს გაიღოს ამ საქმისათვის 150 ათასი მანეთი.

27 მაისს შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლების სხდომა, რომელსაც დაესწრენ ქუთაისის, ფოთის, სენაკის აღმასკომების წარმომადგენლები, საქართველოს ხე-ტყის ტრესტის წარმომადგენელი და სხვები. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა თანხმობა განაცხადეს აღნიშნულ თანხის გაღებაზე და კიდეც დაანაწილეს ერთმანეთს შორის პაიები, ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად წარედგინა ეკონომიურ საბჭოს.

ამრიგათ, მდინარე რიონზე გემების მიმოსვლის დაწყება ახლო მომავლის საქმეა. ეს კი იქნება საბჭოთა საქართველოს მორიგი გამარჯვება სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე.

**მ. ცხომელიძე.**

# კატასტროფა

## ვერის გზატკეცილზე

### კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა

გუშინ დილიდან მუშაობას შეუდგა ქალაქის აღმასკომის მიერ გამოყოფილი კატასტროფის მიზეზების გამომკვლევი კომისია. კომისიაში შედიოდენ გეოლოგი **გაბუნია ინჟ. ქურდიანი, მუხარინსკი, ანდრონიკაშვილი** და სხვა სპეციალისტები.

გეოლოგმა გაბუნიამ კომისიის სხვა წევრებთან მოახდინა კატასტროფის ადგილის რაიონის დაწვრილებით გეოლოგიური შესწავლა.

საღამოს ქალაქის აღმასკომში შესდგა კომისიის თათბირი. თანახმად გეოლოგიური გამოკვლევის დასკვნებისა, კატასტროფა გამოიწვევია შემდეგ მიზეზებს: სასაფლაოს ქვემოდ მდებარე პლატო შესდგება ფხვიერი ნიადაგისაგან, რომელშიაც ადვილათ გადის წვიმის წყალი. ნიადაგში გასული წყალი ადნობდა იმ მარილებს, რომელიც ბლომათ მოიპოვება ნიადაგის ფენებში.

აღნიშნული მიზეზებით გამოწვეულია კლდის ფენების მოლიპვა; რადგანაც მთელ რიგ წვრილმან მიზეზების გამო კლდეში გაჩენილი იყო ნაპრალი, შემდეგ ადვილი გახდა ფენების ერთიმეორეზე დაცურება.

მომხდარი კატასტროფის შესახებ თათბირს არ გამოუტანია საბოლოო დასკვნა. პარასკევისათვის მოწვეულია კომისიის საბოლოო თათბირი.

კომისიის გადაწყვეტილებით, დღეს დაიწყებენ კატასტროფის რაიონის აგეგმვას.

# ქაღალდის ფაბრიკა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა ინგურის ქაღალდის ფაბრიკის აღმშენებლობას შესახებ.

ინგურის ქაღალდის ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტი დამტკიცებულ იქნა შემდეგი ამხანაგების შედგენილობით: **შ. ელიავა** (კომიტეტის თავმჯდომარე), **ბ. მიქიაძე** (მოადგილე), **ვ. ავაქოვი**, ინჟ. **ა. კაციტაძე**; **გ. ჟურულაშვილი**, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის ორი წარმომადგენელი და ასაგები ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

ასაგები ფაბრიკის მთავარ ინჟინრად დაინიშნა გზათა ინჟენერი **გიორგი პ-ძე თუმანიშვილი**. მთავარი ინჟენერის მოადგილეთ, ტეხნოლოგიურ ნაწილისა და ფაბრიკის ტეხნიკურად მოწყობის საქმეში დაინიშნა ინჟ. ტეხნოლოგი **გიორგი ელ-ძე კოჩინაშვილი**.

მასთან ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი ქაღალდის ფაბრიკის უახლოესი თვეების საამშენებლო სამუშაოთა წინასწარი გეგმა.

# საშაქრე ჭარხლის

## პლანტაციები

საქართველოში შაქრის ქარხნის აგების საკითხის დადებითად გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღირსების იქნება ჩვენში მოყვანილი ჭარხალი. ამ მიზნით გორის მაზრაში გაშენებულია ჭარხლის საცდელი პლანტაციები, რომელიც საქართვ. მიწათმოქმედების სახ. კომის. მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ჭარხალი გორის მაზრაში დათესილი იყო შარშანაც.

შარშანდელი მოსავლის ჭარხალზე გაკეთებულმა ცდებმა კარგი ნაყოფი გამოიღეს. მიმდინარე წელს ჭარხლის საცდელი მინდვრების სივრცე გადიდებულია. გარდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ მინდვრისა, წელს ჭარხალი დაითესა გლეხების მიწის ნაკვეთებზედაც გორის რაიონში. როგორც ამავე რაიონიდან იტყობინებიან ჭარხლის ნათესებს ძალიან კარგი პირი უჩანს, როგორც მიწათმოქმედების საცდელ მინდვრებზე, ისე გლეხების ყანებში.

# ჩაი

## პირველი მოსავლის მოწევა

აჭარისტანის და გურიის სოფლებში ამჟამად მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის პირველი შეკრეფა. ალაგ-ალაგ მოსავლის პირველი მოწევა უკვე დამთავრდა. მოსავალი ბევრ ადგილას საშუალოზე მაღლაა, ხოლო ზოგან კი ძალიან კარგი, საშუალო ჩაის ფოთოლის პირველი შეკრეფა სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა. ორი კვირაზე მეტია, რაც ახალ მოსავალზე მუშაობა დაიწყო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკამ სოფელ ზვანში (ოზურგ. მაზრ.) ფაბრიკა ადგილობრივ პლანტატორ გლეხებისაგან დასამუშავებლად ყოველ დღიურად ღებულობს 100 ფუთ ჩაის ფოთოლს, რაც გასული წლის ამავე სეზონის მოსავალთან შედარებით 10—15 პროცენტით მეტს შეადგენს. მიღებული მწვანე ფოთოლი გადასამუშავებლად იგზავნება ფაბრიკის საჭკნობ განყოფილებაში, რომელიც სეზონის დაწყებამდე საფუძვლიანად იქნა გადაკეთებული, დღე ღამეში განყოფილება ამუშავებს 6 ათას გირვანქა ჩაის.

მარტო ზვანის ფაბრიკა წელს დაამუშავებს 150 ათას გირვანქას.

ივნისის შუა რიცხვებში ოზურგეთში მოწვეულია საქართველოს ჩაის მეურნეთა ყრილობა; დღის წესრიგში სდგას ჩაის კულტურის გავრცელების, გაუმჯობესების და დამუშავების რაციონალიზაციის საკითხები.

# თამბაქოს კულტურა

გასულ წელთან შედარებით თამბაქოს მცენარით დათესილი მიწის სივრცე ბათომის მაზრაში წელს გადიდებულია ხუთჯერ. აჭარის წარმოკავშირმა კახაბერის რაიონში გარდა ოცი დესეტინა თამბაქოს პლანტაციისა, წელს გააშენა კიდევ დესეტინა ნახევარზე თამბაქოს საცდელი მინდორი, სადაც სპეციალურად სწარმოებს თამბაქოს ახალი ჯიშების, ბელგიური, ამერიკული, ოსმალური შიჯების აღმოცენება. ამ ჯიშებს შორის ყველაზე უფრო კარგად ხარობს ტრაპიზონული თამბაქოს ჯიშები. თამბაქოს მოსავალს მთელს მაზრაში კარგი პირი უჩანს. აჭარის წარმოკავშირი უკვე შეუდგა სამზადისს წლევანდელი მოსავლის მოსაწევად. ამ მიზნით მან მოაწყო თამბაქოს საშრობი, რომელიც ერთდროულად ახმობს 100 ფუთ ნედლ თამბაქოს.

### მეთამბაქოების გაძლიერება

წინადადება მიეცა თამბაქოს ტრესტს, რათა მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები იმის გამოსარკვევად, თუ რა თანხები შეუძლია გადადვას მან ლაგოდეხის, გურიის და სამეგრელოს მეთამბაქოთათვის.

საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკს დაევალა იხელმძღვანელოს თამბაქოს არეს და კრედიტების შემდეგი განაწილებით: გურიაში 50 დესეტინაზე სამას-სამასი მანეთი, სამეგრელოში 400 დეს. სამას - სამას მან. და ლაგოდეხში 550 დეს. 350 მან. თითოზე. სულ 1.000 დეს. 327.500 მან.

პრეზიდიუმმა გარდა ამისა საჭიროდ სცნო გადიდებულ იქნეს მიმდინარე წლის კრედიტები 726.000 მანეთამდე.

# ქრონიკა

### გამომკვლევი კომიტეტი

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველო აარსებს ბოტანიკურ-სანიადაგო გამოკვლევების კომიტეტს, რომელშიაც შევლენ წყალთა სამართველოს, მიწად-მოქმ. კომისარიატის და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები

### მიწისძვრის გამძლე შენობები

მიწისძვრის გამძლე შენობების პროექტების კონკურსში პირველი ჯილდო მიიღო თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტმა **სლავინსკიმ**. ამ ტიპის შენობები აგებული იქნება ლენინაკანში და გორში.

### მუშათა საბინაო აღმშენებლობა

სახკომსაბჭომ დაადასტურა საბინაო აღმშენებლობის კოოპერაციის სრულიად საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე — მუშათა ბინების აღმშენებლობის ფონდის სასარგებლოდ სოცდაზღვევის ანარიცხებზე დაწესებული მიზნობრივი ჭანამატი დეცენტრალიზაციის შესახებ; მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა საქართ-ში ხსენებული წანამატის აკრეფით მიღებული თანხის 50 პროც. ადგილობრივ საქართველოს საბინაო აშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად იქნეს დატოვებული.

### სათესლე ფონდი

რადგანაც სახ. სათესლე ფონდიდან 1921 წ. მოსახლეობისათვის მიცემული სათესლე სესხის ნარჩენები დღემდის აუკრეფელი რჩება, სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო ასეთი ნარჩენების ჩამოწერა.

### თბილისის აღმასკომში

◆ **აბანოები.** მუშათა უბნებში აბანოების მოსაწყობათ კომუნალური მეურნეობა შეუდგა ადგილების დაგეგმვას.

◆ **ნატახტარის წყაროების დებეტი** დღე-ღამეში წინასწარი გამოანგარიშებით უდრის 10—15 მილიონ ვედროს.

◆ **კურსები.** განათლების განყოფილება დღეს გახსნის სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკთა გადასამზადებელ კურსებს.

### სხვადასხვა

◆ **ნავთის პროდუქტები.** ნავთის სინდიკატმა ბათომის ნავთსადგურით უცხოეთში გაგზავნა 285 ათასი ფ. გაზოლინი, 17500 ფ. ბენზინი, 340.000 ფ. ნავთი და 650.000 ფ. მაზუთი.

◆ **ბრძოლა მავნებლებთან.** საქციო საზოგადოება „საკსელმაშმა" უცხოეთიდან მიიღო წამლეულობა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად.

◆ **ჭაობების ამოშრობა.** საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" ამ დღეებში შეუდგება ჩაქვის ჭაობების ამოშრობას.

◆ **სახალხო მამულებში.** თავი იჩინა ვაზის ავადმყოფობამ „ობმა" კომლის წინააღმდეგ ამჟამად სწარმოებს ბრძოლა.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** ხუთშაბათს, 9 ივნისს, საღ. 8 საათზე ამხ. ს. მაკალათია გააკეთებს მოხსენებას: „ძველი და ახალი ხევსურეთი".

◆ **სახ. კონსერვატორიის** ფორტეპიანოს ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთა გამოცდა დანიშნულია შაბათს, 11 ივნისს.

ქრონიკა ტშიძჯ— ღქპეჟ კლბთრდ -12312

—:—

## ხელოვნების ქრონიკა

### მოსკოვის მცირე თეატრი წელს არ ჩამოვა თბილისში

მოსკოვის სახელმწიფო მცირე თეატრის გასტროლები ბაქოში უნდა დამთავრებულიყო 4 ივნისს, რის შემდეგაც თეატრი თბილისში მოემგზავრებოდა, მაგრამ საზოგადოების თხოვნით თეატრი განაგრძობს წარმოდგენების მართვას ბაქოში ამიტომ, და აგრეთვე თბილისში დიდი სიცხეების დაწყების გამო, მცირე თეატრი წელს აღარ ჩამოვა თბილისში.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა თეატრის რწმუნებული, რომელმაც ხელშეკრულება დადო სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაციასთან თეატრის შენობის დაქირავების შესახებ მომავალი წლის მაისში.

მცირე თეატრის გასტროლები თბილისში გაიმართება 1927—28 წლის ოპერის სეზონის დამთავრების შემდეგ.

◆ **მუშათა კლუბის ბაღი.** დღეს 9 ივნისს გაიხსნება მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო ბაღი.

◆ **მუსიკალურ გამოფენაზე.** საქ. განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილება საერთაშორისო მუსიკალურ გამოფენაზე, რომელიც შესდგება ფრანკფურტში გზავნის ხალხურ მუსიკის ნოტებს.

# შემთხვევები

### ექ. ორლოვსკის თვითმკვლელობის გარშემო

გუშინ თბილისში დაბრუნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის ექიმი **ასლანიშვილი**, რომელიც კლინიკის მიერ მივლინებული იყო ჭიათურაში დოსტაქარი ნიკოლოზ ორლოვსკის თვითმკვლელობის დაწვრილებითი ცნობების გასაგებად.

ასლანიშვილის განცხადებით, ორლოვსკის გვამი უპოვნიათ 4 ივნისს, სად. ბოსლევთან—ჭიათურიდან 20 ვერსის დაშორებით. გამოირკვა, რომ ორლოვსკის 12 აპრილს მდინარე ყვირილაში დაუხრჩვია თავი.

გუშინ, ორლოვსკის გვამი ჩამოასვენეს თბილისში.

მისი ცნობა ძლიერ ძნელი იყო, რადგან სხეული ამდენხანს წყალში ყოფნით გახრწნილი იყო. ის იცნეს სამაჯურით, რომელიც წყალს ჯერ ვერ დაილპო.

— **მტკვარში გადავარდა.** 8 ივნისს დილის 5 საათზე ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა თამარა ანტონის ასული კარაბანოვი (22 წლის) რომელიც გადარჩენილი იქნა.

— **თავის მოწამვლა.** 7 ივნისს საპიორის ქ. № 30 ნადია ლევანის ასული ვერმიშოვამ მოიწამლა თავი, მიზეზი გამოურკვეველია, ვერმიშოვა გადარჩენილ იქნა სიკვდილს.

— ამავე დღეს თეატრის ქ. № 7 თავი მოიწამლა ქსენია ვასილის ასული ვაშაკიძემ, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** 7 ივნისს დააპატიმრეს დავით ამოევი, რომელმაც გაქურდა გიორგი ფოჩხიძის ბინა.

— **ნაქურდალი ნივთების პოვნა.** 7 ივნისს შეიპყრეს ალექსანდრე კუზმინი.

— ამავე დღეს შეიპყრეს ერვანდ სოლომონის ძე აროუთინოვი, რომელმაც 19 თებერვლის ქ. № 97 მცხოვრებ კირილე გაბუნიას აივანზე ძილის დროს მოპარა 70 მან.

— **ტრამვაიში.** სადგურის ქუჩაზე ვერა პრომოჩენკოს ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვა და სხვა საბუთები.

— **ქურდის შეპყრობა.** 7 ივნისს ქურდობისათვის დააპატიმრეს სერგო ვალმინი.

— **ქურდობა.** 7 ივნისს ლენინგრადის ქ. № 3 გაქურდეს ვარლამ გოგოშიძის ბინა.

— ამავე დღეს თბ. რკ. გზის სადგურის შესავალთან გლეხ ვასილ ქათამაძეს მოპარეს 60 მან. ნივთები.

# სასამართლო

## ფირვეული ცოლი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **კაკოევის** და **ებრაელიძის**, პროკურორ **ხარაბაძის** და მდივან **ქობახიძის** მონაწილეობით გაარჩია **კეკე** და **ისაკ ბაიანდუროვის** და **მიხა გზირიშვილის** საქმე.

ამ რამოდენიმე ხნის წინად მოქ. მიხა თარაზაშვილმა ცოლად შეირთო **ქ. ა—ძე**.

შემდეგ თარაზაშვილს შეუყვარდა ქვრივი მ-ს ქალი და განიზრახა მისი ცოლათ შერთვა.

დაქორწინების გარეშე თარაზაშვილს მ—სთან შეეძინა ვაჟი. თარაზაშვილმა დაითანხმა ცოლი ბავშვის შვილად აყვანაზე. ბავშვი იშვილეს და გიორგი დაარქვეს.

გავიდა ხანი. თარაზაშვილს ცოლი მოუკვდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მან შეირთო **კეკე ბაიანდუროვა**. ეს უკანასკნელი ხშირად მიმართავდა ქმარს ასეთი სიტყვებით:

— „მე არ მიხდება თბილისის ჰაერი, გავყიდე სახლი და კასპში გადავსახლდეთო". ქმარი უარზე იყო.

გარდა ამისა, ბაიანდუროვას ქალი მოითხოვდა ქმრისაგან, რათა ამ უკანასკნელს მთელი ქონება მისთვის დაემტკიცებია, თარაზაშვილი კი უპასუხებდა:

— „ხომ იცი, რომ მე მყავს შვილობილი, რომელიც ჩემი ქონების უშუალო მემკვიდრე არისო".

ბოლოს ცოლმა აიჩემა გორში გადასახლება, რაზედაც ქმარიც დაითანხმა. გორში ქალმა საეჭვო ცხოვრებას მიჰყო ხელი. ეს ამბავი გაიგო თარაზაშვილმა და აცემა ცოლს. ამის შემდეგ ცოლსა და ქმარს შორის ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ ჩხუბსა და დავიდარაბას, რომელიც ზოგჯერ ცემა-ტყეპამდისაც მიდიოდა.

კეკეს ქონების დასაკუთრების მიზნით განზრახული ჰქონდა ქმრისა და ქმრის შვილობილის მოკვლა. მაგრამ ქმრის მოკვლის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

მან ძმის ისაკის და მეზობელ გზირიშვილის მონაწილეობით, თავი მოჰკვეთა 13 წლის გიორგის და გვამი გადააგდო მტკვარში.

სასამართლომ კეკე და ისაკ ბაიანდუროვს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო გზირიშვილს 8 წლით.

### ი. თავდიდაშვილის საქმე

ამ რამდენიმე ხნის წინათ სოფ. ალმათის (თელავის მაზრა) მცხოვრებ გლეხს **გიო თავდიდიშვილს** მიპატიჟებული ჰყავდა ვახშმად მეზობელი **საბა ზაალიშვილი**. ვახშამზე მათ შემოესწრო გლეხი **ილია თავდიდიშვილი** (გიოს ბიძა), რომელმაც მისვლისთანავე უწმაწური სიტყვებით მიმართა სტუმარსა და მასპინძელს. გიომ შესთავაზა მას პურ-მარილი, მაგრამ გაბრაზებული ილია აგინებდა მათ და იძახდა:

— „ყველანი დასახოცი ხართო". გიო ძალზე გაკვირვებული იყო ილიას მოქმედებით. ი. დავდიდიშვილის აღელვება გამოწვეული იყო იმით, რომ მასე ეგონა ზაალიშვილი გიოს სახლში მისული იყო მის (ილიას) ქალიშვილის მოსატაცებლად. ილიას წინად გაგონილი ჰქონდა, რომ ზაალიშვილს მისი ქალიშვილი მოსწონსო.

რამდენიმე საათის შემდეგ ი. თავდიდიშვილმა გამოიტანა თოფი. შემდეგ მიეპარა სახლის წინ მყოფ თავდიდიშვილს და ზაალიშვილს და შესძახა მათ:

— „ხელები ზევით! შესდექით, თორემ ორთავეს მოგკლავთ". ამ ხმაზე გავარდა თოფი; ტყვიამ გაუარა ზაალიშვილს ყურის ძირთან. ხმაურობაზე გაჩდენ მეზობლები. ილია დაერია მოქალაქეებს—„არ მომეკაროთ„ თორემ სისხლი დაიღვრებაო".

ი. თავდიდიშვილი დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს, მან თავი არ სცნო დამნაშავეთ და განაცხადა; რომ თოფი შემთხვევით გაისროლა ჰაერში.

# ბრძოლა უმუშევრობასთან

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის წინადადებით შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას მომავალ 1927—28 საოპერაციო წელში უმუშევრობის საწინააღმდეგო ღონისძიების გასატარებლად. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილი იქნება ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით და შეტანილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტში. ხარჯთაღრიცხვა შედგება სამი დარგის მიხედვით: პირველში აღნიშნული იქნება ხარჯები საქართველოში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ, მეორეში—შრომის კოლექტივების შესანახად და ახალ კოლექტივების დასაარსებლად; მესამეში—ხარჯები უმუშევართა კოლექტივების ასაწევად.

ასეთი ხარჯთაღრიცხვები შედგენილი იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების შრომის კომისარიატის მიერ და წარედგინება ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

# რკინის გზა სოფ. ჯვარამდე

რადგან საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს გაჰყავს შავი ზღვის რკინის გზის ხაზიდან სოფ. ჯვარში (ქაღალდის ფაბრიკამდე) მისავალი საქარხნო ფართე ლიანდაგიანი რკინის გზის შტო, რაც სწყვეტს რკინის გზის ტრანსპორტის საკითხს როგორც ზუგდიდისათვის, ისე ზუგდიდის მაზრის უდიდეს ნაწილისათვის, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო გააუქმოს თავისი ა. წ. აპრილის 8-ს დადგენილება შავი ზღვის რკინის გზის მაგისტრალის ქ. ზუგდიდამდე მიახლოვების შესახებ. საბჭომ მოიწონა ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობა ჯვარის რკინის გზის შტოს საჭიროებისათვის რკინის გზის რელსების და ზოგიერთ სხვა მასალების უსასყიდლოთ დათმობის შესახებ.

# სამოსწ. წლის დასასრული

## სამხრეთ-ოსეთში

ივნისის 1-ლ რიცხვებში სამხრეთ-ოსეთის ყველა ტიპის სკოლებში დამთავრდა სამოსწავლო წელი. მიმდინარე 1926-27 სამოსწავლო წლის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთში მუშაობდა სულ 119 სკოლა. აქედან ოსური ოთხწლედი იყო 80, ქართული 30, სომხური და ებრაული 1, მეორე საფეხურის სკოლა: ოსური 2, ქართული 2, პოლიტეხნიკუმი სკოლა 2, საბჭოთა პარტიული სკოლა 1, საბავშვო სახლი—ორი ოსური და ერთიც ქართული. სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი უდრის 113. აქედან წ. კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტია ოსური 78, ქართული 28, ქოხ-სამკითხველო 7.

მიმდინარე წელს სამხრეთ-ოსეთში სწავლობდა სულ 7.684 მოწაფე, აქედან ვაჟი იყო 5.334, ქალი 2.350. ეროვნების მიხედვით ოსები შეადგენდენ 5.814, ქართველები 2.238, სომხები 184, ებრაელები 161 და სხვა ეროვნების 7. მიმდინარე წელს განათლების კომისარიატმა კიდევ გახსნა ორი საბავშვო სახლი და ორი საბავშვო ბაღი ასი ობოლი ბავშვებისათვის.

# ბიბლიოგრაფია

**В. С. КЛУПТ. СССР по районам. ЗАКАВКАЗЬЕ.**

რუსეთის სახელგამი. გვ. 154. ფასი 1 მ. 60 კაპ. 1927 წელი.

სახალხო მეურნეობაში გეგმიანობის შეტანის მიზნით, მთელი კავშირის ტერიტორია დაყოფილია იმ ბუნებრივ სამეურნეო რაიონების მიხედვით, როგორი თავისებურებასაც აღნიშნული რაიონი წარმოადგენს. ამ მხრივ, საგეგმო კომისიის ვარაუდი ისე შორს მიდის, რომ სახელმწიფოს ძველი ადმინისტრატიული დანაწილება, გუბერნიებათ და მაზრებათ, განძრახულია, ახლო მომავალში, შეცვლილ იქნეს, ოლქის დამახასიათებელ მეურნეობის სახელწოდების მიხედვით. ამის გამო სწარმოებს მუშაობა, კავშირის დასაყოფად რაიონების მიხედვით, რომელშიაც მოცემული უნდა იყოს ამ რაიონის ძირითადი ფაქტორები: ბუნებრივი შესაძლებლობანი, სხვა რაიონებთან ურთიერთობა და შრომის გეოგრაფიული განაწილება.

საბიბლიოგრაფიო წიგნი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მხოლოდ ერთი რაიონის — ამიერ-კავკასიის მეურნეობის დახასიათების ცდას. საერთო ცნობების გარდა, წიგნში მოცემულია მხარის მეურნეობის ყველა დარგები, სულ უკანასკნელი წლების მასალების მიხედვით, იმ გეგმით მუშაობის გათვალისწინებით, რომელიც ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების გეგმებით არის გათვალისწინებული. ავტორი მთავარ ყურადღებას აქცევს მხარის ძირითადი პროდუქციის მომცემს—სოფლის მეურნეობის მდგომარეობას.

ავტორის მოსაზრებანი, საინტერესოა, ამ სახის მეურნეობის შემდეგი დარგების შესახებ; ხორბლეულის კულტურა, ტეხნიკური კულტურა და მესაქონლეობა. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების, ამიერკავკასია მაინც ვერ გადასულა უფრო რენტაბელურ ძვირფას კულტურაზე, იმ რაიონებშიაც კი, სადაც დამახასიათებელ მეურნეობად ტეხნიკური მცენარეების კულტურა (მაგ. ბამბა) ითვლება, ხორბლეულობას მაინც უჭირავს შემოსავლის ნახევარი. ამის გამო, ახლო მომავლისათვის შეუძლებელია სამეურნეო სისტემაში რაიმე ძირითადი გარდატეხის ვარაუდი.

წიგნის ნაწილში, რომელიც მრეწველობას ეხება, აღსანიშნავია ავტორის აზრი საქართველოს მეურნეობის და აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობათა შესახებ, რომელთაც იგი აღიარებს **ექსტერიტორიალურ** მრეწველობათ, როგორც მათი ნაწარმოების მნიშვნელობის გამო, ისე იმ როლის მიხედვით, რომელთაც ისინი თამაშობენ ადგილობრივი რესპუბლიკების ეკონომიკაში. არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ავტორის ეს დებულება. ამ მრეწველობათა როლი იმდენად დიდია ნაც. რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრებაში, რომელიც სამეურნეო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. რომ მათი ამ რესპუბლიკებისაგან გამოყოფის ცდა, შეიძლება უაღრესად ხელოვნური იყოს.

საერთოდ, წიგნი წარმოადგენს ზერელე ნარკვევს ამიერ-კავკასიის ეკონომიური ფაქტორების შესახებ. სულ უკანასკნელი მასალების მიხედვით, რომელშიაც მთავარი ადგილი დათმობილი აქვს მეურნეობათა ტენდენციებს, მათ პერსპექტივებს, ვიდრე ფაქტიურ მასალას და იმ ღონისძიებების აღნუსხვას, რომელიც სათანადო სამეურნეო ორგანოების მიერ არის გათვალისწინებული, წიგნში უსათუოდ არის გადაჭარბებული ადგილები. ზოგიერთი დარგების შეკუმშვა, ზოგი საკითხების გვერდის ავლა, მიუხედავად ამისა იგი იძლევა სრულ სურათს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობისა, მისი ძირითადი ტენდენციების განხილვით და დღევანდელი პერსპექტივებით.

წიგნს დართული აქვს ამიერ-კავკასიის ეკონომიური რუკა.

X.

# კოლოკვიუმები

7 ივნისს შეწყდა სწავლა თბილისის ყველა ოთხწლედებსა და შვიდწლედებში, სადაც უკანასკნელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოსაცდელი კოლოკვიუმები. იმავე დღიდან კოლოკვიუმების ჩატარება დაიწყო ტეხნიკუმებში; კოლოკვიუმები გაგრძელდება 20 ივნისამდე მოწაფეები, რომელნიც დამაკმაყოფილებლად აბარებენ წერილობით გამოცდებს. ზეპირი გამოცდებიდან თავისუფალნი არიან. ის მოწაფეები, რომელნიც სათანადო წარმატებას ვერ გამოიჩენენ მიმდინარე კოლოკვიუმებზე პედაგოგიურ საბჭოს შეხედულების თანახმად, დაშვებული იქნებიან საშემოდგომო გამოცდებზე. მოწაფეები, რომელნიც ოთხ საგანში სუსტი აღმოჩნდებიან, დატოვებული იქნებიან იმავე კლასში მეორე წელიწადს.

# ვეტერინალური სადგურები

საზაფხულო სეზონის დადგომის გამო მოძრაობა ამიერ-კავკასიის ფარგლებში საგრძნობლად გაცხოველდა. მეჯოგეები მთელი ზაფხულის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იცვლიან საძოვარ ადგილებს. ცხვარი და სხვა საქონელი და გაჰყავთ ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში, იმ მიზნით, რომ წესიერ ნიადაგზე იქნეს დაყენებული საქონლის მკურნალობა, მიმდინარე წელს ეწყობა ვეტერინალურ სადგურებში, რომელნიც უფასო დახმარებას გაუწევენ მესაქონლეებს. საქართველოში უკვე მოწყობილია რამოდენიმე ვეტერინალური სადგური სხვადასხვა პუნქტებში.

4 ვეტერინალური სადგური მოაწყო აგრეთვე აჭარისტანის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატმა.

# სოცდაზღვევა

ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს ცნობით მიმდინარე 1926—27 საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის ორგანოები უმუშევრობასთან ბრძოლის საქმის გასაფართოებლათ გადასდებენ 150.000 მანეთს. ეს თანხები გადაეცემა რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს, უმუშევართათვის საზოგადო სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოსაწყობათ და საერთოდ უმუშევართათვის შრომითი დახმარების გასაწევათ. აღნიშნული თანხა 150.000 მანეთი განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს უწევს 60.000 მ. აზერბეიჯანს 72.000 მ. სომხეთს—18.000 მანეთი, ამიტომ ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატებმა ცალკე რესპუბლიკების სოციალური დაზღვევის ორგანოებს დაავალა გამოჰყონ ხვედრი თანხები და გადასცენ იმავე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებს. 60.000 მანეთი გადაეცემა საქ. შრომის კომისარიატს. ეს თანხა გადაირიცხება უმუშევრობის საწინააღმდეგო რესპუბლიკანურ ფონდში და განაწილდება შრომის კომისარიატის მიერ შედგენილ გეგმების მიხედვით.

# ფართალი

## მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის

აბრეშუმის პარკის დასამზადებელი სეზონი ახლოვდება. დამამზადებელი ორგანიზაციები უკვე შეუდგენ სათანადო თადარიგს პარკის შეყიდვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. მიმდინარე წლის პარკის დასამზადებელ სეზონში, როგორც გასულ წელშიდაც, მეაბრეშუმეობის რაიონებში გაგზავნილი იქნება მანუფაქტურა მეაბრეშუმე გლეხებს შორის გასანაწილებლად. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ბამბის ქსოვილების სარეზერვო ფონდიდან ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეობის რაიონების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებულ უნდა იქნეს ოცი ვაგონი ბამბის ქსოვილი და სხვა ფართალი. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს დავალებული აქვს ა.-კ. მეაბრეშუმეობის რაიონების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ივნისის განმავლობაში დაამთავროს მანუფაქტურის მიწოდება. მანუფაქტურის განაწილება იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, რომელიც წელს აბრეშუმის პარკის გეგმიან დამზადებას ეწევიან, დაკისრებული ამ.-კავ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ყვითელი რასის ფიზიოლოგიური თავისებურობანი

წყნარ ოკეანეს სანაპიროების ქვეყნებში (ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, შეერთებულ შტატებში) აკრძალულია ან შეზღუდულია ჩინელების და იაპონელების იმიგრაცია (მათი გადასახლება ამ ქვეყნებში). ნაწილობრივ ამ როლს თამაშობს შიში ყვითელ კანიანების გამძლეობისა და არაჩვეულებრივი შრომის მოყვარეობის წინაშე. ევროპიელი ემიგრანტები ვერ უწევენ კონკურენციას აზიიდან გამოსულებს, რადგან ევროპიელი საჭიროებს დიდ საარსებო მინიმუმს. ყვითელ კანიანების მოთხოვნილებათა სიმცირის ერთი მიზეზთაგანი არის ის, რომ ისინი, ევროპიელებთან შედარებით, ცოტას ხარჯავენ კულტურულ საჭიროებებზე. მაგრამ ზემოხსენებული მოვლენის მთავარი მიზეზი მდგომარეობს ყვითელ კანიანების ორგანიზმის თავისებურობაში.

უკვე დიდი ხანია გამოთქმული იყო ის მოსაზრება რომ ყვითელ კანიანები ორგანიზმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროებენ ნაკლებ საჭმელს ვიდრე თეთრ კანიანები. მაგრამ ამ მოსაზრების დამარწმუნებელი დასამტკიცებელი საბუთი ვერ ენახათ. გამოთქმული აზრის შემოწმებას აწარმოებდენ ყვითელი კანიანების სამშობლოში, სადაც ცხელი ჰავაა და სადაც არა თუ ადგილობრივი მცხოვრებლები, არამედ თეთრკანიანებიც ნაკლებ საჭმელს საჭიროებენ.

საბოლოოდ გადაიჭრა ეს საკითხი მეცნიერ **კროუტსის, მაკ-ლეოდის და ბენედიქტის** გამოკვლევების წყალობით. ეს მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ ბოსტონის (შეერთებული შტატები) კვების ინსტიტუტში, დიდი ხნის განმავლობაში ახდენდენ ცდებს რამდენიმე ყვითელ კანიანზე, რომელთა ორგანიზმი უკვე შეეჩვია ზომიერ ჰავას. აღმოჩნდა, რომ ცილოვან ნივთიერებათა ის რაოდენობა, რომელსაც საჭიროებს ყვითელ კანიანი ადამიანის ორგანიზმი დღიურად, ორგანიზმის მიერ დახარჯულ ცილოვან ნივთიერებათა ნაცვლად, ათი პროცენტით ნაკლებია, ვიდრე იმავე რაიონში მცხოვრები თეთრკანიანები საჭიროებენ.

# იურიდიული დახმარება

### სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის შესახებ

სოფ. წალენჯიხის (ზუგდიდის მაზრა) მხც. გლეხს მ. მიქავას

პასუხი ——

თანახმად ა.-კ. ცენტრალურ აღმას. კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 15 თებერვლის დადგენილებისა (მუხ. 2 და 3-ისა). გამოქვეყნებულია შრომის კანონმდებლობის „მოამბე"-ს № 3—1926 წ. 15 თებერვლიდან) შრომითი საგზაო ბეგარაზე შეიძლება გაწვეულ იქნეს შრომის უნარიანი ყველა მამაკაცები, 18-დან 50 წლამდე, რომელნიც მუდმივად სცხოვრობენ ამა თუ იმ თემის სათანადო ფარგლებში.

საგზაო ბეგარისაგან აუცილებლად განთავისუფლებული უნდა იქნენ ის პირნი, რომელნიც წითელარმიის ან ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფებიან და აგრეთვე ისინიც, ვინც განთავისუფლებულია შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 14-ით.

საკუთარი პირადი შრომის გარდა ბეგარის მომხდელი ვალდებულია წარმოუდგინოს თემის აღმასკომს (თუ მას ამის საშუალება აქვს) მუშა-საქონელი საჭირო ურმებით და ინვენტარით, მაგრამ არა უმეტეს ორი სული საქონლისა თითო ოჯახზე. (მეურნეობაზე) იხ. იქვე მუხლი 4).

### დაიშვება თუ არა საგზაო ბეგარის ფულის სახით მოხდა

ოზურგეთის მცხოვრებ ა. დიდიას

პასუხი

საგზაო ბეგარა შესაძლებელია მოხდილი იქნეს ფულის სახით. ფულადი გადასახადის რაოდენობას საზღვრავენ თემის და მაზრის აღმასკომები მუშის და საქონლის იმ ადგილას არსებულ ქირის მიხედვით. ბეგარაზე სამუშაო დღეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში ხუთ დღეს საგაკვეთილო დებულების ნორმის მიხედვით. (იხ. ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების მუხ. 5 და 6. 1925 წ. 15 თებერვ.).

თემის საგზაო მუშაობას აწარმოებენ საგზაო ბეგარის წესით იმ სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც ეს გზები ეკუთვნით. (იხ. იქვე მუხ. 10).

### მოწაფეების შესახებ

პარიკმახერის მოწაფეს, შალვა მახარაძეს

პასუხი

მოწაფეთა შრომის გასამრჯელოს შესახებ არსებობს ასეთი წესები და მთავრობის დადგენილება: მოწაფის შრომის ხელფასის რაოდენობა, სახე და მისი გაცემის ვადები განისაზღვრება მოწაფეობის ხელშეკრულებით, რომელიც უნდა დაიდვას ოსტატთან შემდეგი წესების დაცვით: ა) მოწაფეობის წლის პირველ ნახევარში ოსტატმა უნდა მისცეს მოწაფეს უფასოდ საჭმელი და ბინა ან და მისი ფულადი ექვივალენტი. (ე. ი. ფულადი ჯილდო ოსტატთან შეთანხმებით); ბ) მოწაფეობის წლის მეორე ნახევრიდან კი მოწაფეს უნდა მიეცეს აუცილებლად შეთანხმებაში სწორად განსაზღვრული ხელფასი ნატურალური, ფულადი ან და შერეული სახით; გ) მოწაფეობის ორი წლის შემდეგ მოწაფეს აუცილებლად უნდა მიეცეს შრომის ხელფასი, რომელიც უნდა შეიცავდეს ნატურალურ და ფულად გასამრჯელოს, მაგრამ ფულადი ნაწილი ხელფასისა არ უნდა იქნეს სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები; მას უნდა მიეცეს აუცილებლად ხელფასის ფულადი ნაწილი მისი 25 პროცენტის არა ნაკლებ რაოდენობით.

(იხ. ამ. კავ. ცაკის სახკომსაბჭოს 1927 წ. 26 მარტის დადგენილების მუხ. 21 თავი—5) (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს № 1468 1927 წ. 6 მაისიდან).

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 49

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

### საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შევსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს $68^1$, $68^2$, $68^3$, $68^4$, $68^5$, და $68^6$ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

$68^1$. ის, ვინც დაკარგულ ნივთს იპოვნის, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს, სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით, ნივთის დამკარგველს ან გამოუცხადოს და ჩააბაროს ნაპოვნი ნივთი მილიციას, თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან და სოფლის საბჭოს, რომელიც თავისი მხრით, მოვალენი არიან იმავე დღესვე გამოაკრან თავ-თავის სადგომებში განცხადება ნივთის პოვნის შესახებ.

$68^2$, უკეთუ აღნიშნული ნივთის დამკარგველი 6 თვის განმავლობაში გამოცხადდება ან გამოირკვევა მისი ვინაობა, მას დაკარგული ნივთი დაებრუნება, ხოლო ამასთანავე იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ნივთის შემნახველს ყველა ის ხარჯი, რაც კი მან ნივთის შენახვაზე გასწია და, გარდა ამისა, გადუხადოს მპოვნელს ნივთის საბაზრო ფასის 20 პროც. უკეთუ ეს ნივთი ბაზარზე არ ფასობს, მპოვნელის ჯილდოს განსაზღვრავს სასამართლო.

**შენიშვნა.** ისეთი, ნივთის მპოვნელს, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, ამა მუხლით გათვალისწინებული ჯილდო არ მიეცემა.

$68^3$. ცალკე შემთხვევაში, ნივთის დამკარგველისა და მპოვნელის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, სასამართლოს შეუძლიან შეამციროს $68^2$ მუხ. გათვალისწინებული ჯილდო ან და სრულიად გაანთავისუფლოს ნივთის დამკარგველი ამ ჯილდოს გადახდისაგან.

$68^4$ უკეთუ ნივთის დამკარგველი არ გამოცხადდება ან მისი ვინაობა ვერ გამოირკვა 6 თვის განმავლობაში, ნაპოვნი ნივთი, სამოქ. სამ. კოდ. 68 მუხლის თანახმად, გადადის სახელმწიფო საკუთრებად. ამ შემთხვევაში ნივთის მპოვნელს ჯილდო მიეცემა ამა დადგენილების $68^2$ მუხ. განსაზღვრული რაოდენობით.

**შენიშვნა.** სახელმწიფოს საკუთრებად გადასული დაკარგული ნივთის რეალიზაცია მოხდება იმ წესით, რაც სსრკ სახ. კომ. საბჭ. 1925 წლის სექტემბრის 22-ს დადგენილებით შემოღებულია კონფისკაციაქმნილი ნივთების გამოყენებისათვის (სსრკ კან. კრ. 1925 წლ. 71 №-რი, მუხ. 526).

$68^5$. ამა დადგენილების $68^2$ და $68^4$ მუხ. აღნიშნული ექვსთვიანი ვადა იანგარიშება დღიდან დამკარგველისათვის ხელწერილის ჩამორთმევისა ან ნივთის პოვნის შესახებ მილიციაში, თემის აღმასრულებელ კომიტეტში ან და სოფლის საბჭოში განცხადების შეტანისა.

$68^6$ წინა ($68^1$ — $68^5$) მუხლებში გათვალისწინებული წესი არ გავრცელდება იმ ნივთზე, რაც ნაპოვნი იქნება დაწესებულებასა და საწარმოში, საერთო სარგებლობის სადგომში, რკინისგზების მოძრავ შედგენილობაში, გემზე და სხვ. ამ შემთხვევაში ნივთის მპოვნელს არავითარი ჯილდო არ მიეცემა, ხოლო ნაპოვნი ნივთი გადაეცემა სათანადო დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაციას იმ განსაკუთრებული წესების მიხედვით, რაც გამოცემულ იქნება სათანადო უწყებისა და დაწესებულების მიერ.

11. სამოქ. სამ. კოდექსის 251 მუხლს დაემატოს შენიშვნა — შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა.** მინდობილობის ხელშეკრულებით რწმუნებულად შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ამასთან ამ უკანასკნელს შეუძლიან მიიღოს მინდობილობა მხოლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რაც არ სცილდება სათანადო წესდებით, დებულებით ან და საამხანაგო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგალს მისი მოქმედებისას.

3. სამოქ. სამ. კოდექსის 260 მუხლის „დ" პუნქტის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

3) რწმუნებულის სიკვდილის გამო ან მის მიერ ქმედობაუნარიანობის დაკარგვის გამო ან და იმ იურიდიული პირის არსებობის მოსპობის გამო, ვის სახელზედაც გაცემული იყო რწმუნებულება.

4. სამოქ. სამ. კოდ. 404 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

**შენიშვნა.** სარჩელის ხანდაზმულობა სახელმწიფო ორგანოსადმი წარსადგენი, ამა მუხლზე დამყარებული მოთხოვნისათვის განისაზღვრება ორი წლით და იანგარიშება დღიდან ზიანის მიყენებისა.

აღნიშნული ხანდაზმულობის ვადის დენა, გარდა იმ საერთო საფუძვლებისა, რაც ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და განგრძობისათვის არის დაწესებული (48 და 49 მუხ.) შეჩერდება აგრეთვე იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულმა ან (უკეთუ იგი გარდაიცვალა) მის რჩენაზე მყოფმა პირმა მიმართა სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს იმ დღემდე, ვიდრე მას არ დაენიშნება პენსია ან უარი არ ეთქმის პენსიის დანიშვნაზე.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20.
თბილისი-სასახლე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის კომუჯრედის და კომკავშირის ბიუროები იტყობინებიან**, რომ პარტიის და კომკავშირის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გამოცხადდენ სასწრაფოთ 9 და 10 ივნისს, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროში.

— 10 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში **შესდგება მე-4-ე რაიონის ბავშვების მეგობართა საზოგადოების კონფერენცია.**

— 9 ივნისს სრულ 5 საათზე მოწვეულია **სახ. უნივ. აგრონ. ფაკ. ა. ლ. კ. კ: უჯრედის ბიუროს სხდომა:** დასწრება წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

— **ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო„** იტყობინება უჯრედის წევრთა საყურადღებოდ, რომ 9, 10 და 11 ივნისს, (უნივერს. შენობაში, მეორე სართულზე, პროფკომის ოთახში) საღამოობით 6-8 საათამდე იწარმოებს უჯრედის წევრთა ხელახალი აღრიცხვა. აღნიშნულ დროს შემდეგ აღრიცხვაზე არავინ აიყვანება.

— 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის ბავშვების მეგობართა საზოგადოების კონფერენცია.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში **მოწვეულია არსენალის რაიონის უჯრედთა ორგკომისიების თათბირი.**

ორგკომისიების ყველა წევრები დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ.

— წინადადება ეძლევათ ამხ. ენუქი ოჩიგავას, ათანასე გოგინეიშვილს, ეკატერინე გოგუაძეს, ნინო ჯაპარკავას, ნიკოლოზ კიკაბიძეს და დავით კაკაბაძეს გამოცხადდენ ცეკაში ამხ. ლორთქიფანიძესთან ა.-წ. 9 ივნისს, დილის 9 საათზე.

— **ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების** საერთო-საქალაქო კონფერენცია შესდგება დღეს, 9 ივნისს, საღამოს 9 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის ასისტენტის ექიმ

**ნიკოლოზ ორლოვსკის**

ტრაღიკულ გარდაცვალებას. 1—1 ნ. 1295

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაცვლილ საყვარელ და დიდად პატივცემულ, ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის უფროს ასისტენტს ექიმ

**ნიკო ორლოვსკის**

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ანატომიურ თეატრის პროზექტურაში, (კამოს ქ. № 51) დღეს საღამოს 6 ნახევარ საათზე და ხვალ 10 ივნისს ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე. გამოსვენება და დაკძალვა კუკიის სასაფლაოზე 10 ივნის დღის 4 საათზე. 2—1 2974

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროს ასისტენტის, ექიმ

**ნიკო ორლოვსკის**

უდროოდ დაკარგვას. 2—1 2975

---

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ფრიად დამწუხრებულია იშვიათი თანამშრომლის, 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების უფროსი ასისტენტის ექიმ

**ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ორლოვსკის**

უდროოთ ტრაღიკულ გარდაცვალებით. დაკრძალვა—პარასკევს, 10 ივნისს. გამოსვენება 4 საათზე მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. 1—1 ნ.

---

საძუდამოთ გლოვით მოცულნი მშობლები გიორგი და ელისაბედ ვეშაპიძეები, შვილები: ნინო, მიხეილ და თინათინ; სიძე კონსტანტინე ვასილის-ძე გორბაჩოვი, შვილის შვილები: ლეონიდე, ირაკლი და ნათელა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქ. პარიზში ტრაღიკულათ გარდაცვლილ მათ საყვარელ და დაუვიწყარ

**გრიგოლ ვეშაპელის**

წლის თავის აღსანიშნავად 10 ივნისს დ. საჩხერეში (ს. საირხეში) გადახდილი იქნება პანაშვიდი. 2—1 2976

---

პოეტი სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ ყოჩიაშვილი და აბმროსი შანშიაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს: პირველის მამის, მეორის სიმამრის და მესამის ბიძის

**ილია ალექსანდრეს-ძე შანშიაშვილის**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა სოფ. ჯუგაანში, ხუთშაბათს 9 ივნისს. 1—1 2973

---

გაუბედურებული მამა მიხეილ იასონის-ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული ოქროპირიძეები შვილებით: მამიდა თამარ იასონის ასული მარუაშვილისა ქმრით და შვილი გოგიათი აუწყებენ ნათესავ-მეგობარ და ნაცნობთ, რომ 6 ივნისს, დილის 9 საათზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ნატალია (ნატულა) მიხეილის ასული ოქროპირიძე**

გამოსვენება დღეს, 9 ივნისს, არამიანცის საავადმყოფოდან ნაშუადღევის 4 საათზე, დასაფლავება დღესვე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.
2970 1—1

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა დესპინე, ძმა ივანე, და მინადორა და სიძე ლევანი ზოდელავა შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 12 ივნისს, დღით 12 საათზე ქ. ფოთში ნახუტრუს ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ძვირფასი და დაუვიწყარი

**მიხეილ (მიშა) გაიოზის-ძე გაბუნიას**

გარდაცვალებიდან ერთი წლის პანაშვიდი. (ღ)

---

**აპოლლო** ტელ. 7—61.
**არფასტო** ტელ. № 19—22.
**სოლეი** ტელ. 20—44.
**დარბაზი** ტელ. 14—03.
0—8 ნ. 1094

საუკეთესო სურათი, პირველად თბილისში
**მწვანე მანუელა**

**კონვეი ტირლი და ელენ გამერშტეინი**
საუკეთესო სურათში
**„ქ ა ლ ი ბ უ რ უ ს ი დ ა ნ"**

მეორე კვირა გრძელდება
**„ს ა მ თ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი"**
რეჟ. **ა. რ ო ო მ ი.** ბავშვები არ დაიშვება.

სეზონის საუკეთესო ტრიუკული კომედია
**ხალხის სათაყვანებელი**
ამერიკის საუკეთესო კომიკის ბენა ტირპენის მონაწილეობით

ანონსი: ჩქარა: **„მისი უდიდებულესობის სოლისტკა".**

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. გამყრელიძე

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივნისს 1927 წ., დილის 10 საათზე, ქ. ონში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით და იასონ ვასილის-ძე კერესელიძეების ქონებას: ერთ თელის და ერთ მუხის ბელლებს და ერთ ნაძვის სამზარეულოს გადასატანად,— დახურულს ყავრით, აგრეთვე ტანისამოსის და ბუფეტის შკაფებს, კედლის საათს, მაგიდებს, კამოდს და სხ., შეფასებულს 1275 მანეთათ, ამ თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა ონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების და სხ. ვალების დასაკმაყოფილებლად, თანახმად ონის უბნის სახალხო მოსამართლისაგან 15 და 20 აპრილს 1927 წ. თარიღით №№ 120, 121, 122 გაცემულ სასამართლოს ბრძანებებისა. ქონება გაიყიდება ცალცალკე. 2972 1—1

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი **გ. ქ. ჯინჭველაშვილი**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 11 ივნისს, დღის 12 საათზე, გოგოლის ქუჩაზე № 63 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. საზოგადოება „კახეთია"-ს უძრავ ქონებას: ორ სართულიან სარდაფს, ზომით 3432 ოთხკუთხ. არშ. და ცხრამეტ სხვადასხვა განყოფილებებს. ამაში სამი განყოფილება ცალკეა აგებული. შენობა აგებულია 64067 კვ. საჟ. მიწის სივრცეზე, დახურულია კრამიტით და შეფასებულია 35.644 მანეთად. გაიყიდება გემოკვების კავშირის და სხვათა ვალების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბ. შრომის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა №№ 980, 180, 368 და 987. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან და იწარმოებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-311—312 მუხლების დაცვით. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს 10 პროც. საწინდარი. ნ. 1294 1—1

# სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 7).

| №№ რიგ. | რეგისტრაციის დრო | საწარმოოს მეპატრონე | მისამართი | საწარმოოს საგანი | ძირითადი კაპიტალი | სარეწაო მოწმობის ხარისხი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 179 | 27 მაისი 27 წ. | ენიკოლოპოვი ნიკოლოზ სტეფანეს-ძე | ტფილისი ტიკჭორის შესახვ. № 11 | ღვინის სარდ. | 1.800 | მე-4-ხე |
| 180 | „ | დათუაშვილი გიორგი საქუასძე | ტფილისი სადგურის ქ. № 20 | „ | 900 | „ |
| 181 | „ | ბეგიჯანოვი ბაღდან მელქოსძე და გალუსტოვი გ. | ტფილისი კლარა ცეტკინის ქ. № 218 | „ | 1.200 | „ |
| 182 | „ | არუთინოვი კარაპეტ ზაქარის-ძე | ტფილისი მალაკნის ქ. № 10 | „ | 1.000 | „ |
| 183 | „ | ყაზაროვი კარაპეტ ბეგლარისძე და ქეღლო ასატუროვი. | ტფილისი კახეთის მოედანი № 13 | „ | 1.500 | „ |
| 184 | „ | კალანდაძე მიხეილი და გუგუშვილი | ტფილისი სადგურის ქ. № 15 | „ | 1.000 | „ |
| 185 | „ | მათეშვილი ივანე ქაიხოსროს-ძე | ტფილისი რიყის ქ. № 40 | „ | 800 | „ |
| 186 | „ | აილატოვი ალექსანდრე | ტფილისი 19 თებერვლის ქ. № 70 | „ | 1.000 | „ |
| 187 | „ | მერინაშვილი გრიგოლი | ტფილისი მჭედლის ქ. № 2 | „ | 3.500 | „ |
| 188 | „ | ოშაყმაშვილი დიმიტრი რაჟდენის-ძე | ტფილისი კლარა ცეტკინას ქ. № 176 | „ | 800 | „ |
| 189 | „ | ოთაროვი არტემი | ტფილისი დიდი ვანის ქ. № 1 | „ | 4.500 | „ |
| 190 | „ | ნეფარიძე ათანას ფილიპეს-ძე | ტფილისი სურევის ქ. № 4 | „ | 1.000 | „ |
| 191 | „ | არუთინოვი ალექსი | ტფილისი პლეხანოვის გამზირი № 118. | „ | 1.000 | „ |
| 192 | 28 „ | საქ. სახმედვაჭრობა | ტფილისი რკინის რიგი № 4 | მე-4 მაღაზია | ს. თ. არა აქვს | „ |
| 193 | 31 „ | ესიტაშვილი დიმიტრი დავითის-ძე | ტფილისი მუშტაიდის შეს. № 15 | ღვინის სარდ. | 1.000 | „ |
| 194 | 4 ივნისი | გიორგობიანი ლევან იორდანის-ძე | ტფილისი მიმოსვლის ქ. № 6 | სასადილო | 460 | „ |
| 195 | „ | ფოჩხიძე ლევან ალექსანდრესძე | ტფილისი მიმოსვლის ქ. № 14 | „ | 1,100 | „ |
| 196 | „ | სომხიევი ზაქარია არტემის-ძე | ტფილისი საბჭოს ქ. № 61 | „ | 650 | „ |
| 197 | 5 „ | ბოლეღლოვი გეურქა საქუასძე | ტფილისი ფალავანდოვის და კახეთის ქუჩების კუთხე № 1/24 | „ | 550 | „ |
| 198 | 6 „ | კერესელიძე ალექსანდრე სოხაძე მინა მალალურიძე მაშინტი. | ტფილისი ვაგზლის ქ. № 24 | „ | 500 | „ |

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მზალოგლიშვილი.**
სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ნ. 1293.

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის **სამკურნალო**
საწოლებით
**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
**ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **გ. ნ. ონანოვი**
**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა**
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე; საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად. 25—21

**სათვალეების მორგება**
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

**დაკარგა** კომუნალური ბანკის აქციები № 83—3 ცალი № 395—3 ცალი № 145—1 ცალი, ირაკლი მიხეილის-ძე ბილანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2971

**დაკარგა** რძის გაყიდვის ნებართვის წიგნაკი № 30, ელისაბედი ზაქარიას ასული დარსაველიძის სახელზე, ჩ. გ. 2965

**დაკარგა** „ზაკტეპის" წიგნაკი № 21247, ვიქტორ გიორგის-ძე დარსაველიძის სახელზე, ჩ. გ. 2966

**დაკარგა** მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ იასონის-ძე ყუფარაძეს სახელზე, ჩ. გ. 2968

**დაკარგა** ლომბარდის ქვითარი № 57739, პეტრე ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2953

**დაკარგა** პროფკავშირთა საწევრო წიგნაკი № 18913, გაცემული განათლების მუშაკთა კავშირის მიერ ალექსანდრე გიორგის-ძე ურუშაძის სახელზე, ჩ. გ. 2967

ამიერკავკ. სტამბა, კამოს ქ. 68.